ფრანგულ-ინგლისური საუბრები კახელებთან A2
ზოდელავამ თბილისის ენერგომომარაგების პირობა მიიღო A4
მონადირე B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 30 დეკემბერი, 2003 წელი. №336 (548)
ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### „ნოემბრის მოვლენებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავლისთვის"

რა პრობლემები დგას საქართველოს წინაშე? - ამ კითხვაზე რესპონდენტთა პასუხები ასეთია: უმუშევრობა (72.4 პროცენტი), კორუფცია (48.2), დაბალი ხელფასები და პენსიები (41.4), ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა (41.0),

A3

## ეკონომიკა

### რკინიგზის ირგვლივ სკანდალი გრძელდება

ზურაბ ჟვანიას პოზიციის გამო (რომლის შესახებაც "24 საათი" გუშინ უკვე გამცნობდათ), "საწარმოთა მართვის სააგენტომ" რკინიგზის გენერალური დირექტორის პოსტზე გიორგი ლეჟავას დანიშვნის საკითხი 2 დღით გადადო.
სააგენტოში აცხადებენ, რომ "საქართველოს რკინიგზა" სტრატეგიული ობიექტია, რის გამოც სახელმწიფო მინისტრმა პირად კონტროლზე აიყვანა საკითხი და სიტუაციაში გასარკვევად 2 დღე ითხოვა.

A4

## უცხოეთი

### დემოკრატების კრახი სერბიაში

სერბეთის არჩევნები დემოკრატებისათვის კატასტროფით დასრულდა, სამაგიეროდ მილოშევიჩის ყოფილი თანამებრძოლები აღნიშნავენ ტრიუმფს.

A5

## საზოგადოება

### კარტოზიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვენ

ყოფილი ესთეტიკური აღზრდის ცენტრის თანამშრომლები პროკურატურისგან განათლების მინისტრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მეორედ მოითხოვენ. "სამი წელია, ალექსანდრე კარტოზია ცენტრის შენობის გაყიდვას ცდილობს," – აცხადებენ ისინი. განათლების სამინისტრო კი ამტკიცებს, რომ ცენტრის თანამშრომლები ვერაფრის შეცვლას ვერ შეძლებენ.

A6

## სამართალი

### აკაკი ჩხაიძე ბათუმში მკურნალობს

შპს "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი გენერალური დირექტორი აკაკი ჩხაიძე ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება და მისი დიაგნოზი თბილისში ჩამოსვლის შესაძლებლობას გამორიცხავს.

A7


## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 8 |
| ქუთაისი | 12 |
| ბათუმი | 13 |
| სოხუმი | 12 |
| ფოთი | 13 |
| თელავი | 8 |
| ზუგდიდი | 13 |
| გორი | 6 |
| ახმეტა | 8 |
| ჭიათურა | 8 |
| ბაგრა | 11 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0500 |
| ევრო | 2.5525 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6338 |
| რუბლი | 0.0701 |

# „რუსთავი 2"-ს პროფესიონალმა ესროლა

## ეს არ იყო დაშინება

ინგა ალავიძე

*"ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ ქვეყანაში "დინამიური ქაოსის" შექმნის შესახებ ძალოვანი მინისტრების მიერ გაკეთებული შემაშფოთებელი განცხადებები თანდათან რეალური ხდება. ბოლო თვის მანძილზე თბილისში ოთხი პოლიტიკური აფეთქება მოხდა. თუმცა, სამართალდამცველებმა, ჯერჯერობით, ვერც ერთი მათგანის გახსნა ვერ მოახერხეს. გუშინ, გამთენიისას, პოლიტიკური ტერორის ობიექტი "რუსთავი 2" გახდა – ტელეკომპანიის ოფისს ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ნაღმტყორცნი ესროლეს. ეს მძლავრი იარაღი - „რპგ-26" საქართველოში პირველად 1998 წლის ცხრა თებერვალს, პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტისას იყო გამოყენებული. 1999 წელს ამ იარაღით ააფეთქეს მოსკოვში აშშ-ს საელჩო.*

გაგრძელება A7 გვერდზე



*საბედნიეროდ, ჭურვი ორიოდ ათეული სანტიმეტრით ასცდა ფანჯარას.*

# ასლან აბაშიძე თავადაც აპირებს საარჩევნო ყუთთან მისვლას

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აჭარაში ჩავიდა. თუმცა, ზურაბ ჭიაბერაშვილის ბათუმური შეხვედრები არც ისე დაძაბული აღმოჩნდა, როგორც ამას თუნდაც ორი დღის წინ მოელოდნენ. საქმე ის არის, რომ ვიზიტამდე ერთი დღით ადრე უკვე ცნობილი გახდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური გადაწყვეტილება ოთხ იანვარს საარჩევნო უბნების გახსნის თაობაზე. ამის მიუხედავად, მთელი რიგი საარჩევნო პროცედურების დაზუსტება გუშინ მაინც ვერ მოხერხდა. აქვე იმასაც დავძენთ, რომ გუშინ აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე ზურაბ ჭიაბერაშვილს არ შეხვედრია. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, შეხვედრის დაუოკებელი სურვილი არც ერთ მხარეს არ გამოუჩენია. მით უფრო, რომ საარჩევნო უბნების გახსნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური იყო და იგი ზურაბ ჭიაბერაშვილის კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდა.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*ზურაბ ჭიაბერაშვილს ბათუმში თბილად და შინაურულად დახვდნენ.*

# ჭავრიშვილის სასწაული შედგა

"შვილი და შვილიშვილი ერთდროულად ვნახე, კაცო!" ამბობს თვალახილული რევაზ ლაზარიშვილი

ზაზა ფარუაშვილი

*ორიოდე დღის წინათ "24 საათი" თავის სტატიაში – "ჯავრიშვილის სასწაულის მოლოდინში" იტყობინებოდა, რომ თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა – "ოფთალმიჯში", პირველად საქართველოში, გაკეთდა კერატოკომპლექსის გადანერგვის უნიკალური ოპერაცია და რომ შედეგზე მსჯელობა, ჯერჯერობით, ნაადრევია, თუმცა ქირურგი და მისი პაციენტი იმთავითვე იმედიანად იყვნენ განწყობილნი. დღეს კი, შეიძლება ითქვას, რომ ღმერთის მადლით, "ოფთალმიჯის" ხელმძღვანელმა გიორგი ჯავრიშვილმა სასწაული მოახდინა და გასაოცარი პირველადი შედეგი მიიღო.*

გაგრძელება A6 გვერდზე



*"შვილი და შვილიშვილი ერთდროულად ვნახე, კაცო!"*

## „რუსთავი 2"-ის შენობის აფეთქებას პოლიტიკოსები ტერორისტულ აქტს უწოდებენ

ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის შენობის აფეთქებას ქვეყნის პირველი პირები და პრეზიდენტობის კანდიდატებიც გამოეხმაურნენ და მომხდარი არჩევნების ჩასაშლელად განხორციელებულ ტერორისტულ აქტად შეაფასეს.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, "რუსთავი 2"-ზე განხორციელებული თავდასხმა ამ ტელეკომპანიაში არსებული განსაკუთრებული აზრის გამო მოხდა.

**"ჩვენ არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ თავისუფალ პრესაზე და მასმედიაზე ხელი აღმართოს,"** - აცხადებს ბურჯანაძე, რომელმაც დღეს "რუსთავი 2"-ის ოფისი მოინახულა.

ბურჯანაძის თქმით, უშიშროების საბჭოს სხდომაზე ძალოვან უწყებებს სპეციალური დავალებები მიეცემათ, რათა "რუსთავი 2"-ზე თავდასხმა უმოკლეს ვადაში იქნეს გამოძიებული და, შესაბამისად, დამნაშავეები დროულად დაისაჯონ.

**"აშკარაა, რომ ბევრს არ მოსწონს საქართველოში მომხდარი ე.წ. "ვარდების რევოლუცია" და ისინი ცდილობენ, ქვეყნის სტაბილურობას პრობლემები შეუქმნან, ისევე, როგორც - 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს,"** – განაცხადა მოქმედმა პრეზიდენტმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ეკონომიკური ექსპერტები - ძველი და ახალი წლის შესახებ

ეთერ მამულაშვილი

*2003 წელი, რომელიც ისტორიაში, ალბათ, "ვარდების რევოლუციის" წლად შევა, ეკონომიკური ექსპერტების შეფასებით, სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენითაც იყო დასამახსოვრებელი. ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების გარდა, წელს ეკონომიკური სასწაული მოხდა. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, თითქმის, რვა პროცენტით გაიზარდა. ამ და სხვა მცირეოდენი დადებითი ეკონომიკური მოვლენების მიუხედავად, ქვეყნის ახალ ხელისუფლებას ძველისგან მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. რა ნაბიჯები უნდა გადადგას ახალმა მთავრობამ ძველის "ცოდვების გამოსასწორებლად"? რა შეცდომების დაშვების საფრთხე არსებობს და როგორ უნდა აიცილოს ეს საფრთხე თავიდან ახალმა ხელისუფლებამ? ამ კითხვით "24 საათმა" ეკონომიკურ ექსპერტებს მიმართა. მასზე პასუხის გარდა, ისინი წლის დადებით და უარყოფით ეკონომიკურ მოვლენებს ასახელებენ.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## საგადასახადო ცვლილებები - მომავლის საქართველოსთვის, თუ - მომავალი არჩევნებისთვის

*განზრახული საგადასახადო ცვლილებების შესახებ თითქმის ყველაფერი ითქვა და დაიწერა, რაც კი ჩვენი ეკონომიკისა და პოლიტიკის ექსპერტებს უნდოდათ ეთქვათ ან დაეწერათ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დებატების დროს არ ითქვა ყველაზე მთავარი, ანუ არ გაეცა პასუხი ორ ფუნდამენტურ კითხვას: "მერე ხალხს რა?" და "მერე ეკონომიკას რა?", თუმცა პასუხები კითხვაზე "მერე ბიუჯეტს რა?" საკმარისზე მეტიც იყო და საკმარისზე ბუნდოვანიც. არადა, თუ დებატები არ მოგვცემს ხალხისა და მთელი ქვეყნის გამდიდრება-გაღარიბების პროგნოზირების საშუალებას, მაშინ რა აზრი აქვს ასეთ დებატებს.*

სოსო სიმონიშვილი

უნდა შევახსენო ყველას, ვისაც ამის შეხსენება სჭირდება, რომ ხალხმა, "პოლიტიკოსებისა" და "ექსპერტებისაგან განსხვავებით", უკვე დიდი ხანია იცის, რომ მათი ოჯახების კეთილდღეობა დამოკიდებულია მათსავე სამუშაოზე და ხელფასზე, ანდა რაიმე ბიზნესიდან მიღებულ შემოსავლებზე. ამ ქვეყანაში არ არის ერთი მოქალაქეც კი, რომელიც ფიქრობს, რომ მთავრობა საიდანღაც ბიუჯეტს შეავსებს, ხელფასებსა და პენსიებს დაარიგებს და ამით ხალხი გამდიდრდება. დღეს უკვე ბავშვმაც კი იცის, რომ გადასახადის გადამხდელები და ბიუჯეტის შემავსებლები ამ ქვეყნის ყოველი და თითოეული მოქალაქე ვართ და თუ სახელმწიფომ ჩვენ არ მოგვცა ჩვენი ჭკუის, განათლებისა ჯანლონის შესაბამისად ნაყოფიერად შრომისა და ამ შრომით ბარაქიანი შემოსავლების მიღების საშუალება, ისე არც ბიუჯეტს ეშველება რამე და არც იმ მთავრობისა თუ სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებსა და პენსიონერებს, რომლებისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ მოიაზრება.

გაგრძელება A8 გვერდზე

## ძერჟინსკის დაბრუნება - რუსეთში დაიმარხა დემოკრატია

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

როგორი პარლამენტი აირჩია რუსეთმა? - ამ შეკითხვას ასეთი პასუხი გასცა რუსეთის დუმის ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა, ცნობილმა რუსმა სამართალდამცველმა სერგეი კოვალიოვმა: **"ჩვენ დავმარხეთ დემოკრატია. რუსეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დღეს საბჭოთა კავშირის ჰიმნი იმღერა. თავისუფალი პრესის არქონის პირობებში ამ უმსგავსობას მასები ვერ შეაფასებენ, ხოლო პრეზიდენტმა მიიღო აბსოლუტურად კომუნისტური დუმა, მოსამართი პარლამენტი."** ამ სიტყვების წარმოთქმისას, კოვალიოვის თანაშემწე ორ ხანდაზმულ ქალბატონს, ქაღალდის ყუთებით, დეპუტატის ნივთები კაბინეტიდან გამოჰქონდათ.

პარლამენტის ერთ-ერთი ვიცე-სპიკერის ახალ ფართე კაბინეტში გადაბარგებული დმიტრი როგოზინი დერეფანში ხმაურიანად მოდის ახალი პრესმდივნებისა და თანაშემწეების გარემოცვაში. ის და ჟირინოვსკი პრესის დარბაზთან ჟურნალისტების ალყაში ექცევიან.

ჟირინოვსკი: **"კიდევ იტყვით, რომ გულუხვი არ ვარ? აი, ნახეთ, ჩემმა ფრაქციამ მემარჯვენეებს ფეხები შეახოცა და როგოზინს დაუთმო გზა."** როგოზინი ირონიულად პასუხობს:

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B1 ნომრის სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მონადირე B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# "მთავარია, ამინდმა არ დაგვაღალატოს"

## რუსთავი არჩევნებისთვის მზადაა

მაია მოსიაშვილი

რუსთავის N20-ე საოლქო საარჩევნო კომისიამ 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მზადება თითქმის დაამთავრა. კომისიის თავმჯდომარის პაატა ტყეშელაშვილის თქმით, რუსთაველ ამომრჩეველთა წინასწარი რაოდენობა 40 026 კაცია. 2 ნოემბრის არშემდგარ არჩევნებზე ეს ციფრი გაცილებით დიდი იყო და 72 ათასს შეადგენდა. **"სიები შეძლებისდაგვარად გამოსწორებულია და, რაც მთავარია, მათში ნამდვილად აღარ იქნებიან ე.წ. "მკვდარი სულები". რუსთავი სულ 47 ათას ბიულეტენს მიიღებს,"** - განუცხადა "24 საათს" ტყეშელაშვილმა.

ბოლო ათი წლის მანძილზე რუსთაველ ამომრჩეველთა ოფიციალური რაოდენობა ყოველ არჩევნებზე სხვადასხვა იყო და იმის მიხედვით იცვლებოდა, რამდენად სჭირდებოდა ხელისუფლებას ხმებით მანიპულირება. რუსთავში ამომრჩეველთა ასეთი დაბალი მაჩვენებელი პირველად დაფიქსირდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე არც ერთი არჩევნები წინასწარ მთლიანად არ დაფინანსებულა. როგორც რუსთავის საოლქო კომისიაში აცხადებენ, მათ უკვე სრულად მიიღეს მთელი თანხა, დაახლოებით, 83 ათასი ლარი, რომელშიც 54 საარჩევნო უბნის გათბობის საზღაურიც კი შევიდა.

წინასწარი ვარაუდით, საპრეზიდენტო არჩევნები რუსთავში ზედმეტი ვნებათაღელვის გარეშე ჩაივლის. ამის ერთ-ერთი და მთავარი მიზეზი ის იქნება, რომ საარჩევნო კომისიებში სრული პოლიტიკური იდილიაა და განსხვავებული პოზიციის "დეფიციტიც" სახეზეა. დღეისათვის რუსთავში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" უმრავლესობით დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიის მუშაობას გააკრიტიკებდა ან მის წინააღმდეგ გამოვიდოდა. არსად ჩანან ხმაურიანი და მობოიკოტე "ლეიბორისტები", საპნის ბუშტივით გამსკდარ ყოფილ სახელისუფლო ბლოკზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მათ ცენტრალურ ოფისში ბოლო დროს კვლავაც ხალხმრავლობა შეიმჩნევა, თუმცა რამდენად უკავშირდება ეს შეკრებები კარსმომდგარ არჩევნებს, უცნობია.

ოპოზიციიდან საუბნო კომისიების შემადგენლობაში ვერ შევიდნენ "დემოკრატიული აღორძინების" წარმომადგენლები, რადგან ამ პარტიამ არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი მაშინ გამოთქვა, როცა უბნების დაკომპლექტება კარგახნის დასრულებული იყო. **"მთავარია, ამინდმა არ დაგვაღალატოს, სხვა პრობლემა არ არსებობს,"** - ამბობს რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

# დიალოგი ინტერნეტით

პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი გუშინ საქართველოს მოსახლეობას ინტერნეტის საშუალებით ესაუბრა. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მოსახლეობის მიერ ინტერნეტით გაგზავნილ კითხვებს, დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში მონდომებით პასუხობდა. საამისოდ, პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების მსგავსად, სააკაშვილმა საერთაშორისო კვლევის საბჭოს ვებსტუდიით ისარგებლა. ოღონდ, პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით, თავის პოტენციურ ამომრჩეველს სააკაშვილი მომავალში შეხვედრასაც დაჰპირდა. ინტერნეტის აქტიური მომხმარებელი სააკაშვილი საქართველოს მაცხოვრებლებთან ამ სახით, შუამავლის გარეშე აპირებს ურთიერთობას. სააკაშვილთან გასაუბრების მოსურნეები საამისოდ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის პირადი ელქტრონული ფოსტის მისამართს მიიღებენ. გუშინ კი სააკაშვილთან იტერნეტ-დიალოგში მონაწილე მისმა პოტენციურმა ამომრჩეველმა ისედაც კარგად ცნობილი ჭეშმარიტება დაადგინა. კერძოდ: პრეზიდენტობის კანდიდატი აჭარის ლიდერის გადაწყვეტილებას (საპრეზიდენტო არჩევნებში რეგიონის მონაწილეობის შესახებ) მიესალმება. მიხეილ სააკაშვილის აზრით, აჭარის მოსახლეობამ საპრეზიდენტო არჩევნებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს.

*24 საათი*

# ფრანგულ-ინგლისური საუბრები კახელებთან

ზვიად რუაძე

უნდა ითქვას, რომ კახეთში მიხეილ სააკაშვილს რეკლამა არ სჭირდება. მას შემდეგ, რაც ვარდების რევოლუცია მოხდა და ძველი მთავრობა ახალმა შეცვალა, პრეზიდენტობის კანდიდატის რეიტინგი ერთი-ორად გაიზარდა. გუშინდელი დღე კი კახელებს ნამდვილ ზეიმად ექცათ.

ემოციები, სიხარულის ცრემლები, ვარდები და უამრავი საჩუქარი – აი, ის, რაც სანდრა რულოვსს კახეთში სტუმრობის დროს დახვდა. **"მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ იგი მართლაც ხალხისთვის იბრძვის. ქალბატონ სანდრას ჩამოსვლამ თელავში კახელებს კიდევ ერთხელ აგვიხილა თვალი,"** - ამბობდა თელაველი თამილა მექვევრიშვილი. სანდრა რულოვსი თითოეულ ამომრჩეველს ქუჩაში ხვდებოდა და მათ პრობლემებს ასე ეცნობოდა. საჩუქრად კი "ნაციონალური მოძრაობის" მიერ გამოცემულ გაზეთებს ურიგებდა. **"მეთოდი, რომლითაც მე ვმოქმედებ, ადამიანებთან ურთიერთობის ყველაზე რეალური გზაა,"** - ამბობს რულოვსი და მომავალ პრეზიდენტს იგივეს ურჩევს. უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონ სანდრას კახეთთან მჭიდრო ურთიერთობები აქვს. იგი ქველმოქმედებით არის დაკავებული და რეგიონის სკოლა-ინტერნატებს, საჭირო ინვენტარის გარდა, თბილი ტანსაცმლითაც ეხმარება. **"ჩემი საქმიანობაა, დავეხმარო უდედმამო, ინვალიდ ბავშვებს და გაჭირვებულ ოჯახებს. იმის მიუხედავად, გაიმარჯვებს თუ არა მიშა საპრეზიდენტო არჩევნებში, ჩემს დაწყებულ საქმეს კვლავ განვაგრძობ,"** - ამბობს ქველმოქმედი ქალბატონი.

სანდრა რულოვსის ვოიაჟი კახეთში გუშინ თელავიდან დაიწყო და გურჯაანის კულტურის სახლში ამომრჩეველთან შეხვედრით დასრულდა. **"მოსახლეობასთან შეხვედრის გარდა, მე დღეს მოვინახულე იყალთოს აკადემია, ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმი, არ შეიძლება იყო კახეთში და არ შეხვიდე ალავერდის მონასტერში. ასე რომ, დღევანდელი დღით აღფრთოვანებული და კმაყოფილი ვარ,"** - ამბობს მიხეილ სააკაშვილის მეუღლე. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სანდრა რულოვსს კახელები ხან ფრანგულად, ხანაც ინგლისურად ესაუბრებოდნენ. ყველაზე მეტად კი კახელებისგან უკვე პირველ ლედიდ მონათლული სანდრა ახმეტაში ნაჩუქარმა ნაბადმა გაახარა. **"მე მოგზაურობა სამეგრელოთი დავიწყე და კახეთით იმიტომ დავასრულე, რომ იგი საქართველოს უნიკალური მხარეა. ვიცი კახელი ადამიანის ხასიათი და, იმედია, ისინი სწორ არჩევანს გააკეთებენ,"** - ასეთი სიტყვებით დაემშვიდობა მიხეილ სააკაშვილის მეუღლე კახელებს.

# იუსტიციის მინისტრის რთული არჩევანი

ზურაბ ადეიშვილის იუსტიციის ახალ მინისტრად წარდგენისას, სახელმწიფო მინისტრმა, უწყების თანამშრომელთა თანდასწრებით, გაწეული სამუშაოსათვის მადლობა გიორგი წკრიალაშვილს გადაუხადა. როლანდ გილიგაშვილის პირველმა მოადგილემ, მინისტრის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, სამინისტროს ხელმძღვანელობას, თავად სახელმწიფო მინისტრის შეფასებით, საკმაოდ კარგად გაართვა თავი. როგორც ზურაბ ადეიშვილი აცხადებს, თავისი მოადგილეების ყოფნა-არყოფნის საკითხს იგი, დაახლოებით, ორ-სამ დღეში გადაწყვეტს. დღეისათვის კი ინფორმირებული წყაროებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილი ხდება, რომ ახალი მინისტრი მოადგილეების გუნდის სრული შემადგენლობით შეცვლას გეგმავს.

იუსტიციის მინისტრის მოადგილეების პოსტებზე უკვე სერიოზულად განიხილება გია გეწაძის, ლევან ბეჟაშვილის და გიგი უგულავას კანდიდატურები. ცნობისათვის, საკმაო გამოცდილების მქონე გია გეწაძე, ახლახან, "ნაციონალ" პეტრე ცისკარიშვილის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კონკურენტი იყო კრწანისის რაიონში მაჟორიტარული არჩევნების დროს. გია ბეჟაშვილი პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი და "დემოკრატების" გუნდის წევრია. გიგი უგულავას კი საზოგადოება არასამთავრობო ორგანიზაციებიდან - "ალპედან" და "თავისუფლების ინსტიტუტიდან" უნდა იცნობდეს.

იუსტიციის სამინისტროში მისულ ადეიშვილს მოადგილის ოთხი საშტატო ერთეული დახვდა. მათი რაოდენობის შემცირებას თუ არა, გაზრდას, ადეიშვილი ნამდვილად არ აპირებს. შესაბამისად, თავის უწყებაში სამი ახალი მოადგილის მიყვანის შემთხვევაში, ახალ მინისტრს მართლაც რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს, ძირითადად, ირინა იმერლიშვილსა და გიორგი წკრიალაშვილს შორის. ირინა იმერლიშვილთან ადეიშვილს კარგი ურთიერთობა ჯერ კიდევ პარლამენტში მუშაობის პერიოდიდან აქვს, გიორგი წკრიალაშვილს კი შეფასება "ფრიადი" თავად სახელმწიფო მინისტრმა დაუწერა.

*24 საათი*

# „რუსთავი 2"-ის შენობის აფეთქებას პოლიტიკოსები ტერორისტულ აქტს უწოდებენ

პირველი გვერდიდან

"რუსთავი 2"-ის შენობის აფეთქებაზე სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ კომენტარი სომხეთში გამგზავრებამდე გააკეთა და მომხდარს ტერორისტული აქტი უწოდა.

**"რუსთავი 2" სწორედ ის ტელეკომპანიაა, რომელმაც საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ეს იმ ძალების ნამოქმედარია, რომლებიც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს ვერ ეგუებიან და ტელეკომპანიას ესხმიან თავს... ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ დამნაშავეები გამოავლინონ და საკადრისად დასაჯონ",** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ზე განხორციელებული თავდასხმა პოლიტიკური ტერორის განხორციელების აშკარა მცდელობად შეაფასა პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმაც. იგი მიიჩნევს, რომ ტერორი მიმართულია ქვეყანაში ქაოსის გამოწვევისა და 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩასაშლელად.

სააკაშვილის განცხადებით, ტერორის მიუხედავად, თუ არჩევნების ჩაშლა ვერ მოხერხდება და მას აირჩევენ, ქვეყანაში წესრიგის დასამკვიდრებლად უმკაცრესი ზომები გატარდება. **„ფულიანი ოლიგარქები, ვინც დღეს ხალხის დასაშინებლად მკვლელებს ქირაობს, საზოგადოებისგან იზოლირებულნი იქნებიან,"** - ამბობს პრეზიდენტობის კანდიდატი.


"რუსთავი 2"-ის დაზიანებული ოფისი გუშინ ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

პრეზიდენტობის მეორე კანდიდატი, ორგანიზაცია "საქართველოს ადვოკატების" ლიდერი ქართლოს ღარიბაშვილი კი მიიჩნევს, რომ სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-სათვის ცეცხლის გახსნაში ის ძალები მონაწილეობდნენ, რომლებსაც საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაცია სურთ, რათა "ჟვანია-შევარდნაძის მმართველობა გაგრძელდეს".

როგორც ღარიბაშვილმა განაცხადა, "ჰუმანური" ტერაქტების სერია, რომელიც საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დაიწყო, იმ ძალების ორგანიზებულია, რომლებიც 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლას ცდილობენ და **"ქვეყანაში ზურაბ ჟვანიას უკანონო მმართველობის დატოვებას აპირებენ".** ამასთან, ღარიბაშვილმა გამორიცხა "რუსთავი 2"-თან დაკავშირებულ ინციდენტში, 1995 წელს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით ინტერპოლის მიერ ძებნილი, უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის იგორ გიორგაძის მხარდამჭერთა მონაწილეობის შესაძლებლობა.

# ასლან აბაშიძე თავადაც აპირებს საარჩევნო ყუთთან მისვლას

პირველი გვერდიდან

და მაინც - ოთხ იანვარს აჭარაში ექვსი საარჩევნო ოლქის 265-ვე საარჩევნო უბანი გაიხსნება. კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანს თავად ასლან აბაშიძეც მიაკითხავს.

საკმაოდ საინტერესოა: აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელი და "აღორძინების" ლიდერები ერთხმად ამტკიცებენ, რომ მათ, ოთხ იანვართან დაკავშირებით, სიტყვა "ბოიკოტი" არ გამოუყენებიათ. რაც შეეხება რეგიონის ტერიტორიაზე გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობას, უახლოეს დღეებში აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე მისი გაუქმების ბრძანებას გასცემს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აჭარისა და "აღორძინების" ლიდერები რაღაც სასწაულმა შეცვალა.

თავად განსაჯეთ – ორი დღის წინ აჭარის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ასლან აბაშიძე აცხადებს, რომ აჭარაში საარჩევნო უბნები გაიხსნება და ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით მიიღეს, რათა ავტონომიურ რესპუბლიკაზე ისტორიული ლაქა არ გაჩნდეს. **"ჩვენ გადავწყვიტეთ, ჯერჯერობით, ჩვენი პრინციპულობა გადავდოთ და ვითანამშრომლოთ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან,"** - თქვა აბაშიძემ. ამავე დროს, მას არ ავიწყდება ამერიკის შეერთებული შტატების ელჩიც და პირველად საჯაროდ აღიარებს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებას და აჭარისთვის სამარცხვინო ლაქის თავიდან აცილებას **"მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი შტატების ელჩმა რიჩარდ მაილსმა."**

საკმაოდ საინტერესო ინტერპრეტაცია მიეცა აჭარაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზეზებსაც. თუკი 22 ნოემბრის შემდეგ აჭარის ხელმძღვანელობამ ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვის მიზეზად პოლიტიკური მოტივი დაასახელა, დღეს ბათუმი უკვე კრიმინოგენულ სიტუაციაზე და თურქეთში შექმნილ მდგომარეობაზე ალაპარაკდა.

გუშინ თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა, დაახლოებით, ასეთი განცხადება გააკეთა: **საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი ხელს უწყობდა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას, რაც სრულიად საქართველოს ინტერესებში იყო... საგანგებო მდგომარეობა კრიმინოგენული ვითარების გამწვავების რეალური საფრთხის, ასევე, მეზობელ თურქეთში სიტუაციის დაძაბვის გამო გამოცხადდა, რადგან იქ ტერორისტული აქტების სერია განხორციელდა, ხოლო ეს ტალღა შემდეგ თბილისზეც გადავიდა და, ბუნებრივია, რომ აჭარის მოსახლეობა თავს უსაფრთხოდ არ გრძნობდა.**

ამავე დროს, ჰამლეტ ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ **"ასლან აბაშიძე არასოდეს ყოფილა წინააღმდეგი აჭარაში არჩევნების ჩატარებისა, თუმცა მიაჩნდა, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადა, ანუ 45 დღე, არ იყო საკმარისი საპრეზიდენტო არჩევნების მოსამზადებლად. მიუხედავად ამისა, ასლან აბაშიძემ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და გაითვალისწინა რა საქართველოში შექმნილი რეაქცია, დათანხმდა, რომ 4 იანვარს აჭარაში საპრეზიდენტო არჩევნები გამართულიყო."**

საკმაოდ უცნაური აღმოჩნდა ბათუმის ყოფილი მერის, ფრაქცია "აღორძინების" წევრის ასლან სმირბას განცხადებაც, რომლის თანახმად, არსებობენ ძალები, რომლებიც ურთიერთობებს ძაბავენ ცენტრალურ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებებს შორის და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებთან მიმართებაში სიტყვა "ბოიკოტი" აჭარის ხელმძღვანელობის მიერ არ თქმულა (?!).

გუშინვე ცხადი გახდა, რომ "აღორძინებაში" საკმაოდ სერიოზული საკადრო წმენდა განხორციელდება. პირველი მსხვერპლი კი ცოტნე ბაკურია იქნება, რომელსაც მთლიანად გადაბრალდება ამ ბოლო დროს თბილისსა და ბათუმს შორის არსებული უთანხმოებები. **"ცოტნე ბაკურიას გადასაწყვეტი არ არის არჩევნების ბოიკოტი აჭარის მხრიდან და მან აჭარის ხელმძღვანელობა უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს,"** - თქვა გუშინ ასლან სმირბამ.

როგორც ამბობენ, აჭარის ხელმძღვანელობის ასეთი "სასწაულებრივი ფერიცვალება" ახალ ხელისუფლებასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისა და კონსულტაციების შედეგია. თუმცა, კონკრეტულად რა შეთანხმებებს მიაღწიეს მხარეებმა, უახლოეს პერიოდში გამოჩნდება.

აქედან გამომდინარე, ზურაბ ჭიაბერაშვილის აჭარაში სტუმრობამ დიდი აჟიოტაჟისა და ხმაურის გარეშე ჩაიარა. დახვედრა თბილი იყო, ხოლო დახურულ კარს მიღმა გამართული საუბრები – შინაურული.

თუმცა, ოთხ იანვრამდე დარჩენილ პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციამ ორგანიზაციული საკითხების მოგვარება და პრობლემების გადაჭრა მაინც უნდა შეძლოს. **"რაც მეტად გვიანდებოდა აჭარაში არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილების მიღება, მით უფრო რთულდებოდა არჩევნების ორგანიზება, მაგრამ დღეს ბათუმში გამართული შეხვედრების შემდეგ დავრწმუნდი, რომ დარჩენილ ექვს დღეში საორგანიზაციო პრობლემების მოგვარება შესაძლებელია,"** - ასეთი ოპტიმისტური განცხადება გააკეთა ზურაბ ჭიაბერაშვილმა მას შემდეგ, რაც აჭარის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობას შეხვდა.

ასეთი მაჟორული განცხადების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, როგორ გადაწყდება ამომრჩეველთა საერთო რაოდენობასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე გაურკვეველია აჭარის ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ ხუთი წევრის ბედი, რომლებიც საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ორი ნოემბრის არჩევნების წინ საკუთარი კვოტიდან დანიშნა.

ჩვენი ინფორმაციით, აჭარის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებთან დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის დროს გარკვეული შეთანხმება მაინც დაიდო. არ არის გამორიცხული, წევრების გამოცვლის ვადამ პირველ იანვრამდე გადაიწიოს და თუკი საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი დარჩენილ დღეებში მათ არ შეცვლის, კომისიის წევრები თანამდებობებს შეინარჩუნებენ.

ამავე დროს, კვლავ გაურკვეველია ის წესი, თუ როგორ უნდა დადგინდეს აჭარაში მცხოვრებ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა. ჩვენი ინფორმაციით, აჭარის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ სიები სრულ წესრიგშია. ამის მიუხედავად, ზურაბ ჭიაბერაშვილს გაუჭირდა, დათანხმებოდა ამ შეფასებას.

შესაბამისად, კონსულტაციები კვლავაც გაგრძელდება.

# ძერჟინსკის დაბრუნება - რუსეთში დაიმარხა დემოკრატია

პირველი გვერდიდან

**"დასათმობი არაფერი გვქონდა. ახლა თქვენი ყანა მინდა გადავთელო."** ჟურნალისტებს აინტერესებთ, რატომ თქვა უარი პრეზიდენტობის კანდიდატობაზე ჟირინოვსკიმ. **"ახლა დიმას ჯერია, ვნახოთ ერთი, დავაცალოთ,"** - ირონიულად პასუხობს ვოლფოვიჩი.

სათათბიროს დერეფნებში თვალს ხვდება დალუქული კაბინეტები გამაფრთხილებელი წარწერებით - "არ გახსნათ!" ანუ ძველ პატრონებს ჯერაც არ გაუთავისუფლებიათ ოთახები.

თბილისის ყოფილი კომენდანტი, გენერალი იური როდიონოვი კვლავ დეპუტატია. როგორც ჩანს, ახალ დუმაში ბედი მხოლოდ გენერლებს უღიმით. დარბაზში ამაყი სახით შედის ბორის ელცინის ყოფილი მცველი ალექსანდრ კორჟაკოვი.

საქართველოს "კეთილმოსურნე" ანატოლი ჩეხოევი უკვე ყოფილ კაბინეტში მოწყენილი ზის. ამბობს, რომ ახლა იგი როგოზინისა და გლაზიევის ბლოკ "როდინას" შემადგენლობაშია და ძველ შენობაში გადაინაცვლებს, რიგით დეპუტატად.

რუსეთის პარლამენტი რუსეთის პრეზიდენტის მოლოდინში სპეციალური დანიშნულების რაზის წარმომადგენლებით გაივსო. შავტანისამოსიანი, ავტომატიანი, ორმეტრიანი ახალგაზრდები საგულდაგულოდ ჩხრეკენ პარლამენტში შემსვლელებს. რომელიღაც გამოუცდელი ტელეკომპანიის გადამღები ჯგუფი ამ სცენას იღებს. ორ წუთში მასთან მიდის ადგილობრივი დაცვა და ოპერატორს გადაღებულ მასალას აშლევინებს.

რუსეთის პრეზიდენტი რუსეთის პარლამენტს იშვთიათად სტუმრობს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ფედერალური საკრებულოსადმი მიმართვის შემდეგ პრეზიდენტმა "ჯიბის დუმა" გააბედნიერა. ჟურნალისტები ითვლიან: მიმართვის ტექსტში პუტინი სულ სამჯერ ახსენებს სიტყვა დემოკრატიას, ორასჯერ: სიტყვებს "წესრიგი" და "უსაფრთხოება". რუსეთის ახალი პარლამენტის 450 წევრი ისმენს პუტინის საპროგრამო სიტყვებს იმის შესახებ, რომ ახალი დუმის მთავარი ამოცანა იქნება კორუფციასთან ბრძოლა, სიღატაკის დაძლევა და რუსი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება.

პრეზიდენტი სიტყვას ამთავრებს და პარლამენტში ტოვებს საკუთარი პარტიით - "ედინაია როსიით" გადაჭედილ დარბაზს, დარბაზის კუთხეში მოყუჩებული კომუნისტებითა და ჟირინოვსკელებით. ტრიბუნაზე ადის პარლამენტის ახალი სპიკერი, რუსეთის მთავარი მილიციელი ბორის გრიზლოვი. მისი ერთ-ერთი მოადგილე, ახალი ვიცე-სპიკერი, წარსულში ყოფილი აგრარიკოსი ნიკოლოზ ხარიტონოვი ლუბიანკაზე ძერჟინსკის ძეგლის დაბრუნებას ითხოვს...

## მოკლედ

### თემურ შაშიაშვილი აჭარაში საარჩევნო უბნების გახსნას იწონებს

პრეზიდენტობის კანდიდატი თემურ შაშიაშვილი მიესალმება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მზადყოფნას, 4 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის აჭარაში საარჩევნო უბნების გახსნასთან დაკავშირებით.

როგორც შაშიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მან "ასლან აბაშიძის პოზიტიური და კონსტრუქციული განწყობა" რამდენიმე კვირის წინ აჭარაში თავისი ვიზიტისას დაინახა. თუმცა, მისი აზრით, აჭარაში 4 იანვრისთვის მხოლოდ საარჩევნო უბნების გახსნა არ იქნება საკმარისი. შაშიაშვილი მოუწოდებს ასლან აბაშიძეს და ავტონომიური რესუბლიკის ხელმძღვანელ პირებს, მობილიზება გაუკეთონ აჭარის მოსახლეობას და პროპაგანდა გაწიონ იმისთვის, რომ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში აჭარამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეს გენერალური პროკურატურის წინ შეკრებილმა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დროინდელი ხელისუფლების მომხრეებმა მოითხოვეს, პროკურატურამ გამოიძიოს ყველა ის საქმე, რომლებიც ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ხელშეუხებელი იყო და გამოძიებას არ ექვემდებარებოდა. ამ მოთხოვნების გადასაცემად გენპროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე შეხვდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ პროფკავშირების კულტურის სასახლეში გაიმართა კოალიცია „მემარჯვენე ალტერნატივის" კონფერენცია, რომლის ლიდერადაც "ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, ხოლო გენერალურ მდივნად ბაჩუკი ქარდავა დასახელდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი დავით ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ვიდრე სომხეთში რუსეთის სამხედრო ბაზა იარსებებს, პრინციპულად შეუძლებელია საუბარი საქართველოს ნეიტრალიტეტზე. ამიტომ, საქართველოს უსაფრთხოება პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით მოითხოვს სახელმწიფოს შესვლას ევროატლანტიკურ სივრცეში, - აცხადებს დავით ბერძენიშვილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის მერის მერაბ ტყეშელაშვილის გადაწყვეტილებით, რუსთავის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები განხორციელდა; მერის პირველ მოადგილედ დაინიშნა ერთ-ერთი ვიცე-მერი ზაზა იმედაშვილი. მის ფუნქციებს შეასრულებს მერიისა და საკრებულოს აპარატის ყოფილი უფროსი კახა გურგენიძე, რომლის ადგილიც ლევან ჩიკვაიძემ დაიკავა. ეს უკანასკნელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრი იყო, მერაბ ტყეშელაშვილის პარლამენტარობის დროს კი რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატის თანაშემწე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ახალი მემარჯვენეების" პოლიტიკურმა საბჭომ გუშინ სპეციალური განცხადება გაავრცელა და პარტიის კურსი არსებული ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად გამოაცხადა. "მავანნი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და იმ აზრის დამკვიდრებას ცდილობენ, თითქოს ჩვენს პოლიტიკურ გაერთიანებაში სერიოზული განხეთქილებაა და პარტიის დაშლის პროცესია დაწყებული. შეგვიძლია, თამამად განვაცხადოთ, რომ არაფერი მსგავსი პარტიაში არ ხდება," - ნათქვამია "ახლების" პოლიტიკური საბჭოს განცხადებაში.

"მემარჯვენეები" აცხადებენ, რომ კვლავინდებურად რჩებიან "ერთიან, ძლიერ, რაიონულ სტრუქტურებზე დაფუძნებულ" პოლიტიკურ ძალად. ამასთან, მათი მტკიცებით, პარტიას სწორედ დღეს უერთდება უამრავი "მსოფლმხედველობრივი პრინციპებისადმი ერთგული ადამიანი, რომელიც "მემარჯვენეების" მსგავსად, პირად და პოლიტიკურ ამბიციებზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს აყენებს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტში "სოციალისტური პარტიის" წარმომადგენლობა იმ ინტერფრაქციულ ჯგუფში, რომელმაც მერისა და გამგებლების არჩევითობასთან დაკავშირებით კანონპროექტი უნდა მოამზადოს, საკუთარი წევრის შეყვანას არ აპირებს.

"სოციალისტური პარტიის" თავმჯდომარე ირაკლი მინდელი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კანონპროექტის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით "გაერთიანებული დემოკრატების" ინიციატივით წამოწყებული კამპანია მხოლოდ პოლიტიკური პოპულიზმის გამოვლინება და ამომრჩევლის გულის მოსაგებად გაკეთებული სვლაა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის რიგგარეშე სესიის მორიგი სხდომა, სავარაუდოდ, სამშაბათს გაიმართება. პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიგი წერეთლის განცხადებით, პარლამენტი "საგადასახადო კოდექსში" შესატან იმ ცვლილებათა პაკეტს განიხილავს, რომელიც ზოგიერთი სოციალური შეღავათის გადავადებას, საგზაო და ეკონომიკური საქმიანობის გადასახადების გაუქმებას და მიწის გადასახადის შემცირებას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" წევრმა გიორგი გუგავამ გლდანის რაიონში მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურში, რომელიც 2004 წლის 4 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად არის დანიშნული, საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. როგორც გიორგი გუგავამ განაცხადა, "მაშინ, როცა 2 ნოემბრის პროპორციული არჩევნების შედეგები საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა, მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის ჩატარება ფარსსია და ამომრჩევლის მოტყუებას ნიშნავს". **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

### მოკლედ

## "კმარა" ბათუმშია

"კმარა დიქტატურა, მოვითხოვთ აჭარაში 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას!" - ამ შინაარსის პროკლამაციები ბათუმის მრავალსართულიანი სახლების მაცხოვრებლებმა გუშინ დილით სადარბაზოებში აღმოაჩინეს. ხელისუფლებისა და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები პროკლამაციების გავრცელებას გუშინ ბათუმში სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარის" აქტივისტთა ჩასვლას და პოლიტიკურ გააქტიურებას უკავშირებენ, თუმცა მოძრაობის ლიდერები ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფენ.

"ამ მოწოდებების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, თუმცა ბათუმში პროკლამაციების გავრცელებასთან ასევე არაფერი გვაქვს საერთო," - განაცხადა ჩვენი აჭარის" თანათავმჯდომარემ თამაზ დიასამიძემ. მისი თქმით, მოძრაობის წევრები მხოლოდ მაშინ გააქტიურდებიან, როცა აჭარის ხელისუფლება 23 ნოემბერს რეგიონში უკანონოდ გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობას გააუქმებს. "საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის პრეროგატივაა, ასლან აბაშიძემ კი ამ გადაწყვეტილებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას გადააჭარბა," - განმარტა "ჩვენი აჭარის" თანათავმჯდომარემ. **ინტერ-პრესი**

## ჟვანიას ვიზიტი ერევანში

დღეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით სომხეთში გაფრინდა. ზურაბ ჟვანია ერევანში სომხეთის პრეზიდენტს რობერტ კოჩარიანს, სომხეთის კათალიკოსს გარეგინ II და სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარეს შეხვდა. სახელმწიფო მინისტრი თბილისში საღამოს დაბრუნდა. ოფიციალური თბილისი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობას, სწორედ ამით აიხსნება საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ვიზიტი სომხეთში, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების წინ იმართება. ამის შესახებ დღეს ზურაბ ჟვანიამ სომხეთის პარლამენტის სპიკერთან არტურ ბაღდასარიანთან შეხვედრის დროს განაცხადა. ჟვანიას აზრით, ორ ქვეყანს შორის კავშირის გაღრმავების საწინდარია ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტმა მისი ვიზიტის წინ, სომხეთთან დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა.

თავის მხრივ, სპიკერის არტურ ბაღდასარიანის განცხადებით, სომხეთის ყველა პოლიტიკური ძალა საქართველოში მშვიდობის და სტაბილურობის დამყარებით არის დაინტერესებული. ბაღდასარიანს მიაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს, პირველ რიგში, სამცხე-ჯავახეთში სომხური სათვისტომოს პრობლემებს. მხარეები შეთანხმდნენ, საქართველოში ახალი ხელისუფლების ფორმირებისთანავე სახელმწიფოთაშორისო ხასიათის პრობლემებზე მუშაობა დაიწყონ. **ინტერ-პრესი**

# „ნოემბრის მოვლენებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავლისთვის"


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*სოციოლოგიური გამოკითხვის მაჩვენებლები ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც იყო.*

*27 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა ჩაატარა გამოკითხვა თბილისის ათივე რაიონში. ინტერვიუ ჩაუტარდა 902 რესპონდენტს. ნოემბრის არჩევნების შემდეგ საზოგადოებრივი აზრი დედაქალაქში ასეთია: თბილისელებს შორის ყველაზე დიდი მოწონებით სარგებლობენ ნინო ბურჯანაძე (83.6 პროცენტი), მიხეილ სააკაშვილი (74.0 პროცენტი), ზურაბ ჟვანია (48.4 პროცენტი). სარეიტინგო მაჩვენებელში ბოლოდან პირველ ადგილზე ლევან მამალაძეა. ბოლოდან მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ ცოტნე ბაკურია და ვახტანგ რჩეულიშვილი. გამოკითხულებმა განაცხადეს, რომ ოთხი პოლიტიკოსიდან – ასლან აბაშიძე, ნინო ბურჯანაძე, მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია - ყველაზე პატიოსანი, სამართლიანი, სულიერად ძლიერი და ენერგიული მიხეილ სააკაშვილია. ნინო ბურჯანაძე გამჭრიახობით და სიდინჯით პირველობს (სიდინჯის მხრივ, სააკაშვილი გამოკითხულებმა ბოლო ადგილზე დაასახელეს). ზურაბ ჟვანიას ამ პიროვნულ თვისებათა ჩამონათვალში მეორე-მესამე ადგილები მიაკუთვნეს. პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოხელეთა შორის ყველაზე ნეიტრალური დამოკიდებულება თბილისელებს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის მიმართ აქვთ.*

ვერიკო თევზაძე

გამოკითხვების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოსახლეობის მასმედიისადმი დამოკიდებულებაში რამდენიმე პარადოქსული ფაქტი შეინიშნება. არჩევნების შემდეგ თბილისელთა ყველაზე დიდი რაოდენობა (97.2 პროცენტი) პირველ არხს უყურებს, თუმცა მას ნაკლებად ენდობა. ნდობის მხრივ, ყოფილი სახელისუფლებო ტელევიზია ბოლოდან მესამე ადგილზეა (ბოლოდან პირველ ადგილს "არავის უთმობს" აჭარის ტელევიზია). თბილისელები ყველაზე მეტად (69.9 პროცენტი) "რუსთავი 2"-ს ენდობიან, თუმცა, რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, იგივე ხალხი, ანუ გამოკითხულთა უმრავლესობა (72.8 პროცენტი) ფიქრობს, რომ "რუსთავი 2" ყველაზე მიკერძოებული არხია. "რუსთავი 2-ის შემდეგ ნდობის ხარისხი მაღალია ტელეკომპანიების "მზის" და "იმედის" მიმართ.

**რა პრობლემები დგას საქართველოს წინაშე?** - ამ კითხვაზე რესპონდენტთა პასუხები ასეთია: უმუშევრობა (72.4 პროცენტი), კორუფცია (48.2), დაბალი ხელფასები და პენსიები (41.4), ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა (41.0), კლანების მიერ სახელმწიფო ქონების ხელში ჩაგდება (22.4), ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობა (18.5), ადამიანის უფლებების დაუცველობა (11.8), აჭარასა და ცენტრს შორის ურთიერთობა (11.1), განათლების სისტემის კრიზისი (7.4), მმართველობის სისტემის უნიათობა (6.7), სამართალდამცავი სისტემის უკონტროლობა (4.7), დევნილთა ცხოვრების პირობები (4.5), დანაშაულის მაღალი დონე (4.5), სასამართლოების ცუდი მუშაობა (2.7), სიტყვის და პრესის არასაკმარისი თავისუფლება (0.4). გამოკითხულთა აზრით, უპირველესი საკითხი, რაც პარლამენტმა უნდა განიხილოს, აფხაზეთის კონფლიქტს უკავშირდება.

რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ საქართველოს ბედი თანაბრად არის დამოკიდებული როგორც თავის თავზე, ასევე სხვა ქვეყნებზე. რესპონდენტებს თხოვნით მიმართეს, დაესახელებინათ საქართველოს ორი საუკეთესო მეგობარი ქვეყანა და კიდევ ორი ისეთი სახელმწიფო, რომელიც, მათი აზრით, ჩვენი ქვეყნისადმი ყველაზე არამეგობრულად არის განწყობილი. გამოკითხულთა უმრავლესობამ საქართველოსადმი ყველაზე კეთილგანწყობილად აშშ (99,9 პროცენტი) და ევროკავშირი (40.2) დაასახელა. თბილისელთა აზრით, საქართველოსადმი ყველაზე არამეგობრული სახელმწიფოები რუსეთი და სომხეთია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს მიმართ გამოკითხულთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ეს სახელმწიფო რესპონდენტთა გარკვეულ ნაწილს ჩვენი ქვეყნის მტრადაც ესახება.

**როგორ უნდა მივაღწიოთ არსებული ვითარების გაუმჯობესებას?** – გამოკითხულთა უმრავლესობა (43.8 პროცენტი) კორუმპირებულ პირთა დასჯას და მათთვის ქონების ჩამორთმევას მოითხოვს, მომდევნო მნიშვნელოვან საკითხად ისინი კანონმდებლობის დახვეწას მიიჩნევენ.

**როგორ შეაფასებდით შევარდნაძის გადადგომას?** - რესპონდენტთა 83.6 პროცენტი ამ ფაქტს მიესალმება. 11.6 პროცენტს ნოემბრის მოვლენებისადმი გაურკვეველი დამოკიდებულება აქვს. 4.8 პროცენტი "ვარდების რევოლუციას" უარყოფითად აფასებს. რესპონდენტთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ საქართველოში არსებული პრობლემების გადაჭრა მიმდინარე პროცესებში საზოგადოების აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი.

**"2003 წლის ნოემბრის მოვლენებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავლისთვის. გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ სახეზეა საზოგადოებრივი აზრის მკვეთრი ცვლილება – პირველ რიგში, სამოქალაქო მონაწილეობისადმი შესამჩნევად გაზრდილი მზადყოფნა. ასევე გაიზარდა ნდობის ხარისხი, ოპტიმიზმი, გაძლიერდა პროდასავლური და პროდემოკრატიული ორიენტაცია. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, ჩვენ საქართველოში დემოკრატიის "დაღვინების" თვითმხილველნი გავხდებით, რაც უფრო ადამიანის აზროვნების გათავისუფლებასთან არის დაკავშირებული, ვიდრე ფორმალურ ტრანსფორმაციასა და სტრუქტურულ ცვლილებებთან",** - ასეთი დასკვნა გააკეთა საზოგადოებრივი კვლევის ინსტიტუტმა, რომელმაც 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ საზოგადოებრივი აზრი შეისწავლა.

# ვარდებს რა დალევს საქართველოში...


ზაურ გულაბერიძის ფოტო

*დარბაზი აფრთხილებს ხელისუფლებას.*

**"ჩვენ, ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლები, საქართველოს მოქალაქეები, აუცილებლად მივიჩნევთ საზოგადოების როლის გაძლიერებას ქვეყნის განვითარების პროცესში. ნებისმიერ განვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება არის კანონიერებისა და დემოკრატიული პრინციპების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი.**

**ვაფუძნებთ რა საზოგადოება "დარბაზს", ვაცხადებთ, რომ ქვეყანაში შექმნილ ნებისმიერ ვითარებაში ვიქნებით სხვა დემოკრატიულ ინსტიტუტებთან ერთად საჯაროობის, კანონის უზენაესობისა და პიროვნების თავისუფლების ერთგული დამცველები, ვინაიდან ეს მოქალაქეობრივი კატეგორიები ადამიანთა თავისუფალი საზოგადოების აუცილებელ პირობას წარმოადგენს,"** – 9 დეკემბერს ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლების მიერ დაარსებულმა სამოქალაქო საზოგადოება "დარბაზმა" გუშინ აღნიშნული დეკლარაციის ტექსტი ერთხმად მიიღო.

"დარბაზის" წევრთა შეკრება ფიზიოლოგიის ინსტიტუტის საააქტო დარბაზში შედგა.

**"4 იანვარს, სულ რომ საუკუნის თოვლმა დაფაროს ეს მადლიანი მიწა, არჩევნებზე აუცილებლად უნდა მივიდეთ. ოთხ რიცხვში სახლში ჯდომა დიდი დანაშაულია,"** – შეხვედრაზე ამგვარი სულისკვეთება სუფევდა. ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ მოუწოდეს საქართველოს მოქალაქეებს, მონაწილეობა მიიღონ საპრეზიდენტო არჩევნებში და რაც შეიძლება აქტიურად ჩაერთონ ახალი ქვეყნის მშენებლობაში.

**"საქართველოში ვარდების მეტი რა არის, უკვე არსებობს იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენება. ამიტომ ნებისმიერმა მინისტრმა თუ სხვა თანამდებობის პირმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მუდამ ფხიზლად ვიქნებით,"** – აღნიშნა რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა ვანო კილურაძემ.

გუშინდელ შეკრებას წლის საუკეთესო სპორტსმენებად დასახელებული ელდარ კურტანიძე და ნინო სალუქვაძეც ესწრებოდნენ.

"დარბაზმა" უკვე აირჩია მთავარი საბჭო: ნანა ალექსანდრია, მსახიობი ნინო ბურდული, აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი, მოქანდაკე გოგი ოჩიაური, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, პროფესორი ზურაბ კიკნაძე, რეჟისორი გიორგი შენგელაია, აკადემიკოსი ვანო კილურაძე, მწერალი ვახუშტი კოტეტიშვილი, პროფესორი თემურ ნანეიშვილი, იურისტი დავით უსუფაშვილი და პოეტი დათო მაღრაძე. "დარბაზის" საპატიო პრეზიდენტად მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე აირჩიეს.

*24 საათი*



# რკინიგზის ირგვლივ სკანდალი გრძელდება

*ზურაბ ჟვანიას პოზიციის გამო (რომლის შესახებაც "24 საათი" გუშინ უკვე გამცნობდათ), "საწარმოთა მართვის სააგენტომ" რკინიგზის გენერალური დირექტორის პოსტზე გიორგი ლეჟავას დანიშვნის საკითხი 2 დღით გადადო. სააგენტოში აცხადებენ, რომ "საქართველოს რკინიგზა" სტრატეგიული ობიექტია, რის გამოც სახელმწიფო მინისტრმა პირად კონტროლზე აიყვანა საკითხი და სიტუაციაში გასარკვევად 2 დღე ითხოვა.*

**"ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზურაბ ჟვანიას ლეჟავას მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს, უბრალოდ, რკინიგზა სტრატეგიული ობიექტია და ამიტომ დირექტორის დამტკიცების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია,"** - აღნიშნავენ სააგენტოში.

გუშინვე შპს, "საქართველოს რკინიგზის" 100-მდე თანამშრომელმა საპროტესტო აქცია გამართა ორგანიზაციის ოფისის შენობის წინ, "საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გენერალურ დირექტორად ბიზნესმენ გიორგი ლეჟავას წარდგენის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ამასთანავე, აუცილებლად უნდა გაუქმდეს მთავრობის მიერ სამეთვალყურეო საბჭოში "დანიშნული შემადგენლობა" და ამ ორგანოში შეყვანილნი უნდა იქნენ რკინიგზელები. აქციის მონაწილეები, მათი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სარკინიგზო მოძრაობის შეჩერებითაც იმუქრებოდნენ.

როგორც ჟურნალისტებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე დანელიამ განუცხადა, ამჟამად 12-დან 10 წევრია დანიშნული და სასამართლოში რეგისტრირებული.

დანელიას თქმით, კანონით შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ კოლექტივის წარმომადგენლების 1/3 დაუშვას.

შექმნილი სიტუაცია აშკარა საფრთხეს უქმნის სახელმწიფო საწარმოთა მართვის იმ პრინციპების ამოქმედებას, რომელსაც ახალი ხელისუფლება სხვა საწარმოებისთვის "სამოდელოდ" ამზადებდა.

*24 საათი*

# რუსეთში არაყი ძვირდება, საქართველოში კი ქართული ღვინის ხარისხზე ზრუნავენ

ახალ წელს რუსეთის ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას არასასიამოვნო სიახლეს უმზადებს. 1 იანვრიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ძალაში შედის ახალი სააქციზო მოსაკრებელი, რომლის საფუძველზეც 2004 წლიდან გაძვირდება არაყი და მისი ფასი ყოველ 0,5 ლიტრზე შვიდი რუბლით გაიზრდება.

რუსული მედიის ცნობით, იქმნება საშიშროება, რომ მაგარი ალკოჰოლური სასმელებით მოვაჭრეები არყის დამამზადებლებისაგან სასმელის შესყიდვას შეწყვეტენ. გარდა ამისა, ასეთი ცვლილება საახალწლოდ სამომხმარებლო ბაზარზე ალკოჰოლური სასმელის დეფიციტსაც გამოიწვევს. ექსპერტების აზრით, რუსეთში ყველაზე პოპულარული ალკოჰოლური სასმელის, არყის გაძვირება, ანარქიის ტოლფასია როგორც ბაზარზე, ასევე საზოგადოებაში. რუსეთის ნაციონალურ ალკოჰოლურ ასოციაციაში, რომელიც არაკომერციული ორგანიზაციაა და მის მიზანს დარგში დასაქმებულ მწარმოებელთა კანონიერი უფლებების დაცვა წარმოადგენს, ამ ცვლილებას უარყოფითად აფასებენ და თვლიან, რომ სააქციზო მოსაკრებლების აღნიშნული სისტემა ბოლომდე არ არის სათანადოდ დამუშავებული და მისი შემოღება სამომხმარებლო ბაზარზე ე.წ. ჩრდილოვანი ანუ არაკანონიერი პროდუქციის 20 პროცენტამდე გაზრდას გამოიწვევს.

მაშინ, როცა რუსეთი ალკოჰოლურ სასმელს აძვირებს, საქართველოში ქართული ღვინის პოპულარიზაციისათვის აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. ქვეყნის ანტიკორუფციული საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი და მეწარმეთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ფალსიფიკაციასთან ბრძოლის მიზნით ერთობლივ პროექტს ახორციელებს. შედეგად, საუკეთესო ღვინო და მწარმოებელი გამოვლინდება. ორგანიზატორები აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში არსებული უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის ფონზე ერთგვარად დასუსტდა ხარისხის კონტროლის მექანიზმი, რის გამოც იმატა სხვადასხვა პროდუქტების, მათ შორის - ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელების ფალსიფიკაციამ. ასეთი უხარისხო პროდუქციის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა კი ქართული ღვინის რეპუტაციაზე ახდენს გავლენას. მათივე თქმით, პროექტი სწორედ მომხმარებელთა სწორი ინფორმირებისათვის არის გამიზნული.

*24 საათი*

*მონიტორინგი*

# დეკემბრის პენსიების დაფინანსება არ დაწყებულა

29 დეკემბრისათვის ჯერ კიდევ დაუფინანსებელია ივლისის თვის პენსია, გარღვევა 0,2 მილიონი ლარია.

აგვისტოს თვის პენსიის დაფინანსებაში გარღვევა 8,5 მილიონი ლარია, სექტემბერში - 9,7 მილიონი ლარი, ოქტომბერში - 11,9 მილიონი ლარი, ნოემბერში - 13,6 მილიონი ლარი, ხოლო დეკემბრის პენსიების დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა.

უმწეოთა სოციალური დახმარება სრულად არის დაფინანსებული ნოემბრის ჩათვლით.

ძალოვანი სტრუქტურების და რეგრესული პენსიები სრულად არის დაფინანსებული მხოლოდ ოქტომბრის ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ რეგრესული პენსიების ნოემბრის თვის ტრანსფერი ცენტრალური ბიუჯეტიდან დიდი ხნის გადარიცხულია. აუცილებლად უნდა დაინტერესდეს სოციალური ფონდის ახალი ხელმძღვანელობა ამ საკითხით. საზოგადოებამ უნდა იცოდეს იმათი გვარები, ვის გამოც ფერხდებოდა ისედაც მწირი რესურსების ხალხამდე მისვლა.

29 დეკემბრისათვის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა, დაახლოებით, 50 მილიონი ლარია.

29 დეკემბრისათვის ჯერ კიდევ არ დასრულებულა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების 11 თვის გეგმის დაფინანსება.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები დაფინანსებულია 87,3 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამები - 62,8 პროცენტით, ხოლო უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები - 70,3 პროცენტით.

*საკონსულტაციო ფირმა "დვნკ"*

პენსიის დაფინანსება 26 დეკემბრისთვის

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

სოციალური ფონდის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ხარჯები 26 დეკემბრისთვის

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|
| [illegible] | 61,567 | 53,755 | 87.3% |
| [illegible] | 13,043 | 7,997 | 61.3% |
| [illegible] | 41,270 | 39,224 | 95.0% |
| [illegible] | 6,330 | 5,634 | 89.0% |
| [illegible] | 916 | 901 | 98.3% |
| [illegible] | 3,597 | 2,259 | 62.8% |
| [illegible] | 1,264 | 398 | 31.5% |
| [illegible] | 1,666 | 1,345 | 80.7% |
| [illegible] | 183 | 119 | 64.9% |
| [illegible] | 483 | 398 | 82.4% |
| [illegible] | 4,187 | 2,943 | 70.3% |
| [illegible] | 338 | 244 | 75.5% |
| [illegible] | 1,712 | 1,442 | 84.2% |
| [illegible] | 1,300 | 701 | 53.9% |
| [illegible] | 338 | 78 | 23.0% |
| [illegible] | 515 | 473 | 91.8% |

სპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე" 2004 წლიდან წყვეტს ბიუჯეტის მონიტორინგის პროგრამას.

სხვა ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტის მონიტორინგის პროგრამის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში, მზად ვართ, ჩვენთან დაგროვილი გამოცდილება და მეთოდოლოგია დაინტერესებულ პირებს გავუზიაროთ.

**დაგვიკავშირდით: ტელეფონი: 75-10-55 ; 75-10-54**
**ფაქსი: 75-10-56; E-mail: office@dvnk.ge**

# ზოდელავამ თბილისის ენერგომომარაგების პირობა მიიღო





*"თელასის" და "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მესვეურებმა ახალ წელს უწყვეტი ენერგომომარაგების პირობა დადეს.*

*თბილისის ენერგომომარაგება გუშინ საღამოს თბილისის მერთან ვანო ზოდელავასთან გამართული შეხვედრის მთავარ თემად იქცა. შეხვედრაზე საახალწლოდ დედაქალაქის უწყვეტ ენერგომომარაგებაზე იმსჯელეს. როგორც შეხვედრიდან გამოსულმა ქალაქის მერმა განაცხადა, მას "თელასის" და "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მესვეურებმა პირობა მისცეს, რომ ახალი წლისთვის თბილისს ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდება.*

ზოდელავას თქმით, მან აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებს ელექტროენერგიით უწყვეტად მომარაგება 14 იანვრამდე მოსთხოვა, თუმცა ამის პირობა ენერგეტიკოსებს არ მიუციათ.

„თელასის" გენერალური დირექტორის დანგირას მიკოლაიუნასის განცხადებით, უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგება თავად მათ ინტერესებშია. იგი თბილისის მოსახლეობას დაჰპირდა, რომ ახალი წლის დღეებში 24-საათიანი ელექტრომომარაგება ექნება.

**„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ შუქი იყოს, ვიხდით ფულს რუსეთიდან იმპორტისათვის, შევარემონტეთ ელექტროგადამცემი ხაზი „ალავერდი", მაგრამ ჩვენს მომხმარებლებს ელექტროენერგია მაინც არ მიეწოდება. უკვე აღარ ვიცით, რა გავაკეთოთ",** – განაცხადა დანგირას მიკოლაიუნასმა.

რაც შეეხება რეგიონების ენერგომომარაგებას: გუშინ ცნობილი გახდა, რომ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისგან 70 პროცენტით შეზღუდული "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" დღეს ღამით რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს დაიწყებს. რუსეთიდან საქართველოს რეგიონებისთვის 150 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგია შემოვა. ამას დაემატება 70 მეგავატი, რომელიც კომპანიას ადგილობრივი გენერაციიდან ერგება.

**"იმპორტის მიუხედავად, რეგიონების ელექტრომომარაგება მაინც გრაფიკით განხორციელდება და ყველა ფილიალი დენს გადახდის შესაბამისად მიიღებს,"** - განაცხადეს კომპანიაში.

კომპანიაში ტექნიკურ პრობლემებს არ გამორიცხავენ და აცხადებენ, რომ იმპორტი გუშინ ღამით თუ არ დაიწყო, დღეს საღამოს პიკის საათიდან ელექტროენერგია ყველა შემთხვევაში შემოვა. იმპორტის თაობაზე კონტრაქტი სადისტრიბუციო ენეგოკომპანიამ, სახელმწიფო ელექტროსისტემამ, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა და საშუამავლო კომპანია "ვიგფილდმა" გუშინ გააფორმეს.

ელექტროენერგია რუსეთიდან 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "კავკასიონის" მეშვეობით შემოვა. სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელება აშშ-დან "ზამთრის გათბობის პროგრამის" ფარგლებში მიღებული დახმარებით შეძლო, ამისთვის კომპანიას 2 მილიონი დოლარი გააჩნია.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" კახეთის, აჭარისა და თბილისის გარდა, დანარჩენ საქართველოს მოიცავს. მას 660 ათასი აბონენტი ჰყავს და იგი ქვეყნის ტერიტორიის 70 პროცენტს ემსახურება.

*24 საათი*

# ეკონომიკური ექსპერტები - ძველი და ახალი წლის შესახებ

*პირველი გვერდიდან*

**რომან გოცირიძე – პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი.**

- ქვეყნის ეკონომიკაში 2003 წელს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა და, საერთოდ, საქართველოში უკანასკნელი ოთხი-ხუთი წელიწადი ეკონომიკური უძრაობის ხანაა. ბოლო ხუთი წელი ერთმანეთს ტყუპისცალივით ჰგავდა. ასე რომ, 1998 წლიდან მოყოლებული, ყველა წელს შეიძლება ვუწოდოთ ტყუპების წელიწადი. თითოეულ მათგანს აბსოლუტურად ერთი და იგივე პრობლემები ახასიათებს - ლარის სტაბილური კურსი, დაბალი ინფლაცია, მცირე ეკონომიკური ზრდა... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ყველაფერს მოსახლეობის კეთილდღეობაზე იოტისოდენადაც არ უმოქმედია. იმიტომ, რომ მთელი ზრდის შედეგს ერთი მუჭა პარაზიტები იჯიბავდნენ, ანუ ვღებულობდით პრადოქსს, როდესაც ეკონომიკა იზრდებოდა და ხალხი ღატაკდებოდა. ეკონომიკა იზრდებოდა და პენსიები მცირდებოდა. წელსაც 240-მილიონიანი სეკვესტრი, შარშანაც ამდენი...

საფრთხე არის რამდენიმე: პირველი – ხელისუფლების ნაბიჯები არ აღმოჩნდეს სისტემის აწყობის ნაცვლად სწრაფი შედეგის მიღწევაზე ორიენტირებული, მეორე – არ უნდა მოგვივიდეს საკადრო შეცდომები, შეცდომებისგან არავინ არ არის დაზღვეული, მაგრამ ეს არ უნდა იყოს არსებითი ხასიათის, და მესამე –გამარჯვებული პარტია, ანუ "ნაციონალური მოძრაობა" არ უნდა გადაგვარდეს სახელისუფლებო პარტიად. ამის ნიშნები კი დღეს აშკარად შეიმჩნევა. რაიონებიდან უამრავი ადამიანი მირეკავს და მეუბნება, რომ მოქკავშირის ყველა ძველი წევრი, ერთიმეორის მიყოლებით, ან "ნაციონალურ მოძრაობაში" ან ბურჯანაძე-დემოკრატებში შედის. და ჩვენ არ უნდა მივიღოთ ისეთივე პარტია, როგორიც იყო შევარდნაძის პარტია, ან დღეს როგორიცაა რუსეთის პარტია.

**ლადო პაპავა – საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ხელმძღვანელი**

- ქვეყნის ეკონომიკაში მთავარი დადებითი მოვლენა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაა, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, მისი მომავლისათვის. ამან წელს, გარკვეულწილად, ასახვა ჰპოვა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. კერძოდ: ყველანაირი საფუძველი არსებობს იმისა, რომ 2003 წელი დამთავრდეს არანაკლებ 8-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდით. დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველომ კვლავ მოახერხა ეროვნული ვალუტისთვის სტაბილურობის შენარჩუნება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინფლაცია წელსაც საკმაოდ ზომიერი იყო. პირველი ათი თვის განმავლობაში ინფლაცია იყო 2 პროცენტზე დაბალი. პრაქტიკულად, ეს იყო დაბალი მაჩვენებელი. ამავე დროს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, წლის ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ წლის მე-11 თვე იყო რევოლუციის თვე, ამ თვის განმავლობაში ინფლაცია იყო მხოლოდ 4 პროცენტი. ასე რომ, მთლიანობაში, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება დადებითად შეფასდეს.

რაც შეეხება უარყოფითს, პირველი და მნიშვნელოვანი - ძველმა მთავრობამ ვერა და ვერ მოაბა თავი ბიუჯეტს, გადასახადების მობილიზებას, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პროგრამის აღდგენას და საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა ახალ მთავრობას. კერძოდ, ეს არის ბიუჯეტში გარღვევა 250 მილიონი ლარი, სახელფასო და საპენსიო დავალიანება, რომელმაც 350 მილიონ ლარს გადააჭარბა და შეწყვეტილი პროგრამა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რომელიც ახალ მთავრობას თითქმის ნულიდან აქვს დასაწყები. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ჩემი აზრით, უმთავრესი რჩევა იქნება, რაც შეიძლება სწრაფად იქნეს აღდგენილი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პროგრამა, რასაც დასჭირდება 2004 წლის ისეთი ბიუჯეტის მიღება, რომელიც არა მარტო საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის მისაღები იქნება, არამედ - რეალისტური, აღსრულებადი. მოსახლეობამ უნდა იგრძნოს, რომ ახალი ხელისუფლება არა მარტო სიტყვით ჰპირდება ხალხს სიტუაციის გამოსწორებას, არამედ - რეალურად არიგებს ხელფასებს და პენსიებს თავის დროზე. ამის ფონზე, შემდეგ მოსახლეობა იმასაც დაიჯერებს, რომ ხელფასები და პენსიები შეიძლება გაიზარდოს, რომ მთავრობას აქვს ამის პოლიტიკური ნება და შესაძლებლობა.

**ნიკო ორველაშვილი - კავშირი "საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტი"**

- მიმდინარე წლის დადებითი მოვლენა იყო ნავთობსადენის მშენებლობის დაწყება და უარყოფითი იყო არჩევნები. არჩევნების მთელ წინა პერიოდს ახასიათებს ინვესტორების მხრიდან მოჭარბებული თავშეკავება და სიფრთხილე ინვესტიციებთან დაკავშირებით.

**ნიკო ლეკიშვილი – გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე**

- წელს განსაკუთრებული ძვრები და განსაკუთრებული გადაწყვეტილებები მიღებული არ ყოფილა, თუ არ ჩავთლით ნავთობსადენისა და გაზსადენების მშენებლობის დაწყებას. დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ "თი-ბი-სი ბანკი" კვლავ მოხვდა მსოფლიოს წამყვანი ბანკების სიაში, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნისთვის. რაც შეეხება უარყოფითს: მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სხვადასხვა საწარმოები გაიხსნა, მაინც თვალშისაცემია ის, რომ კომპანიების გარკვეულმა ნაწილმა ჩრდილოვან ეკონომიკაში გადაინაცვლა. ანუ, ერთი მხრივ, აშკარად ჩანს წარმოების გააქტიურება, მეორე მხრივ კი, ეს ქვეყნის ბიუჯეტსა და ფინანსურ მდგომარეობაზე არანაირად არ მოქმედებს. აშკარაა, რომ ჩვენი ეკონომიკური სფეროს დიდი ნაწილის ჩრდილიდან გამოსვლა ვერ მოხერხდა. მე ახალი ხელისუფლებისაგან ველოდები მთელი რიგი რეფორმების გატარებას, და ველოდები, რომ კანონის აღსრულებისა და სიმკაცრის ფონზე, შესაძლებელი იქნება ის, რომ კომპანიები, რომლებიც ნორმალურად მუშაობენ, ჩადგნენ ერთნაირ მდგომარეობაში ჩრდილოვან ეკონომიკაში მყოფ კომპანიებთან. ეს, რა თქმა უნდა, გააუმჯობესებს ჩვენს საფინანსო და საბიუჯეტო მდგომარეობას. ჩემი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში სოციალური პრობლემატიკა დაძლეული იქნება, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ საბოლოო ჯამში ჩვენთან ეკონომიკური ბრუნვადობა უფრო აქტიური გახდება. აუცილებლად გასატარებელია ისეთი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ამას გარდა, მე ვფიქრობ, რომ აუცილებელია ჩვენ მივუბრუნდეთ იმ კანონმდებლობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იყო 1997 წელს და გაუქმდა. ეს იყო ინვესტიციების დაცვის კანონი, რაც სერიოზულ შეღავათებს ითვალისწინებდა უცხოელი ინვესტორებისთვის, იმ განსხვავებით, რომ ეს შეღავათები უნდა იყოს როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორებისთვის.

**ვახტანგ ხომიზურაშვილი – თბსბ-ს გენერალური დირექტორის მოადგილე**

- ამ წელიწადს ისეთი განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ერთადერთი არის ის, რომ ნავთობსადენის საქმემ წინ წაიწია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს ქვეყანაში გარკვეული ინვესტიციების შემოსვლის წინაპირობას შექმნის. მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი, ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში წინ უნდა დახვდეს სხვა ბევრი ფაქტორი. რეკომენდაციები ახალი ხელისუფლებისთვის მე ასეთი მექნება: პირველ რიგში, სასწრაფოდ უნდა მოხდეს კარდინალური რეფორმების გატარება. პირველი - ეს არის ქონების შეფასების შესახებ კანონის მიღება, რომელიც უკვე რამდენი ხანია, პარლამენტშია გაჩერებული. ეს კანონი გულისხმობს ლიცენზირებული შემფასებლების ინსტიტუტის შემოღებას, ანუ, ეს ეხება არა მარტო უძრავ ქონებას, არამედ ეს ეხება ბიზნესის შეფასებას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ შემდგომში განხორციელდეს საპრივატიზაციო პროცესი და ობიექტურად იქნეს შეფასებული სახელმწიფო ქონება. ამას გარდა, უნდა გადაიხედოს პრივატიზაციის შედეგები, წარსულში თუ იყო დარღვევები, ის უნდა გადაფასდეს და ის სხვაობა შევიდეს ბიუჯეტში. საჭიროა საგადასახადო სისტემის რეფორმა. აქ არის ორი პრეროგატივა – საინვესტიციო გარემოს შექმნა გადასახადების ლიბერალიზაციის მეშვეობით და საფინანსო გამჭვირვალობის მიღწევა. ეს არის ის ძირითადი ორი პრეროგატივა, რაზედაც უნდა აიწყოს ახალი საგადასახადო კოდექსი. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია სწორი საკადრო პოლიტიკის გატარება.

**სანდრო თვალჭრელიძე - ეკონომიკური ექსპერტი**

- წელს ქვეყნის ეკონომიკაში მთავარი დადებითი მოვლენა იყო ნავთობსადენის მშენებლობის დაწყება, რამაც მთლიანი შიდა პროდუქტის 6 პროცენტით გაზრდა გამოიწვია. ეკონომიკურად ჩვენი ძირითადი დაავადება არის ბიუჯეტის ხარჯზე არჩევნების დაფინანსება. ეს აუცილებლად უნდა მოისპოს. შეიძლება ითქვას, რომ არჩევნები ავთვისებიანი სიმსივნეა ქვეყნის ეკონომიკისათვის, ის ეკონომიკას კლავს და შედეგებს ყველა ჩვენგანი უკვე ხედავს. სხვათა შორის, ჩვენ 1999 წელიც ასევე 240-მილიონიანი გარღვევით დავამთავრეთ. ყველაზე უფრო დიდი საშინელება ის არის, რომ ეს ფული ბრუნვიდან ამოაქვთ, რაც ძალიან მავნებელია, ზოგადად, ეკონომიკისათვის. ახალმა ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს ამის თავიდან აცილება და ახალი საგადასახადო კოდექსი მიიღოს. საჭიროა ასევე ბუნებრივი რესურსებისა და სახელმწიფო ქონების კაპიტალიზაცია, თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, შეგვიძლია ხუთ წელიწადში მთლიანი შიდა პროდუქტი 44 მილიარდ დოლარამდე გავზარდოთ.

საჭიროა აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმირება, პროფესიონალების მოსვლა, საჯარო სექტორში დასაქმებულთა რიცხვიანობის, სულ მცირე, 30 პროცენტით შემცირება, მაგრამ - არა ავტომატურად, არამედ - რანგების მიხედვით.

**კახა დამენია – ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია**

- წლის უარყოფით ეკონომიკურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ წელს ახალი სოციალური ვალდებულებები დაგროვდა პენსიების და ხელფასების დავალიანებების სახით. მეორე მთავარი უარყოფითი მოვლენა იყო ის, რომ "ეი-ი-ესი" გაიქცა საქართველოდან. გაიქცა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გაიქცა იმიტომ, რომ მას აქ გარკვეული პრობლემები შეექმნა - ფაქტობრივად, საინვესტიციო გარემოს გაუარესება იყო ამის მთავარი მიზეზი. ერთი ყველაზე მთავარი და, მგონი, ერთადერთი დადებითი მოვლენა წელს იყო ნავთობსადენის მშენებლობის დაწყება. შეიძლება ბანალურად ჟღერდეს ეს საკითხი, მაგრამ ეს იყო მთავარი ფაქტორი, რის გამოც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, თითქმის, 8 პროცენტით გაიზარდა. მეორე დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ფოთის პორტმა დაიწყო ტერმინალების არენდით გადაცემა გრძელვადიან პერსპექტივაში. ამით დაიწყო კერძო ბიზნესის ჩარევა პორტში და ამით დაიწყო ფოთის პორტის მმართველობითი რეფორმა.

რაც შეეხება რეკომენდაციებს - ჩემი აზრით, მთავარია, რომ ქვეყანაში ფინანსური წესრიგი დამყარდეს, ამაში იგულისხმება რამდენიმე რამ: პირველი - საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივება და საგადასახადო ტვირთის გადანაწილება, საბაჟო რეფორმის ჩატარება, საბიუჯეტო ხარჯვით ნაწილში ნორმალური პრიორიტეტების ჩამოყალიბება და ამ მიმართულებებით წასვლა. ამ პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი უნდა იყოს უახლოეს პერიოდში ძველი დავალიანებების, მათ შორის, მიმდინარე წლის გასტუმრება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი - აუცილებლად უნდა გაგრძელდეს პრივატიზაციის პროცესი. უნდა მოხდეს იმ დიდი საწარმოების პრივატიზაცია, რომლებიც დღემდე სახელმწიფო საკუთრებაშია. ძალიან მნიშვნელოვანია გაკოტრების კანონმდებლობის გამარტივება და ამოქმედება.

*მოკლედ*

## მოსახლეობა „თბილსრესისგან" კომპენსაციას ითხოვს

გუშინ დილიდან გარდაბნის „თბილსრესის" მიმდებარე ტერიტორიაზე 2001 წლის 22 დეკემბერს მომხდარი აფეთქების შედეგად დაზარალებული ოჯახების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და „ეი-ი-ეს მტკვარის" მიერ საკომპენსაციოდ გადარიცხული თანხის გაცემას მოითხოვდნენ.

ამ მიზნით, 200-მდე ადამიანმა „ეი-ი-ეს მტკვარის" ენერგობლოკების მუშაობის ბლოკირება მოახდინა. როგორც ცნობილია, ენერგობლოკის აფეთქების შედეგად, „თბილსრესის" მიმდებარე ტერიტორიაზე 1.200-მდე ოჯახი დაზარალდა. სპეციალურად შექმნილი სამთავრობო კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ საკომპენსაციო თანხა გაცილებით მეტია, ვიდრე 2.000 ლარი.

აღსანიშნავია, რომ მე-9 ენერგობლოკის ახალი მფლობელი „რაო ეესი" კომპენსაციების გადახდას არ აპირებს, ვინაიდან ბლოკის აფეთქების შემდეგ შექმნილი სახელმწიფო კომისიის დასკვნის საფუძველზე აღნიშნულ მოსახლეობას „ეი-ი-ესმა" კომპენსაციები უკვე გადაუხადა.

გუშინვე მე-9 ენერგობლოკის ტერიტორიაზე შეჭრილ 100-მდე გარდაბნელს პოლიციამ "თბილსრესის" ტერიტორია დაატოვებინა. როგორც "ინტერ-პრესს" "თელასში" განუცხადეს, მომხდარი ინციდენტის გამო, დღეს საღამოსთვის დაგეგმილი მე-9 ენერგობლოკის ჩართვა რამდენიმე საათით გადაიდო.

"ბლოკის სისტემაში ჩასართავად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს და იგი სისტემას ღამით 01.00 საათზე მიუერთდება", - განაცხადეს თელასში.

*"მედია-ნიუსისა" და "ინტერ-პრესის" მიხედვით*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** დეკემბრის თვის პენსიებს საახალწლოდ მხოლოდ თბილისელი პენსიონერების მცირე ნაწილი მიიღებს, რადგან ამ თვის პენსიების დასაფინანსებლად, 3 მილიონი ლარის ნაცვლად, 204 ათასი ლარია გამოყოფილი. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, სრულად დედაქალაქში არც ნოემბრის პენსიები დარიგდება. ამ თვის პენსიები 1,39 მილიონი ლარითაა დაფინანსებული. ოქტომბრის თვის პენსიების გაცემა დღეისათვის მხოლოდ თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასრულდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თეთრი ყურძნის საკონსერვო გადამუშავების მხარდასაჭერად გაისად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 600 ათასი ლარი უნდა გამოიყოს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ ეს თანხა ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინა. სამინისტროში იმედი აქვთ, რომ ბიუჯეტის დამტკიცებისას ამ პროგრამის დაფინანსება დადებითად გადაწყდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილემ თეიმურაზ ქევხიშვილმა და საქართველოში თურქეთის სამხედრო ატაშემ მუზაფერ ჩარფანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც თურქეთის მხრიდან გრანტის სახით გამოყოფილი ფინანსური და ტექნიკური დახმარების გადანაწილებას ეხება.

ხელშეკრულების მიხედვით, გრანტი მარნეულის სამხედრო ბაზის რეკონსტრუქციას, კოჯრის სპეცდანიშნულების ნაწილის, მე-11 ბრიგადისა და სამხედრო აკადემიის აღჭურვას მოხმარდება. დახმარების მოცულობას თავდაცვის სამინისტროში ჯერ არ ახმაურებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წყნეთელები ამიერიდან ბუნებრივ აირს შეუფერხებლად და სტაბილური წნევით მიიღებენ, — ითქვა დღეს თბილისის მერიაში გამართულ ტრადიციულ თათბირზე. დაბა წყნეთის გამგებლის რევაზ არეშიძის ინფორმაციით, წყნეთის შესასვლელში, დაახლოებით, 400-მეტრიან მონაკვეთზე დაზიანებული იყო ბუნებრივი აირის ცენტრალური მაგისტრალის 250 მმ-იანი მილი. ამის გამო წყნეთს ბუნებრივი აირი 80 მმ-იანი მილით მიეწოდებოდა, რის გამოც წნევა ძალიან დაბალი იყო. „თბილგაზის" მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად აღდგენილია ბუნებრივი აირის მაგისტრალი და წყნეთელები საახალწლოდ ბუნებრივ აირს ნორმალურად მიიღებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალი წლიდან თბილისში მიკროავტობუსების სამარშრუტო ხაზებზე მომუშავე ტრანსპორტის მფლობელთათვის ახალი ტენდერი გაიმართება. თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის ინფორმაციით, წელს იწურება იმ ხელშეკრულებების ვადა, რომელიც ორი წლის წინათ გაფორმდა თბილისში მიკროავტობუსების სამარშრუტო ხაზებზე მომუშავე ავტოტრანსპორტის მფლობელებთან. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში ჩინური ინვესტიციით აშენებული "ხადორის" ჰიდროელექტროსადგურის ჩართვა იანვრის ბოლოსთვის გადაიდო. ამის ოფიციალურ მიზეზად ხეობაში მოსული დიდი თოვლი სახელდება, რეალურად კი ჰესის ჩინელ მეპატრონეებს სემეკ-ში ჯერ წარმოების ლიცენზია არ მიუღიათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აღმასრულებელი ხელისუფლების საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში წარდგენილი "საგადასახადო კოდექსში" შესატანი ცვლილებები, რაც სოციალური შეღავათების ამოქმედების გადავადებას და მთელი რიგი გადასახადების შემცირებას და გაუქმებას ითვალისწინებს, დღეს პარლამენტში ორმა ფრაქციამ - "მრეწველებმა" და "ახალმა მემარჯვენეებმა" ერთობლივად, დახურულ კარს მიღმა განიხილეს. როგორც "ინტერ-პრესს" "ახალი მემარჯვენეების" პრეს-სამსახურში განუცხადეს, ფინანსთა სამინისტრო სხდომაზე ვერ ასაბუთებდა სოციალური შეღავათების ამოქმედების გადავადების აუცილებლობას და ზოგიერთი გადასახადის შემცირების თუ გაუქმების საჭიროებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად, საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,1050 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა. სულ ვაჭრობაში ცხრა კომერციული ბანკი მონაწილეობდა, სამი - გამყიდველის და ექვსი - მყიდველის სტატუსით. დაიდო ექვსი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 940 000 აშშ დოლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

მოკლედ

## იაპონია ერაყს ვალებს პატიობს

ერაყის საერთაშორისო დავალიანებების ჩამოწერა ამ ქვეყნის რეკონსტრუქციის ამერიკული გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ უკვე გამოთქვა მზადყოფნა, უარი თქვას ერაყის ვალებზე. მათ რიცხვს ახლა, ალბათ, იაპონიაც შეუერთდება. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში თქვეს, რომ, სხვა კრედიტორებთან შეთანხმების შემთხვევაში, ტოკიო თანახმაა, ერაყს ვალების დიდ ნაწილი ჩამოაწეროს. ბაღდადს ტოკიოსი 7,76 მლრდ დოლარი მართებს. ეს დავალიანება ძირითადად 1970-80-იან წლებში, იაპონური ფირმების მიერ ერაყში საავადმყოფოებისა და ელექტროსადგურების მშენებლობის შედეგად დაგროვდა.

ტოკიოს ინიციატივას მიესალმა აშშ. "ეს ნაბიჯი ადასტურებს, რომ იაპონია და მისი პრემიერი კოიძუმი ერაყის აღორძინებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ," - თქვეს თეთრ სახლში. იაპონიამ ერაყს უკვე აღუთქვა 5 მლრდ დოლარის მოცულობის დახმარება. იაპონელი ჯარისკაცების პირველი ნაწილი უკვე ჩავიდა ერაყში. მათი რიცხი უახლოეს მომავალში 1000-მდე გაიზრდება. იაპონელი სამხედროების ძირითადი ფუნქცია ჰუმანიტარული საკითხების მოგვარება და განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენა იქნება. ამერიკელები კი განაგრძობენ ერაყისთვის ვალების ჩამოწერის კამპანიას. ამ საკითხებში პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი, ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი აღმოსავლურ ტურნეს განაგრძობს. იგი ახლა ჩინელების დაყოლიებას ცდილობს. ერაყის საგარეო დავალიანება სულ 120 მლრდ დოლარს შეადგენს.

## ლიბიის ბირთვული პროგრამის ინსპექტირება დაიწყო

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ ლიბიის ბირთვული პროგრამების პირველი ინსპექცია ჩაატარა. ეს მას მერე გახდა შესაძლებელი, რაც, ერთი კვირის წინ, ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე ოფიციალურად თქვა უარი. ატომური სააგენტოს ხელმძღვანელი, მოჰამედ ელ ბარადეი ინსპექციის შედეგებით კმაყოფილია. მისი თქმით, ლიბიას ატომური იარაღის დამზადებამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია. ტრიპოლის არა აქვს გამდიდრებული ურანი, თუმცა, შესაძლებელია, რომ ადგილობრივმა მეცნიერებმა უკვე მიაგნეს ამ პროცესს. ტრიპოლი აპირებს, ხელი მოაწეროს მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმების დამატებით პროტოკოლს, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობას ქვეყნის ბირთვული ობიექტების კონტროლს გაუადვილებს. მანამდე კი ლიბიის ხელისუფლება პირობას იძლევა, რომ ინსპექტორებს ყველა პირობას შეუქმნის. დეკემბერში მსგავს პროტოკოლს ირანმაც მოაწერა ხელი. ინსპექტორების პირველი ჯგუფი რამდენიმე დღე გაჩერდება ლიბიაში. ლიბიისათვის სპეციალურად დაკომპლექტდება ჯგუფი, სადაც ერაყისა და ირანის პროგრამების კონტროლირებაში განვრთნილი სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას.

ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, აბდელ რაჰმან შალგამმა თქვა, რომ ბირთვული პროგრამის შეჩერების სურვილი მის ქვეყანას, დიდი ხანია, აქვს. "მუამარ კადაფის ნაბიჯი სამაგალითოა ყველასათვის და მას სხვებმა, პირველ რიგში კი ისრაელმა, უნდა მიბაძონ. სწორედ ისრაელმა, როგორც რეგიონის ერთადერთმა ბირთვულმა ქვეყანამ, უნდა დაიწყოს მასობრივი იარაღის განადგურება," - მიაჩნია მინისტრს. ლიბიამ ბირთვულ პროგრამაზე ამერიკელებთან, ბრიტანელებთან და გაერო-სთან ცხრათვიანი საიდუმლო მოლაპარაკებების შემდეგ თქვა უარი. ტრიპოლი ასევე მასობრივი განადგურების სხვა იარაღზე, მათ შორის ქიმიურზეც, ამბობს უარს.

ორი სიტყვით

**პოლონეთი.** გუშინ ვარშავაში ხელი მოეწერა სამთავრობო შეთანხმებას პოლონეთსა და ისრაელს შორის, რომელიც პოლონეთის არმიისათვის ისრაელში დამზადებული 2700 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის გადაცემას ითვალისწინებს. იარაღის მიწოდება 2004-2013 წლებში უნდა განხორციელდეს. პროექტის მთლიანი ღირებულება 35 მილიონი ამერიკული დოლარია.

■ ■ ■

**ინდონეზია.** ინდონეზიიაში მსოფლიოში ყველაზე დიდი გველი დაიჭირეს. უზარმაზარი პითონი თითქმის 15 მეტრი სიგრძისაა და 447 კილოგრამს იწონის. ის კუნძულ იავაზე ერთ-ერთ სოფელში ყავთ დაჭერილი. ამდენად, ეს არის რეკორდული მაჩვენებელი, რომელიც გინესის წიგნში უახლოეს მომავალში იქნება შეტანილი. აქამდე ადამიანების მიერ დაჭერილი პითონის სიგრძე მხოლოდ 9,75 მეტრს შეადგენდა.

■ ■ ■

**იაპონია.** იაპონიის სასამართლოებმა 2003 წელს 30-ჯერ გამოიტანეს სიკვიდილით დასჯის განაჩენი. მართალია, სისრულეში დღემდე მხოლოდ ერთი განაჩენია მოყვანილი, მაგრამ აღნიშნული ციფრი უმაღლესი სასჯელის შეფარდების მზარდ ტენდენციაზე მეტყველებს. ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ქვეყანაში ზოგადად დამნაშავეობის ზრდას უკავშირდება. მათი ოპონენტები კი მიუთითებენ, რომ, სიკვდილით დასჯის გახშირების მიუხედავად, დამნაშავეობის ზრდა სწორედ სასჯელის ამ ზომის არაეფექტურობაზე მიუთითებს. მათი აზრით, სიკვდილის დასჯა უფრო "ჰუმანური" სამუდამო პატიმრობით უნდა შეიცვალოს. 2004 წელს ქვეყნის პარლამენტმა შეიძლება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განიხილოს. სიკვდილით დასჯის გაუქმებას ყველაზე მეტად მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია ეწინააღმდეგება.

# დემოკრატების კრახი სერბიაში

### მილოშევიჩი და შეშელი პარლამენტში აირჩიეს

სერბეთის არჩევნები დემოკრატებისათვის კატასტროფით დასრულდა, სამაგიეროდ მილოშევიჩის ყოფილი თანამებრძოლები აღნიშნავენ ტრიუმფს. პროდასავლური ძალების ერთმანეთთან დაპირისპირებამ, კორუფციამ და სიღარიბემ ნაციონალისტებს შთამბეჭდავი გამარჯვება მოაპოვებინა.

ხალხმა, რომელმაც სამი წლის წინ ნაციონალისტები კინწისკვრით გაყარა ხელისუფლებიდან, დღეს ისინი კვლავ დააბრუნა პარლამენტში.

ყველაზე მეტი ხმა მიიღო რადიკალურმა პარტიამ, რომელსაც ათასობით ბოსნიელის მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ჰააგის ციხეში მჯდარი ვოისლავ შეშელი მეთაურობს. რაც ყველაზე გულის მომკვლელია დემოკრატებისათვის, პარლამენტში აირჩეს სლობოდან მილოშევიჩიც, რომლის სოციალისტურმა პარტიამ დამაჯერებელი შედეგი აჩვენა.

რეფორმისტულმა პარტიებმა 42 პროცენტი მოაგროვეს, რადიკალებმა –28, ხოლო სოციალისტებმა – 7.

მართალია, ნაციონალისტებს ძალიან მცირე შანსი აქვთ იმისა, რომ სხვა პარტიები გადმოიბირონ, უმრავლესობა შექმნან და მთავრობაში მოვიდნენ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მათი გავლენა სერბიულ პოლიტიკაზე შესამჩნევად გაიზრდება. ეს კი პირველ რიგში დასავლეთთან ურთიერთობაზე აისახება, რომელიც კვლავაც დაჟინებით ითხოვს სამხედრო დანაშაულში ბრალდებული სერბების გადაცემას.

გარდა ამისა, არჩევნების შედეგები სერბიის საერთაშორისო ავტორიტეტზე ძალიან მძიმე დარტყმა აღმოჩნდა.

რადიკალებმა სამჯერ გაზარდეს პარლამენტში თავიანთ წარმომადგენელთა რაოდენობა. მათი წარმატება ცხადყოფს, რომ მოსახლეობა უკმაყოფილია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებით, ლიდერებს შორის გაუთავებელი კინკლაობითა და მყარად ფეხმოკიდებული კორუფციით.

"ამ არჩევნებში უკმაყოფილებამ გაიმარჯვა. ახდა ჩვენი ყველაზე პესიმისტური პროგნოზები," – განაცხადა ერთ-ერთი



მილოშევიჩის ყოფილი თანამებრძოლები ტრიუმფს აღნიშნავენ.

ევროპული ქვეყნის ელჩმა.

მიმომხილველთა მეორე ნაწილი არჩევნების შედეგებს სერბიაში რადიკალური ნაციონალიზმის აღორძინებით ხსნის.

ყველა დემოკრატიულმა პარტიამ ნაციონალისტებთან თანამშრომლობაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მათ შეუძლიათ, კავშირი შეკრან მონარქისტულ პარტიასთან და ამით უმრავლესობა შექმნან. მონარქისტები თავიანთ თავს რეფორმატორებად მიიჩნევენ.

ამ კოალიციაში შემავალი პარტიების მოსაზრებებს შორის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე იმდენად დიდი განსხვავება და მათ ლიდერებს შორის იმდენად დაძაბულია ურთიერთობა, რომ კოალიციას დიდ დღეს არ უწინასწარმეტყველებენ. ეს კი რეფორმების გაგრძელებას ეჭვქვეშ აყენებს. შედეგად, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლა კიდევ უფრო გაჭირდება.

დემოკრატების ბანაკმა უმძიმესი დარტყმა პრემიერ ზორან ჯინჯიჩის მკვლელობის შედეგად განიცადა. მკვლელობა მილოშევიჩის დროინდელ სპეციალური დანიშნულების ჯარებს დაბრალდა, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან ორგანიზებულ დამნაშავეობასთან.

ახლანდელი მთავრობის ვიცე-პრემიერმა ნებოისა კოვიჩმა განაცხადა, რომ შედეგებმა ცხადყო, რომ მოსახლეობამ დასაჯა მთავრობა, რომელმაც ვერ შეძლო მისი ცხოვრების გაუმჯობესება. სერბია სილატაკემ ხანრგძლივი საერთაშორისო იზოლაციის შედეგად მოიცვა.

"მივიღეთ ის, რაც დავიმსახურეთ," – განაცხადა კოვიჩმა.

თუმცა, რეფორმატორების მეორე ნაწილი თავიანთ მარცხში ევროკავშირსა და ჰააგის ტრიბუნალს ადანაშაულებს. ევროკავშირს იმიტომ, რომ სერბიას არ გამოუყო იმდენი დახმარება, რომ ეკონომიკის რესტრუქტურიზაციასა და სამუშაო ადგილების შექმნას ჰყოფნოდა, ჰააგას კი იმიტომ, რომ დაჟინებით მოითხოვს სერბეთისაგან ახალ-ახალი ეჭვმიტანილების ექსტრადირებას.

არჩევნების შედეგებმა დასავლეთს, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ სერბია აგრესიულ ნაციონალიზმზე უარს იტყოდა, იმედი გაუცრუა.

"ჩვენ ეს გამარჯვება ვოისლავ შეშელისთვის, ჰააგაში მყოფი სხვა მსჯავრდებულებისათვის და სერბიის მოქალაქეებისათვის მოვიპოვეთ. კმარა ამდენი დამცირება," – განაცხადა რადიკალების მოქმედმა ლიდერმა ტომისლავ ნიკოლიჩმა.

ჰააგის ტრიბუნალი სერბების წინააღმდეგ მიკერძოებაში დაადანაშაულა აგრეთვე იუგოსლავიის ყოფილმა პრეზიდენტმა კოშტუნიცამაც. სავარაუდოდ, დემოკრატიული ძალების კოორდინაციაში მან გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.

მისმა პარტიამ ხმების 18 პროცენტი მიიღო, პრემიერ ჟივკოვიჩის დემოკრატიულმა პარტიამ - 12,6, ლიბერალურმა კი 17-მა – 11,7, ხოლო მონარქისტებმა – რვა.

# მასობრივი საფლავის საიდუმლო

ალჟირის ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ალჟირში მასობრივი საფლავი აღმოაჩინეს, სადაც ორასამდე ადამიანია დამარხული. უფლებათადამცველების მტკიცებით, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც უკვალოდ ქრებოდნენ მას შემდეგ, რაც ალჟირის საიდუმლო პოლიცია აპატიმრებდა. უფლებათა დაცვის ლიგის მონაცემებით, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ალჟირში შვიდი ათასამდე დაპატიმრებული მოქალაქე უკვალოდ არის გაუჩინარებული.

უკვე დადგენილია მასობრივ საფლავში დამარხული ერთი პიროვნების ვინაობა. ის 1996 წელს გაუჩინარდა. მისი შვილის თქმით, მამამისი პოლიციის შეიარაღებულმა თანამშრომლებმა სახლიდან წაიყვანეს. მათ ადგილობრივი ადმინისტრაციისგან ქონდათ ასეთი ბრძანება მიღებული.

ალჟირში რეგულარულად ტარდება მოქალაქეთა დემონსტრაციები და მიტინგები, რითაც ალჟირელები 90-იან წლებში უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა საქმის გამოძიებას ითხოვენ. მიუხედავად ამისა, ალჟირის ხელისუფლება ამ თემაზე სიჩუმეს ამჯობინებს.

დაპატიმრებულ ადამიანთა გაუჩინარება 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო, როდესაც ისლამისტ ამბოხებულებსა და ხელისუფლებას შორის კონფრონტაციამ პიკს მიაღწია.

ყველაფერი კი 1992 წელს დაიწყო, როდესაც ალჟირელმა სამხედროებმა საყოველთაო არჩევნები ჩაშალეს, რათა ისლამისტური პარტიის ხელისუფლებაში მოსვლა არ დაეშვათ.

ალჟირელი უფლებათადამცველები ამტკიცებენ, რომ მშვიდობიან მოქალაქეთა მასობრივ მკვლელობებში კონფლიქტის ორივე მხარე აქტიურად მონაწილეობდა.

# დახვრეტა დაუსაბუთებელი ქონებისათვის

ორშაბათს ჩინეთის სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ყოფილ გუბერნატორს, რომელმაც ვერ შეძლო, დაესაბუთებინა თავისი ქონების წარმოშობა.

ვან ჰუაიძონი გახდა კიდევ ერთი ჩინელი სამთავრობო მოხელე, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ გააქტიურებულ კამპანიას შეეწირა.

"მისი დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთები სრულიად უეჭველი იყო. მან კი იმის ნაცვლად, რომ დანაშაული ეღიარებინა, ფილოსოფიაში ლექციის კითხვა დაიწყო. იგი აუტანლად იქცეოდა და კანონის თანახმად, მკაცრად დაისაჯა კიდეც," – იუწყება ჩინეთის ოფიციალური ახალი ამბების სააგენტო "სინხუა"

სასამართლომ დაადგინა, რომ 1994 წლიდან 2001 წლამდე ვანმა ქრთამის სახით 5 მილიონი იუანი (600 ათას დოლარზე მეტი) მიიღო.

გამოძიების დაწყებისას სახელმწიფომ მის ქონებას ყადაღა დაადო. ვანმა ვერ შეძლო, აეხსნა, საიდან ჰქონდა 4,8 მილიონი იუანი. "მისი ქონება აშკარად აჭარბებდა მის ლეგალურ შემოსავალს. განსხვავება უზარმაზარი იყო. მან ვერ ახსნა ეს განსხვავება," – იუწყება სინჰუა

ვანი შეეცადა, თავისი ქონება გამომძიებლების მოსაქრთამად გამოეყენებინა, მაგრამ უშედეგოდ.

ვანი ამტკიცებს, რომ უდანაშაულოა. "ისტორია დაამტკიცებს, რომ ეს უდიდესი უსამართლობაა," – აცხდებს იგი. იგი 2001 წელს დააპატიმრეს და მოგვიანებით პარტიიდან გარიცხეს.

ჩინეთის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კომუნისტური პარტია განწირულია, თუ კორუფციის დაძლევას ვერ მოახერხებს. მექრთამეობისათვის წელს თანამდებობიდან გაათავისუფლეს ლიაონინის პროვინციის ვიცე-გუბერნატორი, ხოლო ქალაქ შენძენის მერს იმავე დანაშაულისათვის 20 წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

ჩინეთის ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც კორუფციისათვის დაისაჯა, პეკინის კომპარტიის პირველი მდივანი და ყოვლისშემძლე პოლიტბიუროს წევრი იყო. მას 16 წლით პატიმრობა მიესაჯა.

პარლამენტის ვიცი-სპიკერი, ჩენ კეი 2000 წელს კორუფციისათვის სიკვდილით დასაჯეს.

1949 წელს ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შემდეგ, ჩინეთში კორუფცია, პრაქტიკულად, აღმოიფხვრა, თუმცა 70-იანი წლებიდან დაბრუნდა და მას შემდეგ აღმავლობას განიცდის.

*როიტერი*

# ბამი - ეპიდემიების მოლოდინში

მიწისძვრისგან დანგრეულ ირანის ქალაქ ბამში ჩასულ მაშველებს ნანგრევების ქვეშ მოყოლილი ადამიანების გადარჩენის ბოლო იმედი ამოეწურათ. მათი აზრით, ამჟამად მთელი ყურადღება ღია ცის ქვეშ დარჩენილი ხალხის მოვლა-პატრონობაზე უნდა იყოს კონცენტრირებული, რადგან უსახლკარო ადამიანებს ძლიერი ყინვის პირობებში უკვე მესამე ღამის გათევა უწევთ. მიწასთან გასწორებულ ქალაქში სამაშველო სამუშაოების უკეთ გაცნობისათვის გუშინ ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ჰამენეი ჩავიდა. ირანის ხელისუფლება იტყობინება, რომ ათი ათასობით დაშავებულ და დაჭრილ ადამიანს პირველ რიგში სისხლი, წყალი და საკვები ესაჭიროება. საერთაშორისო დახმარების მიუხედავად, ტრაგედიის ადგილას სამივე საგნის მწვავე დეფიციტი იგრძნობა.

ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, დაღუპულთა რიცხვმა უკვე გადააჭარბა 22 ათასს.

სამაშველო ოპერაციებში თექვსმეტი ქვეყნიდან ჩასული ოთხასამდე მაშველია ჩართული.



მაშველები იძულებულნი არიან, საერთო ძმათა საფლავები გათხარონ.

მიუხედავად ამისა, ნანგრევების ქვეშ კვლავ ათასობით ადამიანი იმყოფება. ხელისუფლება უკვე დარწმუნებულია, რომ მსხვერპლის რაოდენობა რამდენიმე დღეში 30 ათასს გადააჭარბებს. სამაშველო სამუშაოებს განსაკუთრებით აფერხებს ბულდოზერების, ექსკავატორების და სხვა ტექნიკის სიმწირე.

ბამში ჩასულ სამაშველო ექსპედიციების წევრებზე დაყრდნობით, საინფორმაციო წყაროები იუწყებიან ქალაქში მოსალოდნელი ეპიდემიების საფრთხეზე. **"ჩვენ უკვე ვგრძნობთ სიკვდილის სუნს. თუკი ამ კვირის ბოლომდე რაიონი მთლიანად არ გაიწმინდება, ეპიდემიების საფრთხე რეალურია,"** - განუცხადა "ბიბისის" კორესპონდენტს ერთ-ერთმა ირანელმა სპეციალისტმა.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ადგილობრივი სასაფლაო უკვე მთლიანად გავსებულია, ამიტომ მაშველები იძულებულნი არიან, საერთო ძმათა საფლავები გათხარონ. ეპიდემიის საფრთხეს კიდევ უფრო რეალურს ხდის სასმელი წყლის უკმარისობა.

# რუსეთის ახალ სათათბიროს ახალი თავმჯდომარე ჰყავს



დუმის ახალი სპიკერი ბორის გრიზლოვი.

რუსეთის ფედერაციის ახალი, მეოთხე მოწვევის სათათბირო გუშინ პირველ სხდომაზე შეიკრიბა. ახალ დეპუტატებს პრეზიდენტმა პუტინმა სიტყვით მიმართა, სადაც ქვეყნის განვითარების ძირითად მიმართულებებზე ისაუბრა და დეპუტატებს წარმატება უსურვა.

დუმის პირველი სხდომის მთავარი შედეგი თავმჯდომარის არჩევა იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარედ უპრობლემოდ აირჩიეს პუტინის მომხრე გაერთიანება "ერთიანი რუსეთის" თავმჯდომარე ბორის გრიზლოვი. მან 352 ხმა მიიღო, მაშინ როცა გამარჯვებისათვის 226 დეპუტატის მხარდაჭერაც საკმარისი იყო. გრიზლოვის მეტოქეები იყვნენ ივან მელნიკოვი (კომპარტია), ვლადიმირ ჟირინოვსკი (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია) და სერგეი ბაბურინი ("სამშობლო").

ბორის გრიზლოვი 1950 წლის 15 დეკემბერს ვლადივოსტოკში დაიბადა, თუმცა მისი ოჯახი მალე პეტერბურგში (მაშინდელ ლენინგრადში) გადასახლდა. იქვე ოქროს მედალზე დაასრულა სკოლა და ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების შუა ხანებამდე იგი პროფესიით მუშაობდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, დიდი წარმატებებით არასდროს ბრწყინავდა. 1998 წელს სანკტ-პეტერბურგის თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, თუმცა დამარცხდა. 1999 წელს კი სახელმწიფო სათათბიროს წევრი გახდა გაერთიანება "ერთობის" სიით. გრიზლოვი "ერთობის" პეტერბურგის ბიუროს ხელმძღვანელობდა. ერთი საინტერესო დეტალი, მისი 24 წლის ვაჟი დიმიტრი პიტერული "ერთობის" ახალგაზრდული ფრთის ლიდერია და, ამ პოსტზე მოხვედრაში, როგორც ამბობენ, მამის ხელი ურევია. 2000 წელს გრიზლოვი დუმაში "ერთობის" ფრაქციის თავმჯდომარე გახდა. 2001 წლის მარტში კი პეტერბურგელმა პუტინმა პეტერბურგელი გრიზლოვი შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა. ამბობენ, რომ ბორისი და ვლადიმირი ერთმანეთს ახალგაზრდობიდან იცნობენ, როცა ორივე სპორტით იყო გატაცებული. გრიზლოვი რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში პირველი სამოქალაქო მინისტრი იყო, თუმცა ამას სისტემაში დიდი რეფორმები არ მოჰყოლია. ბორის გრიზლოვის წარმატებულ კარიერას კრემლში პუტინის "პეტერბურგული დაჯგუფების" გაძლიერებას უკავშირებენ. ახლა გრიზლოვს ახალი სიმაღლის დაპყრობა უწევს. ამაში მას უთუოდ დაეხმარება 2001 წელს დაცული საკანდიდატო დისერტაცია პოლიტოლოგიაში.

# ბრიტანელი სპეცაგენტები ცას მიემგზავრებიან

ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით დასავლეთის ქვეყნები მასშტაბური ტერაქტების მოლოდინში არიან. ამ საფრთხისადმი მოლოდინი განსაკუთრებით აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში იგრძნობა. ორივე ქვეყანაში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული. სამართალდამცავი ორგანოები და სპეცსამსახურები მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე არიან გადაყვანილები.

გუშინ საერთაშორისო საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბრიტანეთის ავიახაზებზე ტრანსატლანტიკური მიმართულების რეისებზე სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულ სპეცსამსახურების თანამშრომლებს მიავლენენ. ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის დევიდ ბლანკეტის განცხადებით, ამ ნაბიჯის გადადგმა აშშ-ში უსაფრთხოების მაჩვენებელი დონის ამაღლებას უკავშირდება.

თუმცა, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე დიდი ბრიტანეთის მთავრობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავიაკომპანიების ხელმძღვანელებთან აქტიური მოლაპარაკების გამართვა მოუწია. თავის მხრივ, ინგლისის პროფკავშირებიც თვლიან, რომ თვითმფრინავების პილოტებს სრული უფლება აქვთ, უარი თქვან შეიარაღებულ ხალხთან ერთად რეისების შესრულებაზე. **"ჩვენ არ ვთვლით, რომ ავიარეისების შესრულება და ცეცხლსასროლი იარაღი ერთმანეთთან თავსებადია,"** - განაცხადა ბრიტანეთის პილოტების ასოციაციის წარმომადგენელმა ჯიმ მაკოსლენმა. მან დასძინა, რომ თვითმფრინავის ბორტზე ყველანაირ ვითარებაზე კონტროლი ავიახომალდის კაპიტანს ევალება.

ბრიტანული საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ სპეცაგენტების მონაწილეობით ავიარეისების განხორციელება უკვე დღეიდან დაიწყო. სპეცაგენტები სამოქალაქო ტანსაცმელში იქნებიან გამოწყობილები, ისე რომ, ჩვეულებრივი მგზავრებისგან ვერავინ განასხვავოს. ისინიც მგზავრების მსგავსად გაივლიან რეგისტრაციას და საბაჟო შემოწმებებს.

ამ ნაბიჯის გადადგმის ერთ-ერთ მიზეზად საერთაშორისო აეროპორტებში მომხდარი მოვლენები იქცა. კერძოდ, გასულ კვირას, პარიზიდან ლოს-ანჯელესის მიმართულებით, ექვსი რეისი გააუქმა ავიაკომპანია "ეარ ფრანსმა," რის მიზეზადაც ტერაქტის შესაძლო საფრთხე დაასახელეს. რამდენიმე დღის წინ, იმავე მიზეზით, ნიუ-იორკის "ლა გარდიას" აეროპორტში ავიაკომპანია "დელტა ეარის" მგზავრების ევაკუაცია განხორციელდა. ამიტომ, დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა გადაწყვიტეს, ჰაერშიც შეებრძოლონ საერთაშორისო ტერორისტებს. არ არის გამორიცხული, რომ მათი ეს გადაწყვეტილება ბევრი ქვეყნისათვის მისაბაძი გახდეს.

## საახალწლო საჩუქარი "დედმაროზისგან"



შეხვედრა რუსეთის საელჩოში.

გუშინ საქართველოში რუსეთის საელჩოში საახალწლო შეხვედრა შედგა. ელჩმა ვლადიმირ ჩხიკვიშვილმა ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვა.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ბიოლოგიისა და ქიმიის ოლიმპიადებში საქართველოს 172 რუსულენოვანი სკოლის ათასხუთასამდე მოსწავლე მონაწილეობდა.

მათგან გამარჯვებულები გუშინ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ. მათ საჩუქრად ტელევიზორები და ვიდეოფლეიერებიც გადაეცათ.

ამავე შეხვედრაზე დაჯილდოვდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კონკურსში გამარჯვებულიც - მეცხრე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

შეხვედრაზე ლაურეატის დიპლომები გადაეცათ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვში ჩატარებულ კონკურსში: "მოსკოვი ბავშვების თვალით".

შეხვედრის ბოლოს ელჩმა გამარჯვებულებთან ერთად ფოტო გადაიღო.

*24საათი*

## ჯავრიშვილის სასწაული შედგა

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ 47 წლის ბოლნისელმა რევაზ ლაზარიშვილმა 1981 წელს ორივე თვალის ორთქლით დაწვის შედეგად მხედველობა დაკარგა. მას მოსკოვში ოთხჯერ გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ ეს ის შემთხვევა გამოდგა, როცა ჩვეულებრივი რქოვანას გადანერგვა შედეგს არ იძლეოდა. ასეთი პაციენტების შედეგიანი ოპერირება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც მოსკოვის ფიოდოროვის თვალის კომპლექსში, გიორგი ჯავრიშვილის უშუალო მონაწილეობით, შეიმუშავეს კერატოკომპლექსის გადანერგვის ახალი მეთოდი და პირველად მსოფლიოში, 27 ოპერაციაც გააკეთეს (მათ შორის, 12 გიორგი ჯავრიშვილმა შეასრულა). ძალიან კარგ შედეგად მიიჩნევა მხედველობის 20-30 პროცენტით აღდგენა, მაქსიმალური შედეგი 70 პროცენტია.

ჩვენმა პაციენტმა კი, თავად განსაჯეთ, ოპერაციიდან 24 საათის შემდეგ მაჯის საათი დაინახა. "3 საათი და 46 წუთია," – კიდევ ერთხელ გაახარა ყველა ბატონმა რეზომ, როცა მისი ნათესავებით სავსე პალატაში შევედით.

რეზო ლაზარიშვილი: **"პირველად თვალი გავახილე თუ არა, თითები დავინახე, მერე – მაჯის საათი და ფერებიც გავარჩიე. ცოლს შევხედე და ის ვუთხარი, რომელ მხარეს უფრო მეტი ჭაღარა შერევია. ახლა ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულება. თვალები რომ დამეწვა, ოთხი დღის შემდეგ ბიჭი შემეძინა. ცხადია, არ მინახავს, მაგრამ ახლა ორმაგი ბედნიერება მეწვია. შვილი და შვილიშვილი ერთდროულად ვნახე, კაცო!**

**ერთი რამე მინდა, ჟურნალისტებს გთხოვოთ. გააგებინეთ ქვეყანას ბატონი გიორგი ჯავრიშვილის ამბავი, რომ ჩვენ გვყავს ოქროსხელებიანი კაცი, რომელიც სასწაულებს სჩადის. ჩემნაირად, ალბათ, ბევრი ადამიანია და იმათმა იცოდნენ."**



"ოქროს ხელები აქვს ჩემს ექიმს".

ბოლოს ოპერაციის მსვლელობის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ თავად გიორგი ჯავრიშვილს: **" იმის გამო, რომ პაციენტს რქოვანის სინდრომი ჰქონდა, მოგვიხდა ნარკოზის მიცემა. საერთოდ, ასეთ ოპერაციებს ადგილობრივი გაუტკივარებით ვაკეთებთ.**

**თავად ოპერაცია საათნახევრის განმავლობაში გაგრძელდა. მიმდინარეობდა ჩვეულებრივად, ეტაპებით, როგორც თავიდანვე გვქონდა დაგეგმილი – რქოვანის გამოცვლა (როცა ჩაინერგა კერატოპროტეზი) და კატარაქტა (ბროლის მოცილება).**

**ბროლი მოვაცილეთ იმიტომ, რომ შემდგომში, როგორც წესი, ბროლი იმღვრევა ხოლმე და, ხელმეორე ქირურგიული ჩარევა რომ არ დაგვჭირვებოდა, წინასწარ მოვაცილეთ.**

**კერატოკომპლექსში გათვალისწინებული ცილინდრი ასრულებს როგორც რქოვანის, ასევე, ბროლის გარდამტეხუნარიანობას.**

**ოპერაციის შემდგომ პაციენტი თავს კარგად გრძნობდა მთელი ღამის განმავლობაში, მაგრამ მაინც დილა იყო მთავარი. შეიძლებოდა, შედეგი იმ დილას არ ყოფილიყო და საღამოსთვის მიგვეღო, როცა თვალი უფრო დაწყნარდებოდა. თუმცა, როგორც ოპერაციის წინ განვაცხადე, შეიძლებოდა, შედეგი საერთოდ არ მიგვეღო. საბედნიეროდ, ჩვენ შემთხვევაში გამოჩნდა მესამე, ყველაზე კარგი ვარიანტი, როცა შედეგი მაშინვე მივიღეთ, რაც შემდგომი წარმატებული რეაბილიტაციის იმედს იძლევა. ოპერაციიდან 24 საათის შემდეგ ასეთი შედეგის მიღებამ ყველა ძალიან გვასიამოვნა.**

**ჩვენ კი არა, უცნობი ადამიანები რეკავდნენ და პაციენტის მდგომარეობას კითხულობდნენ. ჩვენი რაიონული ფილიალებიდან გვირეკავენ, - ხალხი იმ კაცის ამბავს კითხულობსო. იმ დღეებში ერთ კახელ კაცს გავუკეთეთ ოპერაცია. შვილიშვილები ჩამოვიდნენ სანახავად და პირველად ის იკითხეს, - ის კაცი როგორ არისო.**

**ხალხს მოენატრა წარმატება და კარგი ამბების გაგება."**

ჩვენი ქვეყნის წარმატების ამბავს მალე მთელი მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოება გაიგებს - როცა გიორგი ჯავრიშვილი თავის სადოქტორო დისერტაციას დაიცავს.

### მოკლედ

#### ფლეველების თხოვნა სააკაშვილს

ხაშურის რაიონის სოფელ ფლევის მოსახლეობამ გუშინ თბილისის საკრებულოს წინ საპროტესტო აქცია გამართა. ფლეველები არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვებასა და, ამ მიზნით, საკრებულოს თავმჯდომარესთან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვენ. როგორც აქციის მონაწილეები განმარტავენ, ხაშურის რაიონში 4 იანვარს, საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად, ტარდება პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნების მეორე ტური. ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვალერი გელაშვილი კი ფლეველებს ხელოვნურ ბარიერს უქმნის, რათა მათ ვერ გაიარონ წინასწარი რეგისტრაცია და მან არჩევნებში გამარჯვება უფრო ადვილად მოიპოვოს. სოფელ ფლევის მკვიდრნი უნდობლობას უცხადებენ, ასევე, საუბნო საარჩევნო კომისიას და აღნიშნავენ, რომ კომისია მთლიანად ვალერი გელაშვილის მხარდამჭერებით არის დაკომპლექტებული. ფლეველები მიხეილ სააკაშვილს სთხოვენ იმაზეც გაამახვილოს ყურადღება, რომ თუ ისინი არჩევნებში ვერ მიიღებენ მონაწილეობას, ეს ხმები მასაც დააკლდება. აქციის მონაწილეები მოითხოვენ, მიხეილ სააკაშვილმა მათ საარჩევნო უბანს ყურადღება მიაქციოს - ან ჩავიდეს ფლევში, ან თბილისში შეხვდეს მათ. ფლეველები აცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ "ვარდების რევოლუციას" და მიხეილ სააკაშვილს. **ინტერ-პრესი**

#### ინციდენტი მე-9 ენერგობლოკზე

გუშინ დილით მე-9 ენერგობლოკის ტერიტორიაზე შეჭრილ 100-მდე გარდაბნელს პოლიციამ "თბილსრესის" ტერიტორია დაატოვებინა. მომხდარი ინციდენტის გამო, გუშინ საღამოსთვის დაგეგმილი მე-9 ენერგობლოკის ჩართვა რამდენიმე საათით გადაიდო. გარდაბნის მოსახლეობა ბლოკის ტერიტორიაზე შეჭრას სექტემბერშიც ცდილობდა; მაშინ მათ მე-9 ენერგობლოკთან მისასვლელი გზა გადაკეტეს. 2001 წლის დეკემბერს მე-10 ენერგობლოკის აფეთქების შედეგად დაზარალებული გარდაბნის რაიონის მოსახლეობა გუშინ დილით "თელასის" მე-9 ენერგობლოკის ტერიტორიაზე შეიჭრა. აქციის მონაწილეები კომპანიისგან მათთვის მიყენებული ზარალის კომპენსაციას მოითხოვდნენ. "თელასში" აცხადებენ, რომ, ურთიერთშეთანხმების და სახელმწიფო კომისიის დასკვნის საფუძველზე, "ეი-ი-ესმა" პირველ დაზარალებულ ზონაში მცხოვრებ 300 ოჯახისთვის 350 ათასი ლარი უკვე გასცა. "მეორე კომისიაში, რომლის დასკვნის საფუძველზეც, დღევანდელი აქციის მონაწილეები კომპენსაციას ითხოვენ, "თელასის" სპეციალისტებს მონაწილეობა არ მიუღიათ, ამიტომ ეს საქმე, ჯობს, სასამართლომ გაარჩიოს," - აცხადებენ კომპანიაში. **ინტერ-პრესი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები, შესაძლოა, წინასაახალწლოდ უხელფასოდ დარჩნენ. მათი კუთვნილი ნოემბრის თვის ხელფასი მუნიციპალური ბიუჯეტიდან საბანკო ანგარიშზე მხოლოდ გუშინ გადაირიცხა. დედაქალაქის პედაგოგების კუთვნილი დეკემბრის თვის ხელფასები იანვარში გაიცემა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპენსიო ფონდმა თბილისელი პენსიონერების პენსიების ოქტომბრის თვის დაფინანსება დაასრულა. წლევანდელი ნოემბერ-დეკემბრის დაფინანსება, სავარაუდოდ, მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული. 29-30-31 დეკემბერს დასრულდება მერიის ბალანსზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ნოემბრის თვის ხელფასების გაცემა. ახალ წლამდე გაიცემა საოჯახო დახმარებებიც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაში გარლვევამ წელს 11.16 მილიონი ლარი შეადგინა. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, 29 დეკემბრის მდგომარეობით, ეს პროგრამები დაფინანსებულია 53.755 მილიონი ლარით, მაშინ, როცა წლიური გეგმა, ბიუჯეტით, 64.9 მილიონი ლარით არის განსაზღვრული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "წყნეთელები ამიერიდან ბუნებრივ აირს შეუფერხებლად და სტაბილური წნევით მიიღებენ`, - ითქვა გუშინ თბილისის მერიაში გამართულ ტრადიციულ თათბირზე. წყნეთის შესასვლელში, დაახლოებით, 400-მეტრიან მონაკვეთზე დაზიანებული იყო ბუნებრივი აირის ცენტრალური მაგისტრალის 250 მმ-იანი მილი. „თბილგაზის“ მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად იგი აღდგენილია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მეტროპოლიტენის დირექტორის გურამ გაბუნიას განცხადებით, გადაწყვეტილება 31 დეკემბერს მეტროს 03.30 საათამდე მუშაობის შესახებ საბოლოო არ არის და, შეიძლება, მოსახლეობის სასარგებლოდ შეიცვალოს. ახალი წლის ღამეს მეტროპოლიტენმა, შესაძლოა, უფრო გვიანობამდე - მგზავრთა ნაკადის შესაბამისად იმუშაოს, თუმცა 1 იანვარს იგი მუშაობას მოგვიანებით განაახლებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მეტროპოლიტენით სარგებლობის ახალი სამგზავრო ბარათები 1 მარტიდან ამოქმედდება. მანამდე ორი თვის განმავლობაში მოსახლეობას ძველი ბარათებით სარგებლობა შეეძლება. ბარათებს, როგორც შარშან, თბილისის მეტროპოლიტენის დაკვეთით, ხარკოვის მეტროპოლიტენი მოამზადებს, თუმცა რა რაოდენობით დაიბეჭდება ახალი ბარათები, ჯერჯერობით, უცნობია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალი წლიდან თბილისში მიკროავტობუსების სამარშრუტო ხაზებზე მომუშავე ტრანსპორტის მფლობელთათვის ახალი ტენდერი გაიმართება. წელს იწურება იმ ხელშეკრულებების ვადა, რომელიც მათთან ორი წლის წინათ გაფორმდა.

ახალი სატენდერო პაკეტის შემუშავებამდე მიკროავტობუსების მფლობელებს ხელშეკრულების ვადა გაუგრძელდებათ. **მედია-ნიუსი**

## კარტოზიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვენ

*ყოფილი ესთეტიკური აღზრდის ცენტრის თანამშრომლები პროკურატურისგან განათლების მინისტრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მეორედ მოითხოვენ. "სამი წელია, ალექსანდრე კარტოზია ცენტრის შენობის გაყიდვას ცდილობს," – აცხადებენ ისინი. განათლების სამინისტრო კი ამტკიცებს, რომ ცენტრის თანამშრომლები ვერაფრის შეცვლას ვერ შეძლებენ.*

ნანა ქადაგიშვილი

ესთეტიკური აღზრდის ცენტრი თბილისში 40 წლის წინათ დაარსდა. ეს შენობა ვახტანგ ჭაბუკიანს აუშენებია და ახალგაზრდებისთვის გადაუცია. 3 წლის წინათ აღნიშნული საბიუჯეტო ცენტრის ადგილას შპს "ჰარმონიული განვითარების ცენტრი" ჩამოყალიბდა. ესთეტიკური ცენტრის თანამშრომელთა ნაწილი შპს-ში დასაქმდა, ნაწილი კი უსამსახუროს დარჩა. როგორც განათლების სამინისტროში განმარტავენ, ცენტრის საქმიანობის შეჩერების მიზეზი ის გახდა, რომ სამი წლის წინათ სკოლისგარეშე დაწესებულებებს ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუწყდათ. **"ამიტომაც, საბიუჯეტო ცენტრის ბაზაზე შპს "ჰარმონიული განვითარების ცენტრი" ჩამოყალიბდა. სახელი შეეცვალა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ახალი ცენტრი ძველის სამართალმემკვიდრე გახლავთ. ესთეტიკური აღზრდის ცენტრის ყველა თანამშრომელს შევთავაზეთ, საქმიანობა შპს-ში გაეგრძელებინათ; წარმოედგინათ პროქტები, რისი გაკეთებაც შეეძლოთ; გაექირავებინათ შენობა, რათა საკუთარი დაწესებულება თვითონვე ერჩინათ. ცენტრის თანამშრომელთა ნაწილი დაგვთანხმდა, ნაწილმა კი კატეგორიული უარი განაცხადა - ისინი კვლავ ძველი ცენტრის განახლებასა და ბიუჯეტიდან დაფინანსებას მოითხოვენ. ამაზე უარს არც სამინისტრო იტყოდა, მაგრამ ცენტრის ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხი განათლების სამინისტროს კომპეტენციას სცილდება. ესთეტიკური ცენტრის თანამშრომლებმა სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, პროკურატურაშიც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ არაფერი გამოვიდა, პროკურატურამ საქმე დახურა,"** – გამოგვიცხადა განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროსმა დავით ჯალაღანიამ.

ესთეტიკური ცენტრის თანამშრომლები კი სულ სხვაგვარად ფიქრობენ: **"ალექსანდრე კარტოზიამ ცენტრი მიზანმიმართულად დახურა, რათა პრესტიჟულ ადგილას (აღმაშენებლის გამზირზე) მდებარე შენობა გაეყიდა. სამი წლის წინათ, როცა ჩვენი ცენტრი გაუქმებულად გამოცხადდა, სასამართლოს მივმართეთ და აღმოჩნდა, რომ ცენტრი იურიდიულად გაუქმებული არ იყო. სასამართლომ ჩვენი სარჩელი დააკმაყოფილა, მაგრამ მინისტრმა შენობაში მაინც არ შეგვიშვა. ესთეტიკური ცენტრის ნაცვლად, შექმნა შპს, რომლის ხელმძღვანელადაც ლევან მამალაძის მეგობარი ლენა ნებიერიძე დანიშნა და ახლა ისინი ერთად ცდილობენ შენობის გაყიდვას. მართალია, სასამართლომ შენობას ყადაღა დაადო, მაგრამ ჰარმონიული განვითარების ცენტრის ახალმა ხელმძღვანელმა შენობის ნახევარი უკვე გააქირავა და, ალბათ, მალე გაყიდვასაც შეეცდებიან."**

განათლების სამინისტრო აღნიშნულ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ თუკი საბიუჯეტო დაფინანსება არ იქნება, ესთეტიკური აღზრდის ცენტრს ვერც სასამართლო აღადგენს და ვერც - პროკურატურა. თუმცა, საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის ხელმძღვანელი ნანული ქაჩიბაია და განათლების ქვეკომისიის თავმჯდომარე გია მურღულია ცენტრის თანამშრომლებს დახმარებას შეჰპირდნენ.

## ზუგდიდელები იმუქრებიან

სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ გამაფრთხილებელი აქცია გამართა სამეგრელოს რეგიონიდან ჩამოსულმა „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლებისა და პენსიონერების ჯგუფმა, რომლებიც ახალ ხელისუფლებას და პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილს მათი ინტერესების დაცვას სთხოვენ. ფოსტის თანამშრომლებს პრეტენზია აქვთ ზუგდიდის კომერციული ბანკის ხელმძღვანელის ბესიკ ბეჟიას მიმართ, რომელმაც, მათი თქმით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ფოსტის საკადრო საკითხებზე თვითნებურად აიღო პასუხისმგებლობა და ცდილობს, ძველი თანამშრომლები სამსახურიდან დაითხოვოს, ხოლო მათ ადგილზე საკუთარი ნაცნობები დაასაქმოს. რაც შეეხება პენსიონერებს, ისინი აცხადებენ, რომ კომერციულმა ბანკმა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ პენსიების თანხები წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში დახარჯა და დღეს ზუგდიდის ფოსტაში დავალიანების გასასტუმრებელი თანხა აღარ შედის. ზუგდიდის, სენაკის და წალენჯიხის მცხოვრებლები მხარდაჭერას უცხადებენ დღევანდელ ხელისუფლებას და სააკაშვილისგან ითხოვენ, პრეზიდენტად არჩევისთანავე ერთ-ერთ პრიორიტეტად აქციოს საქართველოს ფოსტის მუშაკებისა და პენსიონერების უფლებების დაცვის საკითხი; „წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე ვარდების რევოლუცია სამეგრელოში დაიწყება“, - აცხადებენ აქციის მონაწილეები.

*მედია-ნიუსი*

ზღვარი

## გეშინოდეს სიბერის

დღეს პენსიონერები სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ. რა იქნება ხვალ?

*საბაზრო ეკონომიკაზე გადასულ-გადაყვანილებს წარსულში "დაგვრჩა" ის სამომავლო გარანტიები, რომელთაც საბჭოთა სახელმწიფო იძლეოდა. მაშინ ნებისმიერ ადამიანს ჰქონდა მყარი გარანტია იმისა, რომ სიბერეში სახელმწიფო არ დაივიწყებდა და ხანდაზმულობისას სამყოფ პენსიას გადაუხდიდა. მაგრამ... ამქვეყნად თურმე მყარი გარანტია არ არსებულა... ახალმა წყობამ მთლიანად მოშალა მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების სისტემა. შედეგად, დღეს შემაშფოთებელია თითოეული იმ მოქალაქის ბედი, რომელთაც სახელმწიფო სიბერეში, 14-ლარიანი პენსიის გარდა, ვერაფერს ჰპირდება.*

მაია ურუშაძე

პენსიონერები უმძიმესი ტვირთია განვითარებული ქვეყნებისათვის. პენსიონერთა რიცხვის სწრაფი მატების გამო, გაისად თვით იაპონიაშიც კი ბიუჯეტის დეფიციტი 45 პროცენტს მიაღწევს.

მოსახლეობის სწრაფი დაბერების პრობლემა აწუხებს ევროპასაც. გერმანიის მთავრობის მიერ შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა ქვეყნის საპენსიო სისტემის რეფორმირებისათვის ერთობ რადიკალური წინადადებები წამოაყენა და სახელმწიფოს საპენსიო ასაკის 67 წლამდე გაზრდა, 2005 წლამდე პენსიების გაცემის შეჩერება და სისტემაში კერძო სექტორის უფრო ფართოდ დაშვება შესთავაზა. კომისია ირწმუნება, რომ, ამგვარი რეფორმების გარეშე, საპენსიო სისტემა ერთ მშვენიერ დღეს, უბრალოდ, აღარ იარსებებს, ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა საშუალო ასაკის ზრდა, შობადობის დაბალი მაჩვენებელი და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი.

ასეთი საშიშროების წინაშე დგას განვითარებული მსოფლიო. რა უნდა იღონოს საქართველომ, რომელსაც საპენსიო სისტემები ამჟამად მთლიანად მოშლილი აქვს? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენს დღევანდელ ქართულ რეალობაში მოქალაქეების სიბერე სრულიად დაუცველია.

დღევანდელ ქართულ სინამდვილეში საპენსიო სისტემები შემდეგნაირადაა მოწყობილი: არსებობს სახელმწიფო საპენსიო სისტემა, რომელსაც, სავალდებულო წესით, ავსებენ კერძო თუ იურიდიული პირები. სახელმწიფო საპენსიო სისტემის უმთავრესი პრინციპი (რასაც, სხვათა შორის, ბევრი ექსპერტი ნაკლოვანებად მიიჩნევს) ისაა, რომ გადახდილი თანხა მაშინვე იხარჯება ამჟამინდელ პენსიონერებზე და არ ხდება მისი დაგროვება თავად ამ გადამხდელთა სიბერის უზრუნველყოფის მიზნით. დღეს არსებული სისტემით, დღევანდელი გადამხდელები საპენსიო ფონდში ფულს იხდიან მათთვის, ვინც იხდიდა გუშინ. დღევანდელი გადამხდელების უზრუნველყოფა კი ხვალინდელი გადამხდელების თანხებით მოხდება.

მაგრამ, მსოფლიოში არსებობს კერძო საპენსიო ფონდების პრაქტიკაც. როგორც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე განმარტავს, - **"მათ არსებობას დღეს არავინ კრძალავს, მაგრამ, როგორც არამდგრადი ფინანსური სისტემები, ისინი საზოგადოების ნდობით არ სარგებლობენ."** ეს ბუნებრივიცაა: მოსახლეობამ არ იცის, რა ბედი ეწევა კერძო საპენსიო ფონდში შეტანილ თანხას. **"ამ ტიპის ფონდში ფულს რომ შეიტან, არავინ იცის, ეს ფონდი როგორ განკარგავს მას: მერე სად წაიღებს და როგორ შეინახავს. მით უმეტეს, რომ ჩვენთან არ არის განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მიწის ბაზარი - ანუ ის სექტორები, სადაც შეიძლება ამ ფონდმა ეს ფული დააბანდოს. ის ამ თანხას სესხადაც ვერ გასცემს, რადგან საბანკო სისტემად ვერ გადაიქცევიან,"** – მიიჩნევს გოცირიძე. მისი თქმით, არსებობს იდეა, რომ საპენსიო ფონდის ნაწილი სავალდებულო წესით ივსებოდეს და შემოსული თანხით სახელმწიფომ მინიმალური პენსიის უზრუნველყოფა იკისროს. მეწარმეების მიერ გადახდილი თანხების ნაწილი კი კერძო საპენსიო ფონდებში დაგროვდეს. გოცირიძე მიიჩნევს, რომ ეს დღევანდელ საქართველოში დაუშვებელია, რადგან ამ შემთხვევაში აქ უსწრაფესად ჩამოყალიბდება კერძო სადაზღვევო ფირმები და ფონდები, რომლებიც საპენსიო თანხას სავალდებულო წესით გადაგახდევინებენ. იმ დროისთვის კი, როცა გადამხდელს საპენსიო ასაკი მოუწევს და ამ თანხის მიღებაზე მიდგება საქმე, მათი კვალიც კი გაქრება. **"იმისათვის, რომ ამ ტიპის - დასავლური მოდელის საპენსიო სისტემამ ჩვენთან იმუშაოს, ქვეყნის განვითარების დონე უნდა ამაღლდეს და ეკონომიკა გაძლიერდეს,"** – მიიჩნევს გოცირიძე.

დღევანდელი საპენსიო მოწყობის თანახმად, დაბალანაზღაურებადი და მაღალანაზღაურებადი ადამიანების პენსია ერთნაირია.



"თავსაფრიანი დედაკაცი".

მართალია, დღის წესრიგში დგას საკითხი, რომ პენსიები სტაჟისა და ხელფასის ოდენობის მიხედვით გაიცეს, მაგრამ ეს სამომავლო საკითხია; თანაც, გადაწყდება თუ არა დადებითად, ძნელი სათქმელია.

ამიტომ, გოცირიძის აზრით, ამ ეტაპზე საპენსიო სისტემების მოწყობა შემდეგნაირად შეიძლება: უნდა იყოს აუცილებელი მინიმალური პენსია, რომელსაც სახელმწიფო გადაუხდის ხანდაზმულ მოქალაქეებს. ამის გარდა კი, ყველას, ვინც მუშაობს, უნდა ჰქონდეს პირადი საბარათე ანგარიშები, სადაც გარკვეული თანხა დაგროვდება სიბერის უზრუნველსაყოფად. **"მაგრამ, ეს სახელმწიფო სისტემამ უნდა მართოს და არა კერძო საპენსიო ფონდმა,"** – განმარტავს გოცირიძე. მისივე თქმით, დღეს მსგავსი სისტემის შექმნის მცდელობები უკვე აღინიშნება.

რაც შეეხება ამ ფონდის შევსების საკითხს: დღეს ამ ფონდს ყველაზე დიდ ზიანს აყენებს სოციალური გადასახადების გადახდისათვის თავის არიდება. ამ პრობლემის მოგვარებისათვის დასაქმების სახელმწიფო ფონდის დირექტორი რევაზ საყვარელიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებას, რაც, თავის მხრივ, მეწარმეებს ხალხის არალეგალურად დასაქმების და ამ გადასახადისათვის თავის არიდების საშუალებას აძლევს: **"დღეს რეალური ხელფასის დამალვა ორივე მხარის ინტერესებშია, რადგან საგადასახადო ტვირთია მაღალი."**

საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ნორმალური ადმინისტრირების პირობებში საგადასახადო ტვირთის შემცირებას არ მოჰყვება შენატანების შემცირება სოცდაზღვევის ფონდში. **"პირიქით, შეიძლება გაიზარდოს კიდეც, რადგან ამ შემთხვევაში ლეგალურად დასაქმებულთა რიცხვი გაცილებით იზრდება,"** – ასეთია მისი პოზიცია.

ასე რომ, როგორც ჩანს, დასაქმების, ხანდაზმულთა პენსიებით უზრუნველყოფისა და შრომის დაბალი კულტურის პრობლემები ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული და მათ ერთდროულად, კომპლექსურად უნდა მოგვარება.

**პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ 21 პატიმრის შეწყალების აქტს დღეს მოაწერა ხელი. აღნიშნული მსჯავრდებულები სასჯელაღსრულების დაწესებულებას დღეს დატოვებენ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის განცხადებით, 25 დეკემბერს შეწყალების სახელმწიფო კომისიამ სხდომაზე 43 მსჯავრდებულის პირადი საქმე განიხილა და შემდეგ 21-კაციანი სია ნინო ბურჯანაძეს წარუდგინა. შეწყალებულთა შორის სხვადასხვა დანაშაულისთვის გასამართლებული პირები არიან, რომლებიც მძიმე დანაშაულისთვის არ იყვნენ მსჯავრდებულები. შეწყალებულთა შორის არ არიან ქალები და არასრულწლოვანი პატიმრები.

კანონის თანახმად, შეწყალების კომისია მხოლოდ იმ პატიმართა საქმეებს განიხილავს, რომლებსაც სასჯელის ნახევარი მოხდილი აქვთ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 საპყრობილეში დღეს 32 წლის ტოფიკ ჯანგიროღლი-შარიფოვი ერთ-ერთ საკანში მყოფი პატიმრისთვის ნარკოტიკული ნივთიერების "ჰეროინის" ფარული გზით გადაცემას ცდილობდა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელის გოჩა მუკბანიანის თქმით, ნარკოტიკული ნივთიერება 0,139 გრამი "ჰეროინი" ხახვში იყო მოთავსებული. შარიფოვი მე-5 საპყრობილეს უსაფრთხოების სამსახურში არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. აღნიშნულ ფაქტს შს სამინისტრო იძიებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში დღეს დილით შინაგანი ჯარების ორი - მატნისა და ხალაწნის საგუშაგოები მოიხსნა. განხილვის სტადიაშია კიდევ ერთი სოფლის - დედისფერულის საგუშაგოს გაუქმების საკითხი. შს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ზურაბ ტუშურის განცხადებით, საგუშაგოების გაუქმება პანკისის ხეობაში ვითარების სატბილურობით არის განპირობებული. მისივე თქმით, გაზაფხულზე საგუშაგოების აღდგენა მოსალოდნელი არ არის. ამ დროისთვის ხეობაში შინაგანი ჯარების შვიდი საგუშაგო მოქმედებს. დაახლოებით ორი თვის წინათ, მატნისა და ხალაწნის საგუშაგოებამდე, სოფელ ომალოს საგუშაგო გაუქმდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 39 წლის შერმადინ ჩაფიძე თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ ავტომანქანის ქურდობის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, თერჯოლელმა ჩაფიძემ თბილისელი დაზმირ გოგიას "ნისანის" მარკის ავტომანქანა თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე არსებული ერთ-ერთი ავტოგასამართი სადგურიდან გაიტაცა. ჩაფიძის მიმართ აღძრულ საქმეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგამოძიებო სამსახური იძიებს. ავტომანქანა, ჯერჯერობით, ამოღებული არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პოლიციის განყოფილებების მიერ 20-დან 27 დეკემბრემდე სისხლის სამართლის 43 დანაშაულია რეგისტრირებული. ეს ციფრი 4-ით ნაკლებია 13 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე აღრიცხულ დანაშაულთა რიცხვზე. გასულ კვირას მოხდა 1 მკვლელობის, 2 მკვლელობის მცდელობის, 1 გამოძალვის, 3 ჯანმრთელობის დაზიანების, 3 ხულიგნობის, 4 ავტომანქანის გატაცების, 2 ყაჩაღობის, 11 ქურდობისა და სხვა ფაქტი. დაკავებულია 9 ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი 25 პირის შემადგენლობით, რომელთაც 11 დანაშაული ჩაიდინეს. რეგისტრირებულია ნარკოდანაშაულის 16 ფაქტი, 6 მათგანზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ამოღებულია 5.03 გრ "ოპიუმი", 0.09 გრ "ჰეროინი", 15.5 მლ "ოპიუმის" ნაყენი, 32.7 გრ "მარიხუანა", 20 კგ ყაყაჩოს თესლი. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვისა და ტარების ფაქტებზე აღძრულია სისხლის სამართლის 6 საქმე. ამოღებულია 5 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 7 პისტოლეტი, 1 შაშხანა, 1 გლუვლულიანი თოფი 600-მდე საბრძოლო ვაზნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის განმავლობაში თბილისში 101 უზედამხედველო მოზარდი დააკავეს, რომელთაგან 29 მაწანწალა ბავშვია. დაკავებულთაგან 49 სკოლებს ჩააბარეს, ხოლო 52 (ხელწერილით) - მშობლებს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, პოლიციელებმა გამოავლინეს პირი, რომელიც ბავშვებს ამათხოვრებდა. სამართალდამცავები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისი მიცემის საკითხს წყვეტენ. დაკავებული ბავშვებიდან 4 ვენერიულ დისპანსერში გამოსაკვლევად წარადგინეს, ვინაიდან გაჩნდა ეჭვი, რომ ისინი პროსტიტუციას ეწეოდნენ. **მედია-ნიუსი**

# „რუსთავი 2"-ს პროფესიონალმა ესროლა

პირველი გვერდიდან

**"ერთმა საბედისწერო გასროლამ, შესაძლოა, შეაფერხოს ქვეყნის განვითარების პროცესი,"** – დაახლოებით, სამი კვირის წინ უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორმა ნიკა ლალიაშვილმა უშიშროების მინისტრის დავალებით პოლიტიკური ტერორის საფრთხის არსებობაზე სამინისტროს ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაცია გაახმოვანა. **"ტერაქტი, მისი ადრესატის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, მიმართული იქნება მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ. მოქმედი თუ ყოფილი სახელმწიფო პოლიტიკური ლიდერების, ბიზნესმენების თუ მედია-კომპანიების ხელმძღვანელების ხელყოფისათვის, მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შეწყვეტის მიზნით, რაც საბოლოოდ დაანგრევს კონსტიტუციური წყობის საფუძვლებს და სახელმწიფოს უშიშროების სისტემის სრულ დესტრუქციას გამოიწვევს,"** – ასეთი იყო უშიშროების სამინისტროს მაშინდელი გამაფრთხილებელი განცხადება.

გუშინ უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე მის უწყებას სერიოზული ინფორმაცია მოეპოვებოდა: **"რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე ეროსი კიწმარიშვილს და ვუთხარი, რომ მოგვეპოვებოდა ოპერატიული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ტელეკომპანიის წინააღმდეგ თავდასხმა მზადდებოდა,"** – განაცხადა უშიშროების მინისტრმა.

გუშინ, გამთენიისას, ხუთ საათზე, ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის ოფისის მიმართულებით ყუმბარმტყორცნი ისროლეს. ჭურვი შენობის მე-17 სართულის იმ ადგილს მოხვდა, სადაც საინფორმაციო გამოშვება „კურიერის" სტუდია მდებარეობს. ჭურვმა გაანგრია 35-სანტიმეტრიანი ბეტონის კედელი, რის გამოც დაზიანდა "რუსთავი-2"-ის სტუდიის ნაწილი და ჭერი, სადაც ჯერ კიდევ ჩაჭედილია ჭურვის გულა, რომლის ამოღებაც გუშინ სპეციალისტებმა ვერ მოახერხეს. საბედნიეროდ, აფეთქების შედეგად არავინ დაზიანებულა.

წინასწარი ინფორმაციით, "რუსთავი-2"-ის ოფისს „რპგ-26"-ის ტიპის ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვი ესროლეს, სროლა, დაახლოებით, 250 მეტრის მანძილიდან განხორციელდა, თანაც, კუთხით. ტელეკომპანიის მიმდებარე ტერიტორიაზე, იმ ადგილას, საიდანაც სავარაუდოდ, სროლა განხორციელდა, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა ნივთმტკიცებებს მიაგნეს – ორ ტომარას, რომელშიც ყუმბარმტყორცნი და ასაფეთქებელი მოწყობილობის ნაწილი – აკუმულატორი იდო.

მომხდარი აფეთქების ფაქტზე უშიშროების სამინისტროში საქმე საბოტაჟის მუხლით აღიძრა, რაც სახელმწიფოებრივი ინტერესების შესუსტების მიზნით სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის დაზიანებას გულისხმობს. სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მალხაზ სალაყაიას ინფორმაციით, გამოძიებამ



მსროლელს სპეციალური სამხედრო მომზადება აქვს გავლილი.

გუშინ მიაგნო და დაკითხა აფეთქების თვითმხილველი მოწმეები. მათ შორის ისეთებიც, რომლებმაც ტერორისტებს შორის წარმოებული დიალოგიც მოისმინეს. თუმცა, მალხაზ სალაყაია მიმდინარე გამოძიების შესახებ არ საუბრობს, უშიშროების სამინისტრო საგამოძიებო დეტალებს, ჯერჯერობით, ასაიდუმლოებს. თუმცა, სამართალდამცველების მიერ უკვე დაზუსტებულია, რომ ტელეკომპანიის აფეთქება მხოლოდ დაშინებას არ ისახავდა მიზნად და ის გათვლილი იყო გაცილებით მძიმე შედეგებზე, შედეგზე, რომელსაც ნგრევა და მსხვერპლი უნდა მოჰყოლოდა. **"ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის ოფისში მომხდარი აფეთქება დაშინებას არ ისახავდა მიზნად, ბოროტმოქმედის განზრახვა კონკრეტულ მსხვერპლზე იყო გათვლილი,"** – მომხდარი აფეთქების გამო მოქმედ პრეზიდენტთან შეკრებილი უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის დასრულების შემდეგ ასეთი განცხადება გააკეთა გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ. **"სროლას მძიმე შედეგები უნდა მოჰყოლოდა. ეს ასეც მოხდებოდა, ჭურვი ფანჯარაში რომ შევარდნილიყო,"** – ასეთ კომენტარს აკეთებდნენ სხვა ძალოვანი მინისტრები.

უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ ჟურნალისტებს აცნობა, რომ მომხდარი აფეთქების საქმის გამოძიებისას გამოვლინდა ახალი დეტალები, თუმცა სამართალდამცველები მათ გამჟღავნებას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ აპირებენ.

ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, "რუსთავი"2-ის" წინააღმდეგ განხორციელებული პოლიტიკური თავდასხმა და ბოლო პერიოდში მომხდარი სხვა პოლიტიკური აფეთქებები ერთი და იგივე სცენარით განხორციელდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც კანონდამცველებს, ფაქტობრივად, დაზუსტებული აქვთ, მსროლელს ეხება. **"ამ რადიუსში ჭურვის მოხვედრა მხოლოდ საუკეთესო პროფესიონალს შეეძლო, შესაძლოა ეს იყოს აფხაზეთის ომის მონაწილე, ისინი ამ ტექნიკას არაჩვეულებრივად ფლობენ. ჩვენს ხელთ არსებული ოპერატიული მონაცემებით, მსროლელს სპეციალური სამხედრო მომზადება აქვს გავლილი, ეს საკითხი სადავო არ არის. დადგენილია ისიც, რომ მსროლელი მარტო არ იყო, მას დამხმარე ჰყავდა,"** – "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ვალერი ხაბურძანიამ. უშიშროების მინისტრი არ გამორიცხავს, რომ ტელეკომპანიის აფეთქება, ცოტა ხნის წინ შს მინისტრის მიერ სამხედრო ამბოხების ორგანიზატორად დასახელებული იგორ გიორგაძის შეკვეთით იყოს განხორციელებული, შემსრულებლები კი, ყოფილი სპეცრაზმელები – ყოფილი "ალფელები" ან "ომეგელები" იყვნენ. **"ამ აფეთქებაში იგორ გიორგაძისა და მისი რაზმის წევრების მონაწილეობა დასაშვებია, გამორიცხული არაფერია,"** – ამ ვერსიაზე საუბრისას უშიშროების მინისტრისგან ასეთი პასუხი მივიღეთ. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომელიც თავდაცვის სამინისტროს შენაერთების მოქმედ მაღალჩინოსანს უკავშირდება. სხვათა შორის, ამ შემთხვევაშიც ორგანიზატორის კვალი იგორ გიორგაძემდე მიდის. კიდევ ერთი ვერსიით, აფეთქება სხვა ქვეყნის მოქალაქეებმა, დაქირავებულმა პროფესიონალებმა შეასრულეს.

**"ტელეკომპანიას ესროლეს ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმტყორცნი, „რპგ-26" და არა "მუხა". „რპგ-26" ერთ-ერთი საუკეთესო იარაღია და გამოიყენება ტანკების, საარტილერიო დანადგარების, დაჯავშნული ტექნიკისა და ბუნკერებში გამაგრებული პირადი შემადგენლობის გასანადგურებლად, ერთი სიტყვით, საკმაოდ სერიოზული შეიარაღებაა.**

**მე დავათვალიერე აფეთქებული ადგილი და ის ადგილიც, საიდანაც გასროლა მოხდა. ამიტომაც შემიძლია თქმა, რომ გასროლა განადგურებას ისახავდა მიზნად და არა დაშინებას. საქმე ისაა, რომ როცა „რპგ-26"-ის გასროლა ხდება ქვემოდან ზემოთ, როგორც ამჯერად მოხდა, რაც ტექნიკური თვალსაზრისით საკმაოდ რთულია, აწევის გრადუსი შეზღუდულია, რაც ხელს უშლის დამიზნებას. ამ შემთხვევაში ჭურვი ძალზე ახლოს, რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით დაჯდა სამიზნესთან - ფანჯარასთან. თანაც, დასაშინებლად „რპგ-26"-ს არავინ გამოიყენებდა, რადგან მის მოქმედებაში მოყვანას სამხედრო კვალიფიკაცია სჭირდება.**

**რაც შეეხება მსროლელს, მან ფაქტობრივად, ეფექტური გასროლა გააკეთა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საუკეთესოდ მომზადებული პროფესიონალია. გარდა იმისა, რომ ამ იარაღის გამოყენებას სპეციალური სამხედრო ცოდნა სჭირდება, იმისთვის, რომ იგი მოქმედებაში მოიყვანო, მასთან ინტენსიური შეხება უნდა გქონდეს. ანუ, პიროვნებას, რომელმაც ტელეკომპანიას ესროლა, ბოლო ერთი წლის მანძილზე ამ იარაღთან პრაქტიკული შეხება აუცილებლად ჰქონდა. სხვა შემთხვევაში, იგი „რპგ-26"-ს ამოქმედების რთულ ტექნიკას ასე სრულყოფილად ვერ განახორციელებდა. თანაც, მსროლელი მარტო ვერ იმუშავებდა, იგი აუცილებლად ჯგუფთან ერთად იქნებოდა,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ექსპერტმა სამხედრო საკითხებში ნიკა ჯანჯღავამ.

რუსული იარაღი „რპგ-26", რომლის წარმოებაც 1985 წელს დაიწყო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რუსული ბაზების საქართველოდან წასვლის შემდეგ მემკვიდრეობით ერგო. სამხედრო ექსპერტთა განცხადებით, იგი ერთ-ერთი საუკეთესოა იმ შეიარაღებას შორის, რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გააჩნია. გარდა თავდაცვის სამინისტროსი, "რპგ-26" შინაგან ჯარებს და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტულ ჯგუფსაც აქვს. "რპგ-26"-ის საქართველოში შეძენა დიდ პრობლემებთან არ არის დაკავშირებული, თავდაცვის სამინისტროს აღურიცხავი იარაღი მრავლად მოიპოვება და ამ საქმით ის მაღალჩინოსნები არიან დაკავებულნი, რომელთა სახელებიც რამდენიმე სკანდალურ საქმესთან საეჭვოდ დაკავშირდა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2„-ის წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმის საქმის გამოძიებაში არსებული ვერსიების შესახებ უშიშროების სამინისტრო არ საუბრობს და არც იმას ირწმუნება, რომ საქმე უახლოეს მომავალში გაიხსნება. **„სამწუხაროდ, ბოლო დროს მომხდარი არც ერთი აფეთქება, ჯერჯერობით, გახსნილი არ არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ ვმუშაობთ. გუშინ მომხდარი აფეთქება არ არის იმ კატეგორიის დანაშაული, რომლის გახსნაც ერთ ან ორ დღეში მოხდება,"** – განაცხადა უშიშროების მინისტრმა.

## ენგურის ხიდზე მძევლების გაცვლა მოხდა

გუშინწინ, გვიან ღამით, აფხაზებსა და ქართველებს შორის შემდგარი მოლაპარაკებების შედეგად, ქართველი და აფხაზი მძევლების გაცვლა მოხდა. სამი აფხაზი მესაზღვრე ოცდაათზე მეტ ქართველში, ენგურის ხიდზე გაიცვალა.

შეგახსენებთ, აფხაზური მილიცია გალის რაიონის ქართულ სოფლებში მას შემდეგ შეიჭრა, რაც აფხაზი მესაზღვრეები გაუჩინარდნენ. აფხაზური მხარე თავიდანვე ირწმუნებოდა, რომ მესაზღვრეები ქართველ პარტიზანებს ჰყავდათ მძევლად. ქართულ მოსახლეობაში ჩატარებული ეგზეკუციის, ქართველებისგან "ხარკის" აკრეფისა და გატაცების საბაბად აფხაზებმა სწორედ მათი მესაზღვრეების გატაცების ფაქტი დაასახელეს.

"24 საათი" უკვე წერდა, როგორ შეიჭრა აფხაზი მილიციელების 40-კაციანი ჯგუფი გალის რაიონის ქართულ სოფლებში რუსეთის სამშვიდობო ძალების კუთვნილი ჯავშანტექნიკით და როგორ ჩაუტარა ქართულ მოსახლეობას "წმენდა". გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზებმა ათი ქართველი გაიტაცეს, თუმცა, როგორც "24 საათისთვის" გუშინ გახდა ცნობილი, ქართველ მძევალთა რიცხვი 30-ს აღემატებოდა.

**"სამძებრო სამუშაოები ქართველი მძევლების სავარაუდო ადგილსამყოფელის დასადგენად, ინტენსიურად მიმდინარეობდა. ისინი სეპარატისტთა კონტროლირებად ტერიტორიაზე, ოჩამჩირეში ჰყავდათ. მათ გასათავისუფლებლად არანაირი სპეცოპერაცია არ შემდგარა. გათავისუფლება მხოლოდ შეთანხმებით მოხდა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრმა ლევან კიკნაძემ, რომელმაც გუშინ უკვე ოფიციალურად დაგვიდასტურა აფხაზების მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამი აფხაზი მესაზღვრე მართლაც ქართველ პარტიზანებს ჰყავდათ მძევლად.

**"საბედნიეროდ, ეს ყველაფერი მშვიდად, სისხლისღვრის გარეშე დასრულდა. აქტიურად ვიმუშავეთ ქართულ მოსახლეობაში, პარტიზანებთან. ერთი სიტყვით, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება შედგა და გატაცებულები ორივე მხარეს მშვიდობიანად დაუბრუნდნენ. მძევლადყოფილი აფხაზი მესაზღვრეებიც და ქართველებიც უკვე საკუთარ ოჯახებში იმყოფებიან",** - აცხადებს ლევან კიკნაძე.

*24 საათი*

## აკაკი ჩხაიძე ბათუმში მკურნალობს

შპს "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი გენერალური დირექტორი აკაკი ჩხაიძე ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება და მისი დიაგნოზი თბილისში ჩამოსვლის შესაძლებლობას გამორიცხავს. ამის თაობაზე ექიმის ცნობა ჩხაიძის ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა გუშინ შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს წარუდგინა და გამომძიებლის ბათუმში მივლინება ითხოვა.

კბილაშვილის განცხადებით, შს სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე რკინიგზის მიერ "ჩითალხევჰესთან" და "ჟუჟაჰესთან" გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დარღვევების ფაქტზე აღძრა.

**"2001 წლის 1 მარტს რკინიგზამ ჰესებთან საიჯარო ხელშეკრულებები გააფორმა და ქონების გადაცემისთვის განკუთვნილი ერთჯერადი გადასახადი 134 141 ლარი არ გადაიხადა. გადასახადის გადაუხდელობის გამო, მას სანქცია-საურავის სახით 33 545 ლარი დაერიცხა. ეს მაშინ, როცა რკინიგზას 2003 წლის ბიუჯეტში წინასწარ უკვე 7 მილიონ ლარზე მეტი აქვს გადახდილი,"** - განაცხადა კბილაშვილმა. მისი თქმით, აღნიშნულ ფაქტში ჩხაიძის კრიმინალური ქმედება არ შეიძლება არსებობდეს, რადგან ჩხაიძე რკინიგზის გენერალური დირექტორი იყო და არა ბუღალტერი.

**"სისხლის სამართლის დანაშაული მაშინ შეიძლება ყოფილიყო, როცა საქმე განზრახ ქმედებასთან გვექნებოდა. განზრახ ამის გაკეთება ჩხაიძეს არ შეეძლო, რადგან რკინიგზისთვის ამ ოდენობის გადასახადი ზღვაში წვეთია იმ თანხებთან შედარებით, რასაც ორგანიზაცია ყოველწლიურად ბიუჯეტში იხდის,"** - განაცხადა კბილაშვილმა.

ადვოკატის თქმით, საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია 16 დეკემბერს რკინიგზაში შს სამინისტროს მიმართვის საფუძველზე შესამოწმებლად შევიდა და გადასახადის დამალვის ფაქტზე ოქმი ერთ დღეში გააფორმა. ეს მაშინ, როცა აქამდე საგადასახადო ინსპექციას რკინიგზის ფინანსური ანგარიშები, სულ ცოტა, ორჯერ ჰქონდა შემოწმებული.

*ინტერ-პრესი*

## დიასახლისმა ბინაში შეჭრილი მძარცველი მოკლა

43 წლის ალექსანდრე გეგეშიძე თბილისში, ენისელის ქუჩა N5-ში თუთბერიძეების ბინაში, დანის ზურგში ჩარტყმით მოკლეს. წინასწარი ინფორმაციით, მკვლელობა 64 წლის ლია თუთბერიძემ მას შემდეგ ჩაიდინა, რაც მის ბინაში ძარცვის მიზნით შესული გეგეშიძე მის 17 წლის შვილიშვილს გიორგი თუთბერიძეს დანით მოკვლით დაემუქრა. გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორის ლენა კაპანაძის თქმით, 27 დეკემბერს, საღამოს 19 საათზე, თავისი სახლის სამზარეულოში მყოფ ლია თუთბერიძეს და მის შვილიშვილებს - 17 წლის გიორგის და 15 წლის ბექას ოთახიდან ხმაური მოესმათ. ოთახში შესულებმა ნახეს, რომ სახლში უცხო პირი იმყოფებოდა, რომელიც ნივთებს ჩანთაში ყრიდა. ბექა და გიორგი ქურდს მიუახლოვდნენ, რა დროსაც მომხდურმა გიორგი მძევლად აიყვანა და დანით მოკვლით დაემუქრა. ლია თუთბერიძემ მისთვის დანის წართმევა მოახერხა და ზურგში ორი ჭრილობა მიაყენა. გეგეშიძე საავადმყოფოში გარდაიცვალა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით არის აღძრული. თუმცა, ლია თუთბერიძის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგას და, სავარაუდოდ, არც დადგება. გეგეშიძე ბაღდათის რაიონის სოფელ დიმის მცხოვრებია და წარსულში ორჯერ არის ნასამართლევი.

*მედია-ნიუსი*

## სამეგრელო ახალ წელს ანტიკრიმინალური ოპერაციით შეხვდება

სამეგრელოს რეგიონი ახალი წლის დღეებს წლეულს უჩვეულოდ, ანტიკრიმინალური ღონისძიებებით შეხვდება. სამეგრელო-ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს პირადი შემადგენლობა ყაზარმულ, გაძლიერებულ რეჟიმზეა გადაყვანილი.

სადღესასწაულო დღეებში სამეგრელოს რეგიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო მანქანები მთელი ღამის განმავლობაში იმუშავებენ. როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოში აცხადებენ, სადღესასწაულო დღეებშიც მიღებული ოპერატიული ინფორმაციების საფუძველზე გაგრძელდება დამნაშავეთა დაკავება, იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების ამოღება. გაძლიერებული რეჟიმი რეგიონში საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაგრძელდება.

*მედია-ნიუსი*

# შინაგან საქმეთა სამინისტროში ყაყაჩოს კოცონი კვლავ აგიზგიზდა

თამარ კაციტაძე

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ აგიზგიზდა უკვე "მარადიულად" ქცეული, ყაყაჩოს თესლის კოცონი. ცეცხლის ფონზე კი შინაგან საქმეთა მინისტრმა ასევე ტრადიციული ბრიფინგი გამართა. თუმცა, თავად მინისტრის თქმით, მას ტრადიციული თემისგან გადახვევა ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის შენობაზე მომხდარი თავდასხმის გამო მოუწია, რაც მან წინასაარჩევნოდ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მცდელობად შეაფასა.

**"სტრატეგიული ობიექტის ასაფეთქებლად გამოყენებულია თანამედროვე რეაქტიული ყუმბარმტყორცნი, ე.წ. "მუხა", რომელიც პროფესიონალების მიერ არის ნასროლი. აფეთქება მიზნად ისახავდა ტელევიზიის თანამშრომლების ტერორს და საზოგადოებაში შფოთის და არეულობის შეტანას. ეს ყველაფერი კი არჩევნების ჩაშლისკენ არის მიმართული. არც ის არის მოულოდნელი, რომ თავდასხმის ობიექტად არჩეულია "რუსთავი 2", რადგან ვარდების რევოლუციის ძალას და სიმბოლოს სწორედ ეს ტელევიზია წარმოადგენს,"** – აღნიშნა ბრიფინგის შესავალ სიტყვაში შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ.

თუმცა, შს მინისტრის თქმით, "რუსთავი 2"-ზე მომხდარ აფეთქებაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა, რადგან ქვეყანაში მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ სამართალდამცველ ორგანოებში უამრავი ინფორმაცია არსებობს და ბევრი მათგანის განხორციელება ისე იქნა თავიდან აცილებული, რომ საზოგადოებას არაფერი გაუგია. გიორგი ბარამიძეს გუშინდელ ბრიფინგზე არც ის დაუმალავს, რომ არჩევნებამდე მოსალოდნელია კრიმინოგენული სიტუაციის კიდევ უფრო გართულება. ვითარება 4 იანვრის შემდეგ, გარკვეულწილად, განიმუხტება. მაგრამ სიმშვიდის გარანტიას შს მინისტრი არც შემდეგ იძლევა. **"არჩევნების შემდეგაც ქვეყანაში დაძაბული მდგომარეობა იქნება,"** – გვაფრთხილებს ბარამიძე.

ქვეყანაში შექმნილი ფეთქებადი სიტუაციის მიმოხილვის შემდეგ, შს მინისტრი კვირის კრეფსს მიუბრუნდა და მასმედიას ამ ხნის განმავლობაში გამოვლენილი,



გიორგი ბარამიძემ ბრიფინგი ტრადიციულად ყაყაჩოს თესლის კოცონის ფონზე გამართა.

უკვე ცნობილი, დანაშაულები და დამნაშავეების გვარები შეახსენა.

წინა კვირა პოლიციისთვის განსაკუთრებით შედეგიანი მანქანის გამტაცებელთა და ნარკორეალიზატორების გამოვლენის კუთხით იყო. ბარამიძის ინფორმაციით, დაკავებულია მანქანის გამტაცებელთა სამი ჯგუფი და ნარკოტიკების რამდენიმე მსხვილი რეალიზატორი.

**"ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი პრიორიტეტია. მართალია, ამ ეტაპზე, ძირითადად, ნარკოტიკების რეალიზატორებს ვებრძვით, მაგრამ ასევე დაუნდობლები ვიქნებით თავად მომხმარებლების მიმართაც. ჩვენ ბრძოლას გამოვუცხადებთ ყველას და არ დავინდობთ ცნობილი დედიკოების და მამიკოების შვილებსაც",** – ამბობს მინისტრი, რომლის უკანაც ერთი კვირის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი და შეგროვილი 556 კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი "ყაყაჩოს თესლი" იწვოდა.

**"შესაძლებელია გარკვეულწილად კანონსაც ვარღვევდე, რადგან პარლამენტს ჯერ არ მიუღია აკრძალვა ყაყაჩოს თესლის შემოტანის შესახებ, მაგრამ ეს ის იაფფასიანი ნარკოტიკული ნივთიერებაა, რომელმაც ქართველი ახალგაზრდების დიდი ნაწილი დაღუპვამდე მიიყვანა. ჩვენ კი ამას გულგრილად ვერ ვუყურებთ,"** – განაცხადა ბარამიძემ.

გუშინდელი ბრიფინგის სიახლე გახლდათ რამდენიმე დღის წინ გამოვლენილი ეკოდანაშაული, რისთვისაც 14 მაღალჩინოსან პოლიციელს თანამდებობა დაატოვებინეს. ადიგენიდან თბილისამდე ჩამოტანილი უკანონოდ გაჩეხილი ხე-ტყის გამო, რისხვა, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-თიანეთის რეგიონის საგზაო პოლიციის თანამშრომლებს დაატყდათ. სხვათა შორის, წლების განმავლობაში პირველი შემთხვევაა, რომ უმოწყალოდ გაჩეხილი ხე-ტყის გამო პასუხისმგებლობა საგზაო პოლიციის თანამშრომლებსაც დაეკისრათ, არადა, სწორედ მათი ხელშეწყობით გაიყიდა ქართული ტყე.

გუშინდელ შეხვედრაზე შინაგან საქმეთა მინისტრს კიდევ ერთხელ მოუწია რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის, აკაკი ჩხაიძის ირგვლივ შექმნილ პრობლემაზე საუბარი. როგორც ცნობილია, უკვე რამდენიმე კვირაა გამოძიება ჩხაიძეს მოწმის სახით დასაკითხად იბარებს, მაგრამ იგი არ ცხადდება.

**"ასეთი ადამიანების იძულებით წარმოდგენა საზოგადოებაში ხშირად მითქმა-მოთქმის საგანი ხდება. ამიტომ, აკაკი ჩხაიძეს მასმედიის საშუალებითაც ვაფრთხილებთ, რომ გამოცხადდეს დასაკითხად. წინააღმდეგ შემთხვევაში, გავცემთ დაპატიმრების შესახებ სანქციას და საქართველოში თუ ვერ ვიპოვით, დედამიწის ნებისმიერ ადგილას აღმოვაჩენთ და საგამოძიებო სამსახურში მაინც წარვადგენთ",** – განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

ბრიფინგის დასრულების შემდეგ კი მინისტრმა ყაყაჩოს დარჩენილი თესლის დაწვაში თავად მიიღო მონაწილეობა და, ვიდრე კაბინეტში დაბრუნდებოდა, ნარკოტიკების ალზე ხელების გათბობაც მოასწრო.

# საგადასახადო ცვლილებები - მომავლის საქართველოსთვის, თუ - მომავალი არჩევნებისთვის

პირველი გვერდიდან

## ქუჩებში ოთხი მილიონი ოქრო დადის

აი, ეს არის ჩემი მოცემულობა. მე ვთვლი, რომ მთავარი ხალხია. ხალხი არა მარტო ხელისუფლების წყაროა, არამედ სიმდიდრის წყაროც გახლავთ. დიახ, ხალხი კვებავს მთავრობას და ავსებს მთავრობის ჯიბეს - სახელმწიფო ბიუჯეტს და არა პირიქით. ხალხის შრომით შექმნილი სიმდიდრიდან რიგდება ხელფასები და ამ ხელფასებიდან ანარიცხებით ივსება საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფის ფონდი, საიდანაც შრომის უუნარონი იღებენ პენსიებსა თუ შემწეობებს. ხალხი ქვეყნის ყველაზე მთავარი და ძვირფასი რესურსია. ის ბევრად უფრო ძვირფასია, ვინემ ნავთობი ან ოქრო. ქვეყნისა და მისი ხალხის სიმდიდრეს განსაზღვრავს არა იმდენად ბუნებრივი რესურსები, რამდენადაც ადამიანური რესურსები და ამ ქვეყნის მთავრობის გონიერება და უნარი, მისცეს ადამიანებს შრომისა და შემოქმედების თავისუფლება. ეს რომ ასე არ იყოს, ერთ სულზე საშუალო შემოსავლების მიხედვით, რესურსებით ღარიბი ისლანდია ლიდერთა შორის, ხოლო რესურსებით მდიდარი რუსეთი აუტსაიდერთა შორის არ იქნებოდა. იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც საქართველოს შესახებ ამბობენ ხოლმე, რომ ის რესურსებით ღარიბი ქვეყანაა, რადგან ნავთობი და ოქრო ცოტა აქვსო, უნდა შევეხმიანო, ფანჯარაში გაიხედეთ, მეგობრებო, ქუჩებში ყოველ ცისმარე დღეს ოთხი მილიონი ოქრო დადის!

აი, ამიტომაც მე (ისევე, როგორც ზოგადად ეკონომიკურ მეცნიერებას) მიმაჩნია, რომ ნებისმიერი საგადასახადო ცვლილების დაგეგმვისას პროგნოზირებული უნდა იყოს, თუ რა გავლენას მოახდენს იგი ხალხზე და მთელ ეკონომიკაზე და არა მხოლოდ მის მცირე ნაწილზე - სახელმწიფო ბიუჯეტზე. ანუ, მთავრობის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს - ქვეყნისა და ხალხის გამდიდრება. სამწუხაროდ, ბიუჯეტის შემოსავლების გასაზრდელად გამიზნული ღონისძიებები ხშირად ქვეყნის გაღარიბებას უწყობენ ხოლმე ხელს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანაში აქამდე ასე იყო.

მას შემდეგ, რაც სამეულის ხელში თითქმის სრულმა ძალაუფლებამ მოიყარა თავი, მათი ყოველი ეკონომიკური ქმედება თუ ქვეყნისა და ხალხის გამდიდრების პროგრამის ნაწილი არ იქნება, ის აუცილებლად აღმოჩნდება ყოველი ჩვენგანის გალატაკების მიზეზი. და ეს მოხდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მყისიერი შედეგი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა იქნება.

### არაპოპულარული ნაბიჯები?!

ამას წინათ ერთ-ერთმა ეკონომისტმა და პოლიტიკოსმა პირდაპირ ეთერში ბრძანა, თუ ახალ ხალისუფლებას მდგომარეობის გამოსწორება უნდა, მას არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა მოუწევსო. როცა ეს ბატონი 13 წლის წინ ამავე სიტყვებს ამბობდა, ის ცამდე მართალი იყო, მაგრამ მას შემდეგ იმდენი არაპოპულარული ნაბიჯი გადაიდგა, რომ ყველა არაპოპულარული ნაბიჯი უკვე გადადგმულია და ხალხის მოთმინების ფიალაც უკვე სავსეა. არაპოპულარული და ქვეყნის დამანგრეველი ნაბიჯების გადადგმის ყველა ლიმიტი უკვე ამოწურულია. ახალ ხელისუფლებას მხოლოდ პოპულარული და ქვეყნის აღმშენებლური ნაბიჯების გადადგმის უფლება აქვს. და მე მგონია, რომ მიშა სააკაშვილი და მისი თანამოაზრეები სწორედ ასე აპირებენ მოქცევას.

ჩემი შეხედულებით, სააკაშვილსა და იმ პოლიტიკოსებს შორის, რომლებსაც ჰგონიათ, რომ "მდგომარეობის გამოსწორება" მხოლოდ არაპოპულარული ღონისძიებებით არის შესაძლებელი, მსოფლმხედველობრივი შეუთავსებლობა სუფევს. დარწმუნებული ვარ, რომ ისიც სხვადასხვაგვარად ესმით, თუ რისი მდგომარეობა არის გამოსასწორებელი. დარწმუნებული ვარ, რომ ესენი მხოლოდ "ბიუჯეტის" მდგომარეობის გამოსწორებას გულისხმობენ, მაშინ, როცა მიშა მთელი ხალხის ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გამოსწორებას ფიქრობს. ხოდა, რაკიღა ამათ ჰგონიათ, რომ პოლიტიკოსს მხოლოდ ბიუჯეტი უნდა ანაღვლებდეს და ქვეყნისა და ხალხის უდიდესი და უმრავლესი ნაწილი შეუძლია ფახებზე ეკიდოს, ამიტომაც დაებადათ მათ "არაპოპულარული ნაბიჯების" იდეა. ანუ ესენი გულისხმობენ, მოდით, ჩვენს მოსახლეობას მეათე პირი ტყავიც გავაძროთ და ბიუჯეტი გავავსოთო...

იფ, რა კარგად მოიფიქრეს. თუმცა რა მოფიქრება უნდოდა, ქვეყნად ჯერ ერთი უტვინო და უნამუსო პოლიტიკოსიც არ ყოფილა, რომელსაც ხალხის გატყავების ცდუნებისათვის გაეძლოს და მთელ ხალხზე და მთელ ქვეყანაზე მზრუნავი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსისათვის პოპულისტი არ დაეძახოს.

ჰოდა, რაო, განა მართლა ასე ძნელია, რომ ქვეყანაში თან პოპულარული ღონიძიებები გაატარო და თან ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობა გამოასწორო?

- იცით, სულაც არ მეხალისება, მაგრამ იძულებული ვარ, იმ პოლიტიკოსებს, რომლებსაც ეს ოდესმე წაუკითხავთ, ეკონომიკის ანბანი შევახსენო. ეკონომიკურ კრიზისს სამი მთავარი მხარე აქვს ხოლმე, ესენია: "წარმოების ვარდნა", "უმუშევრობის ზრდა"'და "ინფლაციის ზრდა". ჩვენთან წარმოების ვარდნა 80 პროცენტს აჭარბებს, ასეთი ვარდნა თვით ეკონომიკის სახელმძღვანელოებშიც არ არის განხილული და მისთვის სახელიც კი არ არის მოგონილი, რადგან 30 პროცენტიან ვარდნას უკვე კოლაფსს ეძახიან. ამაზე მეტად არაპოპულარული ნაბიჯი მხოლოდ ომი და ატომური დაბომბვა შეიძლება იყოს. ახლა უმუშევრობა ვნახოთ. უმუშევრობა ჩვენთან იმდენად ყოვლისმომცველია, რომ მომუშავე გამონაკლისს წარმოადგენს და ვინც მომუშავედ ითვლება, ბევრი მათგანი ფაქტობრივად უმუშევარია, რადგან ხელფასით თავის გამოკვებაც არ შეუძლია, არა თუ ცოლშვილის შენახვა. ამ მიმართებით კიდევ უფრო არაპოპულარული ნაბიჯი მუშაობის და შემოსავლის მიღების საერთოდ აკრძალვა იქნებოდა. ერთი ინფლაციაღა დარჩა, სადაც საქმის გაუარესებისა და არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის დიდი რეზერვებია დარჩენილი და ვერც იმას იტყვი, რომ "არპოპულარული ნაბიჯების" მოყვარულ და სხვათა პოპულისტად მომნათვლელ პოლიტიკოსებს ინფლაციის ხელოვნურად გამოწვევის საქმეში გამოცდილება აკლდეთ.

მოდით, ახლა სხვა მხრიდან შევხედოთ საქმეს, კიდევ რა არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა შეუძლია ახალ ხელისუფლებას? ვთქვათ, გადასახადების გაზრდა. ვფიქრობ, ხსენებული ბატონი სწორედ ამას გულისხმობდა.

ბოლო დროს, როცა სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ იგი საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციას აპირებს, ახლა ამაზე ატყდა ანუ განახლდა კამათი, აქაოდა ბიუჯეტში ისედაც არ შემოდის ფული და რომელ ლიბერალიზაციაზეა საუბარიო. თან ისიც პოპულარული ტელესადებატო თემა გახდა, მაღალია ჩვენთან გადასახადები, თუ დაბალი. ყველაზე საკვირველი კი ის იყო, რომ არავის დაუსვამს კითხვები: "რასთან შედარებით მაღალი ან დაბალი", "რამდენ პროცენტს ნიშნავს მაღალი ან დაბალი" და საერთოდ, "რა არის ის ფენომენი, რომლის პროცენტებზეც ვლაპარაკობთ?"

არადა, ხომ ფაქტია, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლად საერთოდ არა აქვს აზრი გადასახადებზე და მათს პოპულარობაზე თუ არაპოპულარობაზე მარჩიელობას.

### ტვირთის შემსუბუქება პოპულარულიც არის და მხსნელიც

აქ კი იძულებული ვართ, შემოვიტანოთ ისეთი ეკონომიკური ტერმინი, როგორიცაა "ეკონომიკის საგადასახადო ტვირთი". ეკონომიკური მეცნიერება ისევე, როგორც ნებისმიერი წესიერი მოქალაქე, გადასახადებს ეკონომიკის განვითარების ხელისშემშლელ გარემოებად მიიჩნევს, მაგრამ იმავე დროს აღიარებს მის აუცილებლობას და ამიტომაც უწოდებს მას ტვირთს ანდა დაწოლას ("პრეშერ" ინგლისურად). ასი წლის წინათ, როცა "დიდმა დეპრესიამ" ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს ერთობ ჭკუისსასწავლებელი გაკვეთილები ჩაუტარა, ეკონომისტებმა საბოლოოდ გაიცნობიერეს, რომ ცამდე მართალი იყო ეკონომიკური მეცნიერების მამა ადამ სმიტი, როცა ამტკიცებდა, რომ დაბალი გადასახადებით წარმოების განვითარების სტიმულირება ქვეყნაში კეთილდღეობის მიღწევის საუკეთესო და უმოკლესი გზაა. დიდმა დეპრესიამ ისიც ასწავლა, ყველას, ვისაც კი რაიმეს სწავლის უნარი ჰქონდა, რომ უგუნურობაა, გადასახადები განიხილო მხლოდ და მხოლოდ ბიუჯეტში ფულის მოზიდვის საშუალებად და რომ საგადასახადო ანუ ფისკალური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურების თვალსაზრისით ყველაზე ეფექტური მაშინ არის, როცა მას წარმოების ზრდის სტიმულირებისათვის იყენებენ. ეს, ცხადია, გადასახადების შემცირებას გულისხმობს. მაგრამ, ხომ უგუნურობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გამუდმებით უნდა ვამციროთ და ვამციროთ გადასახადები, ბოლოს და ბოლოს, ნულს ქვემოთ ხომ ველარაფერს შევამცირებ?

მოკლედ, ბევრი რომ არ ვიფილოსოფოსოთ, პირდაპირ ვთქვათ, საქმე გადასახადების შემცირება კი არა, მისი ოპტიმალური და ეკონომიკის არსებული მდგომარეობის ადეკვატურ დონეზე დადგენაა. ამიტომაც არის მოგონილი ის ტერმინი "ეკონომიკის საგადასახადო ტვირთი", რომლის სიმძიმე, შესაძლოა, მაღალი ან დაბალი იყოს. აქ იქიდან უნდა გამოვიდეთ, რომ მთავრობას ყოველთვის უნდა, რაც შეიძლება მეტი ფული ჰქონდეს ბიუჯეტში, ხოლო მოქალაქეებს ანუ გასახდების გადამხდელებს ის ურჩევნიათ, რაც ნაკლებს გადაიხდიან. მით უმეტეს, რომ ობიექტურადაც გადასახადის გადახდა ეკონომიკის ტვირთი ანუ მისი ზრდის შემაფერხებელი გარემოებაა. და როცა ასი წლის წინ, ანუ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ეს ყველაფერი გაიცნობიერეს, დაიწყეს იმის ძიება, თუ "ერთობლივი ეროვნული პროდუქტიდან" რამდენი შეიძლება ამოღებულ იქნეს ბიუჯეტში, ისე, რომ წარმოების ზრდის ტემპი დასაშვებზე მეტად არ შეფერხდეს. ერთი რამ თავიდანვე ცხადი იყო. რადგან გადასახადები წარმოებას აფერხებს, წარმოების ვარდნის დროს გადასახადები შესაძლო მინიმუმამდე უნდა შეამცირო, თუ ზრდის ბუმია, შეიძლება ჩვეულებრივზე მეტად გაზარდო, ხოლო თუ ნორმალური მდგომარეობაა, სჯობია "ოქროს კვეთს", ანუ ოპტიმუმს, არც ჩამოაცდინო და არც გადააცდინო.

და რამდენია ეს ოპტიმუმი? ფრანგული წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტის ლაფერის მიხედვით, იგი 20 პროცენტიდან 30 პროცენტამდე მერყეობს განვითარებული ინდუსტრიისა და ნორმალურად მზარდი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ცხადია, რომ საგადასახადო ტვირთის სიმძიმის ოპტიმალური დონე ჩვენი მისიკვდილებული ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის 20 პროცენტს ქვემოთ უნდა ვეძებოთ.

მაგრამ, იცით რაშია ჩვენი ქვეყნის ბედის ირონია? - ზუსტად არავინ იცის, ამ ქვეყანაში რამდენია ერთობლივი ეროვნული პროდუქტი. მსოფლიო ბანკი ვარაუდობს, რომ იგი 6 მილიარდია. არის მეორე უბედურებაც - დღემდე ხელისუფლებაში მყოფი ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ არ იციან ჩვენთან საწარმოს მიერ გასახდელი ყველა გასახადის ჯამი მის მიერვე წელიწადში შექმნილი ახალი ღირებულების რამდენ პროცენტს შეადგენს. უფრო მეტიც, ამტკიცებდნენ, რომ ამის დათვლა შეუძლებელია. პირდაპირ გამაოგნებელია, როგორ შეიძლება გადასახადს აკანონებდე და არ იცოდე, იგი ფირმას მისი შემოსავლების რა ნაწილს წაართმევს. მათგან განსხვავებით, ჩვენ გამოთვლილი გვაქვს ეს მაჩვენებელი და ვიცით, რომ იგი 55-დან 75 პროცენტამდე მერყეობს. ეს გამაოგნებლად მაღალი საგადასახადო ტვირთია, მით უმეტეს, შემოსავლების ისეთი დონეებისათვის, რაც ჩვენი ქვეყნების ფირმებს აქვთ. გადასახადების შემოსავლების ასეთ საშინელ შეფარდებას იმდენად საგადასახადო განაკვეთების სიდიდე არ იწვევს, რამდენადაც დასაბეგრი ბაზების (შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც დაბეგვრას ექვემდებარება) გამოთვლის მანკიერი წესი. ჩვენ იმას ვგულისხმობთ, რომ ერთი და იგივე ბაზა ხშირად ერთჯერ ან მეტჯერ იბეგრება, ხოლო მთლიანი შემოსავლიდან უამრავი ფაქტობრივად გაწეული და ამ შემოსავლის მისაღებად აუცილებელი ხარჯი არ გამოიქვითება. სხვათაშორის, ეკონომიკური სამიანობის გადასახადის გაუქმება ნაწილობრივ სწორედ ორმაგ დაბეგვრას გვაცილებს თავიდან.

მაშ ასე, ხელისუფლების ამოცანა ნათელია: იმისათვის რომ ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა ქვეყნისა და ხალხის გამდიდრების სამსახურში ჩადგეს, მან უნდა შეძლოს და დაითვალოს ან საკმარისი სიზუსტით გამოითვალოს ერთ წელიწადში საქართველოში წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების საბოლოო ღირებულებების ანუ დამატებული ღირებულებების ჯამი (ერთობლივი ეროვნული პროდუქტი) გადათვალოს, რა თანხა მოდის ერთ სულ მოსახლეზე და ამის მიხედვით დაადგინოს ეკონომიკაზე საგასახადო ტვირთის დასაშვები სიმძიმე (აქ საუბარია კანონით მოთხოვნილ ტვირთზე და არა ფაქტობრივად გადახდილზე). ამას გარდა, შესწავლილი უნდა იქნეს ჩვენი ქვეყნის საწარმოების მასშტაბები შემოსავლების მიხედვით. უნდა ვიცოდეთ, რას ჰქვია ჩვენში მცირე საწარმო, რას - საშუალო და რას - მსხვილი. უნდა განისაზღვროს მათთვის ყველა გადასახადის ჯამის ოპტიმალური შეფარდება მათსავე შემოსავლებთან და ამ მაჩვენებელს დაექვემდებაროს მათი დაბეგვრის რეჟიმები. ის საგადასახადო ცვლილებები, რომლებსაც ფაქტობრივი ხელისუფლება გეგმავს ან აკეთებს, იმ ხასიათისაა, რომ ეკონომიკის ლიბერალიზაციის ერთიანი გეგმის ნაწილს ჰგავს და მე იმედი მაქვს, რომ ეს მსგავსება მოჩვენებითი არ აღმოჩნდება.




შაბათს,
20 დეკემბერი - 3 იანვრის ნომერში
თქვენ იხილავთ

ნაწყვეტს აკა მორჩილაძის ახალი, გამოუქვეყნებელი რომანიდან

წლევანდელი ნობელის ლაურეატის, ჯონ მაქსველ კუტზეეს სანობელო ლექციას

ინტერვიუებს ნუგზარ შატაიძესთან და ბორის აკუნინთან

რეცენზიებს ბერონტი ქიქოძის, დათო ტურაშვილის, ზაზა ბურჭულაძის წიგნებზე.

მსოფლიოს ახალ ამბებს

თვის ქართულ ბესტსელერებს

წიგნები

პროზა პოეზია კრიტიკა ინტერვიუ რეცენზია ბესტსელერი საგამომცემლო საქმე

www.24hours.ge
24
B

ნომრის სტუმარი

# ძველი კულტურის ერი ვართ, ახალი კულტურის კი - არა

*ყველაზე პატარა პაციენტი წონით 400 გრამი იყო. ასაკით ყველაზე პატარას კი - ერთი დღისას გაუკეთა ოპერაცია. ამაზე ახალგაზრდა აღარ არსებობს და ამაზე პაწაწინა გულები არც არავის უნახავს... ბერლინის გულის ქირურგიის ცენტრი, სადაც ლადო ალექსი-მესხიშვილი მოღვაწეობს, ერთ-ერთი უდიდესი დაწესებულებაა ევროპაში. წელიწადში 3500 ოპერაცია კეთდება - ეს წამყვანი ქვეყნებისთვისაც კი მაღალი ციფრია. ბატონი ლადო მიწვეული პროფესორია, მინიჭებული აქვს სპეციალისტის გერმანული წოდება. არის გერმანიის, აშშ-ს და სხვა ქვეყნების ქირურგთა საზოგადოების წევრი. გულ-მკერდის ქირურგიის ამერიკის საზოგადოებაში გერმანიიდან 15 კაცია და უცხოელი მხოლოდ ერთი – ქართველი პროფესორი.*
*როგორ გგონიათ, სამშობლოდან რამდენი ადამიანი ურეკავს კონსულტაციისთვის? თითქმის არავინ. როგორ გგონიათ, რას თხოვენ კლინიკის გახსნაში დახმარების სათხოვნელად შესულს საქართველოს მთავრობის კაბინეტებში?! - რა თქმა უნდა, წილს. საზოგადოებას დიდი იმედი აქვს, რომ ახალი რეალობა ბევრ ძველ სიცუდეს მოშლის. ბატონი ლადო კი ცოტა სხვაგვარად ფიქრობს...*

მაია ჭალაგანიძე

- დიდი ხნის განმავლობაში ვცდილობდით საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური ცენტრის ჩამოყალიბებას - გერმანიაში არსებული "პრაქსი"-ს ტიპისას, სადაც ავადმყოფს გამოიკვლევენ და ისეთ დიაგნოზს დაუსვამენ, რომელსაც ნებისმიერ ქვეყანაში ენდობიან. ეს იქნება გერმანული კლინიკის ეკვივალენტი.

10 წლის განმავლობაში ვცდილობ კლინიკის დაარსებას. ბევრჯერ შევხვედრივარ ჩინოვნიკებს სხვადასხვა დონეზე, თუმცა არ მინდა ამ ხალხის დასახელება, რადგან ისინი დღესაც აქტიურობენ. საქმე არ არის დაწყებული და ვილაცას რაღაც უნდა - წილი, აპარატურის თავის ბალანსზე გადაყვანა და სხვა... რეალური დახმარება ერთადერთმა, ბიძინა ივანიშვილმა გაგვიწია. პედიატრიის ინსტიტუტში სათავსოები დავიქირავეთ და იმ სახსრებით, რომელიც ივანიშვილმა ჩვენთვის გაიღო - აპარატურა შევიძინეთ. გვინდა, ყველას და ივანიშვილსაც დავანახოთ, რომ ჩვენ ამას საკუთარი ჯიბისთვის კი არა, ჯანმრთელობის დონის ასაწევად ვაკეთებთ. რა თქმა უნდა, კლინიკამ უნდა იმოქმედოს ისე, როგორც ნორმალური წარმოება მოქმედებს - დასავლეთში კლინიკა სწორად აწყობილი რთული წარმოებაა.

**- როგორ ხვდებით შეთავაზებებს წილების შესახებ, ბიუროკრატიულ ბარიერებს?**

- გერმანიაში ბევრი ჩინოვნიკი და ძლიერი ბიუროკრატიაა, მაგრამ წესები და კანონები მაინც მოქმედებს. აქ ამას ვერ ვამჩნევ და როგორც კი წილებზე იწყებდნენ საუბარს, ლაპარაკი აღარ გრძელდებოდა.

**- ისე, როგორც ბავშვებია განსაკუთრებული სტატუსი, ბავშვთა ექიმობაც განსაკუთრებული პროფესიაა?**

- პროფესია - ექიმია, არ აქვს მნიშვნელობა, რა დარგში მუშაობ. თუ ბავშვებთან მუშაობ, ბავშვები უნდა გიყვარდეს. დიდებსაც ვუკეთებ ოპერაციებს, მაგრამ თავიდანვე ბავშვთა ქირურგი გავხდი. ავადმყოფი უნდა გიყვარდეს, იმაზე უნდა ფიქრობდე, რომ მას ზიანი არ მიაყენო.

**- როგორ იქცევიან ბავშვები გაძლიერებული რისკის პირობებში? განსხვავდება მათი ქცევა უფროსების ქცევისგან?**

- ქართველ და გერმანელ ბავშვებს შორის ის განსხვავებაა, რომ მისი ავადმყოფობის შესახებ გერმანელ ბავშვს არაფერს უმალავენ, ყველაფერს ეუბნებიან. ქართველებს კი უმალავენ, ჭირვეულ ბავშვებს ექიმით აშინებენ. ქართველები სხვაგვარად არიან მოწყობილები, მაგრამ გერმანიაში მოხვედრიდან 2-3 დღეში ისინიც "იქაურები" ხდებიან.

გერმანიაში მშობელს რეანიმაციაში შესვლა და ბავშვის გვერდით ყოფნა შეუძლია. მშობელს დიდხანს ველაპარაკებით და ვუხსნით, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ოპერაცია, რა გართულებებს უნდა ელოდოს, რისთვის უნდა იყოს მზად. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს - უნდა ელაპარაკო ყველაფერზე, რაც შეიძლება მოხდეს.

ხშირად ოპერაცია პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა ჰგონიათ - სინამდვილეში, ასე არ არის. ბავშვს რომ გულის ოპერაციას უკეთებ, შეიძლება, კიდევ დასჭირდეს; ან მთელი ცხოვრება მუდმივი ყურადღება სჭირდება. ოპერაცია იმას არ ნიშნავს, რომ ისეთივე ჯანმრთელი იქნება, როგორიც სხვა ბავშვები არიან. მშობელს უნდა აუხსნა, რომ მას ცხოვრებაში პრობლემა აქვს და ეს პრობლემა, შეიძლება, მთელი ცხოვრება გაჰყვეს. მშობელმა უნდა იცოდეს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტაში მანაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. ეს არის ექიმისა და მშობლის ერთობლივი მუშაობა, რათა ბავშვი თავს ავადმყოფად არ გრძნობდეს. საერთოდ, მშობელი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს...

**- ჯანმრთელობა ყველგან ძვირია. ამის გაიაფება ჩვენში ექიმის შრომის ხარჯზე მოხდა. ქვეყანაში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, როგორ უნდა დაბალანსდეს ეს ვითარება?**

- პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, როგორ არის მომზადებული ექიმი. თანამედროვე მედიცინა წარმოუდგენლად ძვირია. გერმანიაში, ჩვენს კლინიკაში, ერთი დღე 3000 ევრო ღირს. ამ დონეს შეიძლება დიდხანს ვერ მივაღწიოთ. გამოსაშვები გამოცდების მიღება მიხდება ხოლმე - იმდენად მომზადებულები არიან სხვადასხვა სფეროში, რომ ზოგჯერ მეც რაღაცას ვსწავლობ. თბილისში არსებობს უამრავი სამედიცინო ინსტიტუტი, მაგრამ მათი ხარისხი, არა მგონია, მაღალი იყოს. სწავლა ფასიანი გახადეს... ჩემთვის ძნელია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ სახელმწიფომ მონაწილეობა უნდა მიიღოს ჯანდაცვაში, სახსრები გამოყოს და სისტემა მოაწესრიგოს. როცა ავადმყოფს საავადმყოფოში მასალა და წამალი თვითონ მიაქვს - მედიცინის დონეზე საუბარი ზედმეტია.

**- სიძვირე ხარისხს ყოველთვის განაპირობებს?**

- ხარისხს, პირველ რიგში, ცოდნა განაპირობებს. სადაც ბევრი რამ არ მოიპოვება, ცოდნა გაძლევს საშუალებას, რომ ავადმყოფს ზიანი არ მიაყენო. უცოდინარი თავის თავში დარწმუნებულია და ჰგონია, რომ ყოველთვის სწორად იქცევა; მცოდნე ყოველთვის ეჭვობს.

**- სხვადასხვა ქვეყანაში მომსახურე ქართველებს, ხანგრძლივი განშორების მიუხედავად, სურთ იგრძნონ, რომ სამშობლოში ისინი სჭირდებათ. თქვენ გაქვთ ასეთი შეგრძნება?**

- ხშირად სვამენ შეკითხვას - როდის ჩამოხვალთ სამუდამოდ? ყველა ვერ ჩამოვა. ისინი იმ პირობებში წარმატებულად მუშაობენ, აწყობილი აქვთ ცხოვრება, აქვთ გარკვეული ვალდებულებები - ზოგს სესხი აქვს აღებული და ა.შ. ამ ყველაფრის დატოვება ძალიან რთულია, მაგრამ დახმარების გასაწევად - უდიდესი პოტენციალია და არა მხოლოდ მედიცინას ვგულისხმობ. თუ ქართველი უცხოეთში რაღაცას მიაღწევს, ცდილობს, საუკეთესო დაწესებულებაში მოხვდეს. საკითხავია, როგორ გამოიყენებს ამ პოტენციალს ჩვენი სახელმწიფო? გვიყვარს ჩვენი ქალაქი, ვუმღერით კიდეც მის სილამაზეს, მაგრამ უცხო თვალისთვის მოუვლელი, ჭუჭყიანი, ღარიბი, აფორიაქებული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს. რამდენიც გინდა, მოყევი და გაიხსენე ისტორია, უცხო თვალი ამას სხვაგვარად აღიქვამს. მესმის, რაც აქ ხდება და გული მტკივა - ჩვენში უწესობის აპოთეოზია. თავად თუ არ მივხედეთ, ამას არავინ გვასწავლის. ვართ კი ისეთი კულტურული ერი, როგორც საკუთარ თავზე ვფიქრობთ? ჩვენ ძველი კულტურის ერი ვართ, ახალი კულტურის კი - არა. თავისუფლების ამ ათ წელიწადში არაფერი გაკეთებულა გარდა იმისა, რომ ახალგაზრდობას უცხოეთში წასვლის საშუალება მიეცა.

**- არაერთხელ ჩამოსულხართ პაციენტებისთვის უფასო კონსულტაციების გასაწევად. როგორი ურთიერთობები აგეწყოთ აქაურ ექიმებთან?**

- რთულად ამეწყო. ურთიერთობა ყოველთვის ორმხრივი უნდა იყოს. თუკი ეს პროფესიას ეხება, ყოველთვის გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა უნდა ხდებოდეს, შეკითხვები, დაინტერესება უნდა ჩანდეს. სამწუხაროდ, ისე არ აეწყო, როგორც მინდოდა. გადიოდა წლები და ერთი შეკითხვა არ მომსვლია აქედან. ეს არის სენი - როცა ადამიანი რაღაცას ისწავლის, ჰგონია, რომ ყველაფერი იცის. მედიცინაში ყოველდღიურად ხდება რაღაც ახალი და თუ არ გაყევი, ერთი კვირის მერე - ჩამორჩენილი ხარ.

**- ჯანდაცვის რეფორმა არც ექიმს მოსწონს და არც ავადმყოფს. თუ ქვეყანაში არ არის მაღალი ეკონომიკური დონე და მოსახლეობა გაჭირვებულია - მედიცინა კარგ დღეში ვერ იქნება. ახალ რეალობას, რომელსაც ველით - საიდან მოუწევს დაწყება?**

- ხშირად მაგალითად მოჰყავთ ამერიკისა და ევროპის ჯანდაცვის სისტემები, ეს სასაცილოა. ჩვენ, ალბათ, მესამე მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ. იქ ჯანმრთელობის ეფექტური ორგანიზაცია მოხდა.

გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობასა და ელიტას შორის კულტურულ გრადიენტს. ერთი მეგობარი მყავს, გვატემალელი კასტანედა - მსოფლიოში განთქმული და პატივცემული ქირურგი. როგორც კი დაასრულა მოღვაწეობა ჰარვარდში და ბოსტონში, სამშობლოში წავიდა და გულის ქირურგიის განვითარებას მიჰყო ხელი. დავინტერესდი მისი საქმიანობით (რადგან გვატემალაც ჩვენსავით ღარიბი ქვეყანაა) და ვკითხე, დაეხმარა თუ არა ადგილობრივი ხელისუფლება - არავითარი დახმარება არ მიმიღია, ჩემმა ჩასვლამ მხოლოდ გაღიზიანება გამოიწვია, დამყაყებული სისტემის შეცვლა არავის უნდაო. ეს იმის გამო ხდება, რომ მაღალ ფენასა და უბრალო ხალხს შორის კულტურის მაღალი გრადიენტია...

**- თქვენც ხომ არ შენიშნეთ გაღიზიანება?**

- ყოველთვის მზად ვიყავი, აქაურობას ცოდნით დავხმარებოდი. ვმუშაობ და არ მაქვს იმის საშუალება, როცა მინდა, მაშინ წამოვიდე - ჩემი შვებულება ერთი წლით ადრე იგეგმება. როცა მოსკოვში ვმუშაობდი, არც მაშინ მეძახდნენ, თუმცა იქაც გარკვეულ ავტორიტეტი მქონდა. ეძახდნენ რუსებს, მე - არა.

წყენა არა მაქვს; საერთოდ, არაფერი უნდა გაგიკვირდეს ადამიანისგან. სინანულის გრძნობა კი მაქვს იმ მხრივ, რომ ბევრი რამის გაკეთება შემეძლო.

**- თქვენმა გვატემალელმა მეგობარმა საქმე დაიწყო?**

- დიახ. საერთაშორისო პროგრამებიდან დაეხმარნენ. რაც შეეხება საქართველოს - ამ ქვეყნისთვის არის კი მნიშვნელოვანი გულის ქირურგია? არ ვარ დარწმუნებული, რადგან ჩვენს ჯანდაცვას სულ სხვა დონის პრობლემები აქვს. ახალი ავადმყოფობები წარმოიშვა, რაზეც არ საუბრობენ. ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის დიდი საშიშროებაა შიდსი. აფრიკის პრეზიდენტი მანდელა გამოდის და ამ სენის წინააღმდეგ კამპანიებს და საგანმანათლებლო მუშაობას წარმართავს - აქ ეს არ არის. ბავშვთა სიკვდილიანობა მაღალია, შობადობა დაეცა...

**- თქვენი აზრით, მედიცინაში არსებული ტაბუდადებული თემები რისი ბრალია?**

- სიბეცის, სხვა არაფრის. როცა ტელევიზიით რაღაც პირამიდებით მკურნალობენ ადამიანებს...

**- თქვენ ნახეთ ეს პირამიდა? რატომ?**

- შემთხვევით ვნახე და გაოცებული დავრჩი. არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ეს არ ხდება. ამას ხომ გამოხმაურება აქვს, ვილაცას ხომ სჯერა, ფულს ხომ იხდის?! ეს ყველაფერი მაშინ წარმოიშობა, როდესაც რეალური მედიცინა უძლური და არაქმედითია. სახელმწიფო მწვავედ უნდა ჩაერიოს რეფორმებში. ნახეთ, რა ხდება რეგიონებში... სახელმწიფომ ზომები უნდა მიიღოს, ამას კი ფულის ჭირდება და ეს ფული არ უნდა შეიჭამოს.

თავისუფლებამ ბევრი რამ მოგვიტანა და ბევრი წაგვართვა, რაც უკან გვწევს - ჩვენ მსოფლიოდან გამოვითიშეთ. პატარა ქვეყანა გვაქვს და თითოეულმა იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ შეგვიძლია ვუშველოთ ამ ქვეყანას. ახალ მთავრობას დაპირებულის მიღწევას ვუსურვებ. იმედია, გაამართლებენ და ბევრ რამეს გაუწევენ წინააღმდეგობას.

**- სამართლიანია ის მოლოდინი, რასაც საზოგადოება ახალ რეალობას უყენებს?**

- ამ წლებში ყველაფერი დაიტაცეს, რაც დასატაცებელი იყო და ისე იქცეოდნენ, თითქოს ეს მათი ქვეყანა არ ყოფილიყო. პატრიოტიზმი მხოლოდ სადღეგრძელოების თემად დარჩა... მოლოდინები ასე მალე არ განხორციელდება. ეს უზარმაზარი, მძიმე ტვირთია, ყველაფერს გამოზიდვა და კარგად გაწმენდა უნდა, მაგრამ იმედია, რომ ფულს აღარ დაიტაცებენ და რაღაც ნაწილს საქმეს მოახმარენ.

ამ ხელისუფლებას პრობლემების მოგვარებას სულით და გულით ვუსურვებ, თუმცა მაინც მგონია, რომ მექრთამეობაც დარჩება, ჩაწყობაც იქნება, მაგრამ რაღაც კალაპოტში მაინც მოექცევა. მოგეხსენებათ, იტალია და მაფია ერთმანეთთან ასოცირდება, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლისთვის საშიშია, იქ მაინც არსებობს რომელიმე მოსამართლე, რომელიც ამას ებრძვის. სახელმწიფო მოქმედებს. რაღაც თუ არ შეიცვალა, დაღუპვის გზაზე ვართ. სახელმწიფოს სათავეში რომ დგახარ, სამშობლო მართლა უნდა გიყვარდეს. ამ ათ წელიწადში რაღაც ხომ უნდა დაგვეტყობოდა?!

**- რა ინდიკატორებმა უნდა იმუშაოს ექიმის პროფესიონალიზმის განსასაზღვრად?**

- ჯერ შემფასებელი უნდა იყოს მომზადებული. მიმაჩნია, რომ მსოფლიო დონის ექსპერტები უნდა მოიწვიონ, ვინც იტყვის, რომელ დარგში რამდენი ექიმი, რა დარგების განვითარებაა საჭირო. მრავალწლიანი პროგრამა უნდა შემუშავდეს, უნდა დაწესდეს სასწავლო სტანდარტები. ეს ისე უნდა განხორციელდეს, რომ 10 წლის მერე გვქონდეს ის, რაც გვჭირდება. მეორეც - არასდროს იქნება მედიცინა მაღალ დონეზე იქ, სადაც მოსახლეობას გადახდის უნარი არა აქვს. მედიცინას ფულის ჭირდება. ჩვენ გვყავს საერთაშორისო დონის ცალკეული ექიმები, მაგრამ საერთო ცოდნა ძალიან დაბალია. ამ პრობლემის გადაჭრაში ვიღაც უნდა დაგვეხმაროს. არსებობს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, რომელსაც ამისი კომპეტენცია გააჩნია. მათ საქმის აწყობის დიდი გამოცდილება აქვთ ისეთ ქვეყნებში, სადაც კორუფციაც არის და სხვა საშინელებებიც...

**- ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთობაში, ალბათ, ორივეს თანაბარი ადგილი უჭირავს, მაგრამ, საერთო ჯამში, ავადმყოფი წყვეტს ყველაფერს - თქვენს შემთხვევაში, ბავშვებთან როგორ იგება ურთიერთობები?**

- ჩემმა მეგობარმა იური როსტმა მითხრა - ავადმყოფზე ბევრი უფლებები გაქვსო... პირიქით არის - ავადმყოფს აქვს უფლება, ის განაპირობებს ყველაფერს; რა თქმა უნდა, ისე უნდა გაკეთდეს, რომ ავადმყოფს ზიანი არ მიადგეს. ზოგჯერ ძალიან ადვილია გადაწყვეტილების მიღება, ზოგჯერ - ძნელი. დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას. რაც მეტი გაქვს ნანახი და მეტი შეცდომა დაშვებული, გააზრების უნარი თუ გააჩნია - სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ. ვიღაცამ თქვა - სწორი გადაწყვეტილება ცუდი გამოცდილების შედეგიაო.

**- ექიმს ასაკი აქვს?**

- რა თქმა უნდა და ეს განსაკუთრებით ქირურგიას ეხება. 63 წლის ვარ. ერთ მშვენიერ დღეს ერთი და იგივე საქმის კეთება გბეზრდება. გარკვეული ასაკის შემდეგ საშუალება არ გაქვს, უცბად აღიქვა სიახლეები. ხშირად ისეც ხდება, რომ ძველი გამოცდილება ახალ მეთოდიკაში მისაღები აღარ არის, მაგრამ საერთო მიდგომა, ტაქტიკა ახალ თაობას აუცილებლად უნდა გადაეცეს.

ბევრ სტატიას ვწერ იმაზე, რაც მსოფლიოში პირველად გაკეთდა. როცა ექიმმა ისტორია არ იცის, წინ ვერ წავა. ჩვენი ქვეყნის ისტორია არ უნდა შევაფერადოთ. რაც უფრო სწორად და ნათლად იქნება წარმოდგენილი ისტორია, უფრო მეტს გავიგებთ საკუთარ თავზე. ჩემი სტატიები ამერიკის ყველაზე მოწინავე და დიდ ჟურნალებში დაიბეჭდა იმიტომ, რომ თუ ამერიკაში იბეჭდები, მთელი მსოფლიო კითხულობს. გერმანული ენა, როგორც საერთაშორისო სამედიცინო ენა - დაკარგულია...

**- როგორ მოახერხა ამერიკამ მრავალი როლის წართმევა სხვა ქვეყნებისთვის?**

- ამერიკა ძალიან მდიდარი ქვეყანაა და ქურდობით არ არის შექმნილი. სახელმწიფო კანონებით მოქმედებს და უზარმაზარ ფულს ხარჯავს განათლებაში. დღეს ქვეყნის სიძლიერე ცოდნაა - ორი აზრი არ არის, რადგან ეს ცოდნა განაპირობებს სამხედრო ძალას, სამედიცინო სფეროს. ამაში ამერიკელები უზარმაზარ ინვესტიციებს დებენ და ამით მსოფლიო დაიპყრეს. თუ რაიმეს გაკეთება გინდა, ცოდნა მათგან უნდა იყიდო, სხვანაირად არ გამოვა.

**- ქირურგისთვის სიმშვიდე პროფესიონალიზმის სინონიმია. გქონიათ შემთხვევა, როდესაც ემოციებმა გძლიათ?**

- ბავშვები სხვადასხვანაირები არიან. ზოგი უშნოა, მაგრამ არაჩვეულებრივად საყვარელი, ზოგი - ლამაზია, მაგრამ ეგეთი საყვარელი არ არის. ძალიან მწყდება გული, როცა გართულებები აქვთ. ახალგაზრდა რომ ვიყავი, ერთი ქირურგი მეუბნებოდა - საოპერაციოში რომ შედიხარ, ემოციები გარეთ უნდა დატოვოო - არავითარი ხმის ამაღლება, ყვირილი, აღელვება...

ამას წინათ ებრაელების საზოგადოებაში ვიყავი და იქ საუბრობდნენ, რა განსხვავებაა ჭკვიანსა და ბრძენს შორისო. ჭკვიანი რთული სიტუაციიდან გამოსავალს მოძებნის, ბრძენი კი არასდროს არ ვარდება რთულ სიტუაციაშიო... გამოცდილი ქირურგი იშვიათად ჩავარდება რთულ ვითარებაში, მაგრამ ყოველთვის უნდა იპოვოს გამოსავალი და ეს არის სწორედ ის, რაც ახალგაზრდამ უნდა ისწავლოს.

**- ალექსი-მესხიშვილები, ტრადიციულად, სახელოვნებო გვარია...**

- ასეც არ არის. საერთოდ, წინააღმდეგი ვარ საკუთარი გვარითა და წინაპრებით ტრაბახის. ეს ხომ შენი დამსახურება არ არის? მთავარია, რა გააკეთეს თავადაზნაურებმა ისეთი, რითიც შეგიძლია იამაყო... თუმცა, არც ამას მივესალმები.

ჩვენი გვარი სამღვდელო გვარი იყო. იყვნენ მწიგნობრები და გადამწერები - დავით რექტორმა მთელი ქართული პოეზია გადაწერა, ტარასი არქიმანდრიტმა სამთავისი აღორძინა და იქვეა დასაფლავებული. როდესაც ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა დაკარგა, ჩვენი გვარის წარმომადგენლებიდან ზოგი ექიმი გახდა, ზოგი - იურისტი. ბაბუაჩემი ცნობილი იურისტი იყო, იუსტიციის ერთ-ერთი პირველი მინისტრი, დამოუკიდებლობის აქტზე აქვს ხელი მოწერილი.

არ ვიცი, ექიმი რატომ გავხდი, ასე მოხდა. ხშირად გეკითხებიან, თავიდან რომ დაიწყო ცხოვრება, როგორ გაივლიდიო... შეიძლება, მუსიკოსს ისევ მუსიკოსობა მოუნდეს, ან მსახიობს – მსახიობობა. მე რამე სხვას ავირჩევდი, იმდენი საინტერესო რამაა ამ ქვეყანაზე, რომ ჯობს, კიდევ რაღაც ახალში გამოსცადო თავი.



ქართველ და გერმანელ ბავშვებს შორის ის განსხვავებაა, რომ ავადმყოფობის შესახებ გერმანელ ბავშვს ყველაფერს ეუბნებიან. ქართველებს კი უმალავენ, ჭირვეულ ბავშვებს ექიმით აშინებენ.

გადიოდა წლები და ერთი შეკითხვაც არ მომსვლია საქართველოდან. ეს არის სენი - როცა ადამიანი რაღაცას ისწავლის, ჰგონია, რომ ყველაფერი იცის. მედიცინაში ყოველდღიურად ხდება რაღაც ახალი და თუ არ გაყევი, ერთი კვირის მერე - ჩამორჩენილი ხარ.

ამ ხელისუფლებას პრობლემების მოგვარებას სულით და გულით ვუსურვებ, თუმცა მაინც მგონია, რომ მექრთამეობაც დარჩება, ჩაწყობაც იქნება, მაგრამ რაღაც კალაპოტში მაინც მოექცევა.

*მოკლედ*

## გართობა სარდაფის სცენაზე



*ვაკის სარდაფში ერთობიან*

გუშინ ვაკის თეატრალური სარდაფის სცენა არაპროფესიონალმა მსახიობებმა დაიკავეს. სამოდელო სააგენტო "ნატალის" თეატრალური კურსების მოსწავლეებმა "შინაურებისთვის" წარმოდგენა "ზამთარი" აჩვენეს.

რამდენიმე წელიწადია სამოდელო სააგენტო "ნატალისთან" ბავშვებისთვის თეატრალური ხელოვნების კურსები არსებობს. იმის მიუხედავად, რომ იქ პროფესიონალები ასწავლიან, პედაგოგებს ამ ბავშვების პროფესიონალიზმზე პრეტენზიები არ აქვთ. ალბათ ამიტომაც ბავშვებმა ტრადიციად დაამკვიდრეს წლის ბოლოს წარმოდგენები მხოლოდ ახლობლებისთვის, შინაურულ წრეში გამართონ. გუშინ ასეთი წარმოდგენა მათ ვაკეში თეატრალური სარდაფის სცენაზე აჩვენეს.

ეს არ იყო სპექტაკლი. ბავშვებმა უბრალოდ სხვადასხვა სანახაობების მიქსი შექმნეს, რომელსაც "ზამთარი" უწოდეს. "ეს არის უბრალოდ, ამ ბავშვების გართობა, რომელსაც მშობლებიც ესწრებიან. ჯერ სპექტაკლებზე ლაპარაკი ნაადრევია, მით უმეტეს, როდესაც მსახიობები არ არიან", - გუშინდელი ღონისძიების შესახებ გაგვიზიარა შთაბეჭდილებები მსახიობმა ნინელი ჭანკვეტაძემ, რომელიც რამდენიმე თვეა ბავშვებს მსახიობის ოსტატობაში წვრთნის.

მოსწავლეებს დადებითად აფასებდა ქორეოგრაფი ნინა კერვალიშვილიც: "ძალიან კარგი ბავშვები არიან. იმის მიუხედავად, რომ მოსამზადებელი დრო ცოტა გვქონდა – 2 კვირა, მაქსიმალურად შეეცადნენ სათანადო დონეზე მომზადებულიყვნენ".

სანახაობას ვაკის სარდაფში მოსწავლეთა მშობლებისა და ახლობლების გარდა, რასაკვირველია, სააგენტო "ნატალის" ხელმძღვანელი ნატალია სამადელაშვილი და მისი მოდელებიც ესწრებოდნენ. სანახაობის სახით ერთგვარი გამოცდის ჩაბარების გარდა, მოსწავლეებს განსაკუთრებით ცნობილ მოდელებთან და ნინელი ჭანკვეტაძესთან ყოფნა უხაროდათ. ამის დასტურად მოსწავლეები მათთან ერთად სურათებს იღებდნენ. **24 საათი**

## მხატვრები არჩევნებზე

4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების მხარდასაჭერად მხატვრები დღეს რუსთაველის გამზირზე, "მხატვრის სახლის" წინ მესერს მოხატავენ. აქცია 12 საათიდან დაიწყება; სამ საათზე კი მათ მუსიკოსები შეუერთდებიან.

"მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში სადღესასწაულო ნოტა შევიტანოთ და კულტურის დარგში მოღვაწეთა პოზიცია დავაფიქსიროთ" - აღნიშნეს აქციის ორგანიზატორებმა. მათი თქმით, ახალი წლის ზეიმთან ერთად, მოსახლეობამ მომავალ სწორ არჩევანზეც უნდა იზრუნოს, სწორედ ამიტომ შეირჩა აქციისთვის "მხატვრის სახლის" მიმდებარე ტერიტორია, რომელიც "ხავერდოვან რევოლუციასთან" ასოცირდება".

აქციის მონაწილეებთან ერთად მოხალისეები ქუჩაში სუვენირებსა და ბროშურებსაც დაარიგებენ, რის შემდეგაც სავარაუდოდ საღამოს ხუთი საათისთვის ჰაერში ბუშტებს გაუშვებენ. **ინტერ-პრესი**

## საშობაო კონცერტის სამზადისში

ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდი საშობაო კონცერტისთვის ემზადება. 9 დეკემბერს მათი შესრულებით კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში სპეციალური საღამო გაიმართება. მგალობლები მსმენელის წინაშე განახლებული პროგრამით წარსდგებიან და საგალობლებთან ერთად ქართულ ხალხურ სიმღერებსაც შეასრულებენ. **ინტერ-პრესი**

## გამოფენა უზენაეს სასამართლოში

გუშინ საქართველოს უზენაეს სასამართლოში მხატვარ ქეთი მატაბელის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობის მე-5 სართულის ფოიეში მნახველებს ქეთი მატებელის 34 კომპოზიციის ნახვა ხუთი თვის განმავლობაში შეეძლებათ. გამოფენაზე ძირითადად წარმოდგენილია ძველი თბილისის თემაზე შექმნილი სურათები.

უზენაეს სასამართლოში პირველად მხატვარ გია გუგუშვილის ნამუშევართა გამოფენა მოეწყო, შემდგომ მსახიობ ჟანრი ლოლაშვილის. **ინტერ-პრესი**

## სახლი, როგორც სასტუმრო

"ბითლზის" ლეგენდარული მენეჯერის ბრაიან ეპსტაინის სახლი ლივერპულში ახლანდელმა მფლობელებმა სასტუმროდ გადააკეთეს.

თავად ბრაიან ეპსტაინი 1967 წლის აგვისტოში 32 წლის ასაკში გარდაიცვალა. როგორც ცნობილია, ეპსტაინის წვლილი განუზომელია ლივერპულელი ოთხეულის გრანდიოზულ წარმატებებში. ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როდესაც მუსიკოსებს ეპსტაინი ლივერპულის ცენტრში მდებარე მუსიკალურ მაღაზია NEMS-ში შეხვდა.

ეპსტაინის სახლი 35 ათას ფუნტ სტერლინგად დარენ მაკლენანმა და იენ ქუიგმა იყიდეს. თავიდან ამ სახლში საბავშვო ბაღის მოწყობა უნდოდათ, შემდეგ კი, როდესაც სახლის ისტორიას კარგად გაეცნენ, გადაწყვიტეს ბითლომანების სასტუმროდ ექციათ ის.

ამ დღეებში სასტუმრო სახელწოდებით "ეპსტაინი" კარს გაუღებს ყველა მსურველს. ამ დროისათვის სასტუმროს მფლობელებმა მიიღეს ათობით მსურველის წინადადება, რომელთაც სასტუმროში ცხოვრება სურთ. "ყოველწლიურად ლივერპულში "ბითლზის" ათასობით ფანი ჩამოდის. დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ბიზნესი გაამართლებს", - ამბობს მაკლენანი.

შეგახსენებთ, ლივერპულში მსურველებისთვის ღიაა სახლები, სადაც ბავშვობაში ცხოვრობდნენ ჯონ ლენონი და პოლ მაკარტნი. 2003 წლისთვის ამ სახლებს, რომლებიც ისტორიული მემკვიდრეობის შენახვის ფონდის "ნეშნლ ტრასტის" მფლობელობაშია, 7 ათასამდე ადამიანისთვის უმასპინძლია.



# რევოლუციით შთაგონებულნი

### პრეზენტაცია პარლამენტთან

ვერა ნეფარიძე

*საახალწლო ჰიმნი რევოლუციის თემაზე - ასეთი სიახლე შესთავაზეს გუშინ ჩვენმა მომღერლებმა საზოგადოებას პარლამენტის წინ მუსიკალური კლიპის პრეზენტაციის სახით. პროექტის ავტორებს ნაკლებად გაუმართლათ – ქალაქში გუშინდელი უჩვეულო საცობის გამო, კლიპის პრეზენტაციაზე საზოგადოების დიდი ნაწილი კი არა, თავად ჰიმნის შემსრულებელთა სრული შემადგენლობაც ვერ შეიკრიბა. ამიტომაც, რადგანაც რევოლუციით შთაგონებული მუსიკოს-შემსრულებლებიდან ერთ ნაწილს წვიმის მუსიკოსებად მოვიხსენიებთ, ალბათ, არავინ გვიწყენს, თუკი გუშინდელი საღამოს ავტორებს, პირობითად, "საცობის მუსიკოსებს" ვუწოდებთ.*



*ჰიმნის პრეზენტაციაზე*

უკანასკნელ დღეებში ამ იდეის შესახებ ავტორები აქტიურად საუბრობდნენ მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით. იმის მიუხედავად, რომ მსგავსი ჩანაფიქრი "ვარდების რევოლუციის" პერიოდში წარმატებით განხორციელდა (როდესაც ნიაზ დიასამიძისა და "33ა"-ს სიმღერა "წვიმის მუსიკოსებმა" ერთად შეასრულეს), გამეორებულ იდეას მაინც დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ. თუმცა, ამ ორ ჰიმნს შორის ის განსხვავებაა, რომ უკანასკნელი საახალწლო ჰიმნად მოიაზრება. სხვათა შორის, "ახალი დღის" შესრულებაზე "წვიმის მუსიკოსებისგან" თანხმობა მხოლოდ ირაკლი ჩარკვიანმა განაცხადა.

ქრისტინე იმედაძის იდეა, რევოლუციის თემაზე შექმნილიყო ჰიმნი, იმდენად დროული აღმოჩნდა სხვებისთვისაც, რომ მას მაშინვე გამოუჩნდნენ მხარდამჭერები და თანაავტორები - ტექსტისა და მუსიკის შემქმნელები, ასევე, პროექტის პროდიუსერი, რეჟისორი და ოცდახუთი მომღერალი. არადა, როგორც ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში გამოტყდა, "არტ-იმედის" მომღერალ ქრისტინე იმედაძეს ჰიმნის შესრულება მარტოს სურდა. ერთი სიტყვით, ჩანაფიქრი გაცილებით მასშტაბურად განხორციელდა.

ჰიმნის მუსიკის ავტორი სტეფანეა (იგივე სტეფანე მღებრიშვილი), ტექსტის კი – მაია დარსმელიძე. ჰიმნს ჰყავს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თანაავტორი – ია ფარულავა, რომელმაც პროექტის პროდიუსერობა იტვირთა. ჰიმნის სახელწოდება საკმაოდ ოპტიმისტურია (ნაკლებად ორიგინალური) – "ახალი დღე". რაც შეეხება რეჟისურას, ამ მხრივ, თამაზ ორაშვილის ნამუშევარი, ალბათ, ყველაზე ნაკლებ პრეტენზიას იმსახურებს.

"ახალი დღის" შემქნელებმა უკვე არაერთხელ აღნიშნეს სხვადასხვა ინტერვიუებში პროექტში მონაწილეობის მიზეზები; უპირველესი მუსიკოსებისთვის "ვარდების რევოლუციის" შედეგები აღმოჩნდა. რამდენიმე მათგანი საჯაროდ ამაყობს, რომ ნოემბრის მოვლენების ერთგული მონაწილე იყო. სხვათა შორის, ვისაც არ სჯერა, შეუძლია ყურადღებით ადევნოს თვალი ვიდეოკლიპს, სადაც აქციის მონაწილეებს შორის "ნაციონალების დროშიან" სტეფანეს აუცილებლად შენიშნავს. რაც შეეხება ჰიმნის დანარჩენ შემსრულებლებს, მე პირადად რამდენიმე მათგანი სახელისუფლებო ბლოკის მხარდასაჭერად ლოკომოტივის სტადიონზე გამართული კონცერტიდან მახსოვს, ბაკურ ბაკურაძის რიტორიკას ბანს რომ აძლევდნენ. როგორც ვიცი, ჰიმნის ავტორებს (მათ ეს არაერთხელ თქვეს) კიდევ ბევრი განაწყენებული კოლეგა დარჩათ, იმის გამო, რომ მათ პროექტში მონაწილეობა არავინ შესთავაზა. პროექტის გულწრფელ ავტორებს ვეტყოდი - ამაზე არ იდარდონ, რადგანაც ასეთი ადამიანების რაოდენობა ამიერიდან სულ უფრო მოიმატებს. ისიც არაა გამორიცხული, რომ მომავალშიც მრავალი, რევოლუციური სულით "აღგზნებული" ხელოვანის შემოქმედებას გავეცნოთ. უბრალოდ, ძნელი დასაჯერებელია, რომ თითოეული ეს ქმნილება ისეთივე გულწრფელი იქნება, როგორც - დაახლოებით, ერთი თვის წინათ, წვიმიან თბილისში შექმნილი.

# წინასაარჩევნო ბატალიები სამხატვრო აკადემიაში

ნინო ჭანიშვილი

რამდენიმე დღის წინ სამხატვრო აკადემიის რექტორმა სოსო ქოიავამ გადადგომის თაობაზე განცხადება დაწერა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ ახალი რექტორის არჩევამდე ყველაფერი ძველებურად დარჩება.

სამხატვრო აკადემიის რექტორის არჩევნები 9 იანვარს არის დანიშნული. ახალ რექტორს 60 ადამიანისაგან შემდგარი სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭო აირჩევს. რექტორობის ერთადერთი კანდიტატია მხატვარი, სამხატვრო აკადემიის პრორექტორი, გია ბუღაძე, რომელმაც დანიშნულ ვადაში თავისი კანდიდატურა წამოაყენა და სამეცნიერო საბჭოს პროგრამა წარუდგინა.

გია ბუღაძის გარდა, აკადემიის რექტორის თანამდებობაზე რეალურ კანდიდატებად სახელდებოდნენ ყარამან ქუთათელაძე და მერაბ ჩხენკელიც. ყოფილ მშენებლობის მინისტრს და ამჟამად არქიტექტურის კათედრის გამგეს თავისი კანდიდატურა არ წამოუყენებია. რაც შეეხება ფერწერის კათედრაზე მომუშავე ყარამან ქუთათელაძეს, მან ვერ წარადგინა საკუთარი კანდიდატურა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი მხოლოდ დოცენტია. სამხატვრო აკადემიის ახალი წესდების მიხედვით კი, აკადემიის მომავალი რექტორი პროფესორი უნდა იყოს.



*გია ბუღაძე – აკადემიის პრორექტორი*

მიუხედავად ყველა ფორმალობის დაცვისა, გია ბუღაძე არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაზე შიშობს. "ვარდების რევოლუციის" აქტიური წევრის წინააღმდეგ სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნაწილი გამოდის. აკადემიაში "სტუდენტური ფორუმი" "საბოტაჟის" მოწყობას და არჩევნების ჩაშლას გეგმავს. "სტუდენტური ფორუმი" სამხატვრო აკადემიის ახალი წესდების მიღებას და ამის შემდეგ არჩევნების დანიშვნას ითხოვს. მათ მხარს უჭერს ყარამან ქუთათელაძე და აკადემიის პედაგოგთა გარკვეული ნაწილი. დღეს 12 საათზე, მათი მოთხოვნით, გაფართოებული საბჭოს სხდომა გაიმართება და ისინი თავიანთ წინადადებას წარუდგენენ საბჭოს.

სამხატვრო აკადემიამ ახალი წესდება 2003 წლის მარტში მიიღო და იგი იურიდიული საჯარო სამართლის პირი გახდა. "როდესაც მე აკადემიაში მოვედი, ეს დოკუმენტი უკვე მუშავდებოდა, შემდეგ მან წელიწადნახევარი იმოგზაურა სხვადასხვა ინსტანციებში, – ამბობს გია ბუღაძე – ამ ახალგაზრდებს სცოდნიათ ამ წესდების შესახებ. როცა ახალ წესდებას გავეცანი, რეალურად, მეც ბევრი რამ არ მომეწონა და, რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ წესდება დასახვეწია. ის უფრო დემოკრატიული უნდა გახდეს. მე ვფიქრობდი, რომ მოვიდოდი წესის დაცვით – ისე, რასაც ითვალისწინებს წესდება; შემდეგ კი შეიქმნებოდა ჯგუფი, რომელიც ახალ წესდებაზე იმუშავებდა. ახალი წესდების მიღებას ისევ წელიწადნახევარი დასჭირდება. ამ ხნის განმავლობაში მე შევასრულებდი რექტორის ფუნქციას. ახალი წესდების მიღების შემთხვევაში მე თვითონ დავნიშნავ ხელახალ არჩევნებს. მათ ვინც ახალი წესდების მიღებას და შემდეგ არჩევნების დანიშვნას მოითხოვენ, ვეუბნები, რომ ამ ხნის განმავლობაში ჰაერში ხომ არ ჩამოვეკიდებით. როცა ამ ახალგაზრდებს კანონიერი გზით დავუპირისპირდით, ისინი გაღიზიანდნენ, იმიტომ, რომ კანონთან ურთიერთობა რთულია. მე თვითონ ვარ რეფორმის მომხრე და არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ სკამს მივეჯაჭვო. ეს მით უმეტეს რთული იქნება მხატვარი კაცისთვის. თუ ვინმე აპირებს, რომ ე.წ. "ვარდების რევოლუცია" მოაწყოს, ძალიან ვთხოვ, ეს არ გააკეთონს. ეს სასაცილო და შეურაცხმყოფელი იქნება აკადემიის სახელისთვის".

თუკი ყველაფერი კანონიერების ფარგლებში წარიმართა და გია ბუღაძეს აკადემიის რექტორად აირჩევენ ის, პირველ რიგში, ამ სასწავლებელში გათბობის გაკეთებას, ახალი წესდების მიღებას და დისციპლინის აღდგენას გეგმავს: "ჩემი პირველი ამოცანაა წესდების დაწერა, გათბობა, რომელსაც 120 ათასი ლარი სჭირდება და ძველი შენობის გამაგრება. წესდებაში რექტორის იმპიჩმენტის მუხლიც უნდა ჩავდოთ. თბილისის აკადემიამ უნდა შეინარჩუნოს გარკვეული კლასიკურობა. ამავე დროს ის ლიბერალიზმის ცენტრი უნდა გახდეს. უკვე სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული საკაბინეტო მართვის თვალსაზრისით".

გია ბუღაძე ამბობს, რომ წესდებაში არ ჩანს, რომ სამხატვრო აკადემია 82 წელიწადია არსებობს, არ ჩანს, თუ ვისი სამართალმემკვიდრეა. შეგახსენებთ, რომ თბილისის სამხატვრო აკადემია 1922 წლის 14 მაისს გაიხსნა. მის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვით დიმიტრი შევარდნაძესა და პირველ რექტორს გიორგი ჩუბინაშვილს.

# როცა ბახი ხვდება "ბითლზს"

### რატომ არ მოსწონს ჯონ ბეილისს ქართველი მსმენელის გემოვნება

მადი სერებრიაკოვა

**"ბავშვობაში ეკლესიაში და კინოში მიყვარდა სიარული. ეკლესიაში ბახის და ჰენდელის მესებს ვისმენდი, კინოში კი მუსიკალურ ფილმებს და შემდეგ სმენით ვაწყობდი,"** – ამერიკელი იმპროვიზატორი პიანისტის, ჯონ ბეილისის ბავშვური მოგონებები მხოლოდ ლირიული გადახვევა როდია. ბახისადმი პიანისტის სიყვარული კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტზე ძალზედ ორიგინალურად გამომჟღავნდა. საკონცერტო პროგრამა "ბითლზისა" და პუჩინის თემებზე შექმნილი იმპროვიზაციებისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. თუმცა, "იმპროვიზაცია" ზუსტად ვერ გამოხატავს იმას, რაც კონცერტზე მოვისმინეთ. ეს უფრო ბახის, ბეთჰოვენის, შუბერტისა თუ რახმანინოვის თვალით დანახული "ბითლზი" და პუჩინი იყო. **"მინდოდა, წარმომედგინა, რა მოხდებოდა ერთ მშვენიერ დღეს ბახი და ჯონ ლენონი ერთმანეთს რომ შეხვედროდნენ,"** – გვითხრა ბეილისმა.

ჯონ ბეილისი, ალბათ, წლევანდელი საახალწლო კონცერტების სერიის ყველაზე კოლორიტული სტუმარი იყო. პიანისტმა კარნეგი ჰოლში შესრულებული "ვესტსაიდური ისტორიის" საკონცერტო ვარიაციებით მოიპოვა პოპულარობა. ბეილისი ნიუ იორკის უნივერსიტეტში თავად ბერნსტაინის მოსწავლე იყო. "ვესტსაიდური ისტორიის" ფრაგმენტები მან გუშინ კონსერვატორიაშიც შეასრულა – ამჯერად ბეთჰოვენისა და შუბერტის თვალით დანახული.



*ჯონ ბეილისი კონსერვატორიაში*

კონცერტი კონსერვატორიაში, თითქმის, ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. ამას ობიექტური საფუძველი ჰქონდა: საგზაო საცობებისგან პარალიზებული ქალაქის მკვიდრმა მუსიკის მოყვარულებმა კონცერტზე საგრძნობლად დააგვიანეს. ბეილისმა კონცერტი მცირე მონოლოგით დაიწყო - მან ბახისა და "ბითლზის" სიახლოვეზე და საკუთარ მუსიკალურ ბიოგრაფიაზე ისაუბრა. პიანისტს დაკვრა 4 წლის ასაკში დაუწყია, თუმცა ყველა მელოდიას სმენით აწყობდა და საშინლად ეზარებოდა ნოტების სწავლა. ამ პრობლემის დასაძლევად მას 7 წელი დასჭირდა.

როგორც ბეილისის საკონცერტო პროგრამა გვაუწყებდა, მას იმპროვიზაციები "ბითლზის" და პუჩინის თემებზე უნდა დაეკრა. თუმცა, პიანისტის მუსიკალური ინტერესი ბევრად შორს წავიდა. თავდაპირველად, მან მართლაც "ბითლზით" დაიწყო: Imagine, yesterday, hey, Jude და სხვა ცნობილი სიმღერები ბაროკოს სტილში შესრულდა. შემდეგ, პიანისტი კინო-მუსიკას გადასწვდა: ცნობილი მელოდია Moonriver ფილმიდან "საუზმე ტიფანისთან" (Breakfast at Tiffani's) და თემა "შინდლერის სიიდან" კი რახმანინოვის კონცერტისა და პრელუდიასთან კომპილაციაში წარმოადგინა.

განსაკუთრებული მხიარულება მეორე განყოფილებაში დაიწყო - ბეილისმა ჯერ ჯენის ჯოპლინი, ბერსტაინი, პუჩინი და ბეთჰოვენი გააერთიანა, მერე აღტაცებულ თბილისელ მსმენელს ლისტისა და "თბილისო"-ს გაერთიანებული ვერსია მიუძღვნა, მერე კი მათი მუსიკალური სურვილების შესრულება დაიწყო. დარბაზიდან "შეკვეთებიც" მეტად ორიგინალური წამოვიდა: შუბერტითა და გერშვინით დაწყებული, "ჯიფსი კინგით" დამთავრებული. ბეილისი ჩვენი მუსიკალური გემოვნებით აღტაცებული არ დარჩენილა, მაგრამ მსმენელთა სურვილებს მაინც მეტად მოხერხებულად აკმაყოფილებდა. საბოლოოდ, ცნობილი ჰიტების - Summer Time და Let it be-ს ორიგინალური ვერსიების წყალობით, კონცერტი, თითქმის, კარაოკეს დაემსგავსა.

კონსერვატორიის დარბაზის მსმენელი გუშინ, მართლაც, უჩვეულოდ გამხიარულდა. პიანისტთან შინაურული საუბარი დარბაზის ფოიეშიც გაგრძელდა: **"აი, შესანიშნავი მაგალითი იმისა, რომ პროფესიონალიც იყო, აკადემიურიც, და თან ხალისი, ყველა ფენაში პოპულარობა, უშუალობა და იუმორიც არ დაკარგო,"** – აღნიშნავდნენ პიანისტის ქართველი კოლეგები. ბეილისი, მართლაც, დიდებული პიანისტი აღმოჩნდა. იუმორსა და პოპულარულ რეპერტუარს რომ თავი დავანებოთ, იგი კლასიკური რეპერტუარის შესანიშნავ ინტერპრეტაციასაც გვთავაზობდა: **"მე ბახსა და ჰენდელზე გავიზარდე, მათი მუსიკა ჩემთვის პირველია, მაგრამ ჯერ კიდევ 5-6 წლის ასაკში მათ თემებს ვაწყობდი და საკუთარ ვარიციებს ვთხზავდი."**

ბეილისმა კონსერვატორიის დიდი დარბაზის საახალწლო კონცერტების სერიის პოპულარული ნაწილი დახურა. დღეს ფესტივალი ოფიციალურად დაიხურება კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის კონცერტით. ახალგაზრდულ ორკესტრს ნიდერლანდებიდან ჩამოსული ლევ მარკიზი უდირიჟორებს, სოლისტის პარტიას კი თავად კონსერვატორიის რექტორი და ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი მანანა დოიჯაშვილი შეასრულებს.

# 2003 წელი კულტურაში

ამ კვირაში "ნიუ იორკ ტაიმსი" მსხვილი ფორმატით გამოვიდა. მიზეზი ახალი წელი და იმის სურვილი იყო, რომ გაზეთის მიმომხილველებს მთელი წლიწადი მიმოეხილათ. მასალა, ცხადია, ბევრი იყო – დასავლურ კულტურაში ხომ ე.წ. ხარისხიანი სიახლეები ხშირ-ხშირად ხდება... დღეს სწორედ "ნიუ იორკ ტაიმსის" გემოვნებით შერჩეულ წლის საუკეთესო მოვლენებზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

### წლის ალბომები და სიმღერები:

ამ კატეგორიაში პირველი ადგილი როკ-ჯგუფმა Yeah Yeah Yeahs-მა დაიკავა ალბომით Fever To Tell. მეორე ადგილზე "აუთქასთი" და მისი ალბომი Speakerboxxx/The Love Below გავიდა, მესამეზე კი – "რეიდიოჰედი" 2003 წლის კომპაქტით Hail To The Thief. ამ ალბომმა შესანიშნავი რეცენზიები დაიმსახურა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა მსმენელი, რომ "რეიდიოჰედი" კვლავაც ფორმაშია.

მეოთხე ადგილი წილად ხვდა ენი ლენოქსსა და მის Bare-ს. კრიტიკოსების აზრით, ასეთი გაბედული, ემოციური ალბომი ლენოქსს მას შემდეგ არ გამოუცია, რაც 1992 წელს, სოლო კარიერის დასაწყისში მისი "დივა" გამოვიდა. როგორც ამტკიცებენ, შესანიშნავ არანჟირებას ძალიან უხდება ლენოქსის ღრმა, სევდიანი ხმა.

მეხუთე ადგილს უორენ ზევონი (ალბომი Wind) დასჯერდა, მეექვსეს – ანდრეს კაბასი ალბომით Contacto. ამ ჩანაწერებში, თურმე, კაბასი გემოვნებით ურევს ერთმანეთს სალსას, როკს, ფანკსა და აფრო-კარიბულ მოტივებს და გვთავაზობს სასიყვარულო სიმღერებს, რომლებიც მსმენელს მისი მშობლიური კოლუმბიის საზღვრებს მიღმაც ხიბლავს.

"ნიუ იორკ ტაიმსის" რეცენზენტებმა საგანგებოდ გამოარჩიეს ალიშა ქიზიც და მისი ბოლო ალბომი The Diary of Alicia Keys – კომპაქტი, რომელიც სავსეა სრულყოფილი, კლასიკური სოულის სიმღერებით. ისინი, თურმე, უფრო 1970-იანურ განცდას ტოვებენ და არაფერი აქვთ საერთო რიტმ-ენ-ბლუზთან.

მიმომხილველების ყურადღება დაიმსახურა მისი ელიოტმაც თავისი ბოლო ალბომით This Is Not A Test – საუკეთესო ჰიპ-ჰოპით, ენერგიით და ემოციით. იმავე განყოფილებაში საგანგებო ადგილი ეთმობა სინგლებსაც. მათგან კი "ბლექ დაისის" Cone Toaster-ს, ბიონსესა და ჯეი-ზის დუეტს Crazy in Love და "სთროუქსის" Reptilia-ს გამოარჩევენ.

### ხელოვნება და ხელოვანები

**წყვილები:** თანამედროვე ხელოვნების გალერეაში ორგანიზატორებმა პიკასო და მატისი "დააწყვილეს", მეტროპოლიტენში კი – მანე და ველასკესი. ორივე გამოფენა წლის ყველაზე შემოსავლიან და პოპულარულ პროექტად იქცა.

**ბრუნვა:** გუგენჰაიმში მიმდინარე მეტიუ ბერნის "კრემასტერის ციკლს" თავიდანვე ეტყობოდა, რომ დიდ ხალხს მიიზიდავდა. ასეც მოხდა, ბერნმა მუზეუმში ყველა ასაკის სტუმარი შეკრიბა, ახალ საუკუნეს კი ახალი ამბიციური პროვოკაცია "ესროლა".

### შენობები და პროექტები

**უოლდ დისნეის საკონცერტო დარბაზი, ლოს ანჯელესი:** ფრენკ გერის ამ პროექტს მიმომხილველები შედევრს უწოდებენ. მათი აზრით, ეს გახლავთ არქიტექტურა საზღვრებს გარეშე. შენობა, რომელიც ისეთივე მელოდიურია, როგორც მუსიკა, რომელიც მის უნიკალურ დარბაზში ჟღერს.

**პერი სტრიტის საცხოვრებელი სახლები, ნიუ იორკი:** ეს ორი კოშკი არქიტექტორ რიჩარდ მაიერის შემოქმედებაა. ისინი ძალიან უხდებიან ერთმანეთს და გრინვიჩ ვილიჯის ისტორიულ გარემოსაც ჰარმონიულად ერწყმიან.

**მსოფლიოს თაღი, კოსტა რიკა:** ჯერჯერობით, გრეგ ლინის ეს ამბიციური პროექტი მხოლოდ მაკეტის სახით არსებობს. მისი ხილვა საზოგადოებას წელს ვენის ხელოვნების მუზეუმში შეეძლო, ისე კი კოსტა რიკას ნაციონალურ პარკში უნდა განხორციელდეს.


დისნეის ახალი სახლი ლის ანჟელესში

**9/11 მემორიალური მხარე, ნიუ იორკი:** ამ კონკურსის ფარგლებში რამდენიმე მართლაც საინტერესო პროექტი შეიქმნა. ნიუ იორკმა მათგან უნდა აირჩიოს ერთი, რომელიც ყველაზე მეტად გადმოსცემს ტერაქტების დღის ტრაგიზმს.

**ცენტრალური პარკი, ნიუ იორკი:** წელს ქალაქმა თავისი გრანდიოზული და ისტორიული პარკის 150 წლის იუბილე აღნიშნა. ამ საზეიმო თარიღის აღსანიშნავად მრავალი საინტერესო ღონისძიება დაიგეგმა. "ნიუ იორკ ტაიმსის" ფავორიტთა ნუსხაში ყველა ნიუ იორკელისთვის საყვარელი პარკი ამიტომაც მოხვდა.

### 2003 წელი თეატრის სცენაზე

ყველაზე წარმატებულ სპექტაკლად წელს იუჯინ ო`ნილის პიესის მიხედვით დადგმული "გრძელი დღის მოგზაურობა ღამეში" უნდა ჩავთვალოთ, წლის მსახიობ ქალად კი ვანესა რედგრეი. მას ფეხდაფეხ მოჰყვება ლინკონის ცენტრის სცენაზე დადგმული "ჰენრი მეოთხე", რომელშიც მთავარ როლს კევინ კლაინი ასრულებს. უნდა ითქვას, რომ "ფრანგული კოცნის" ვარსკვლავი ჰენრი მეოთხის როლშიც აღაფრთოვანებს, როგორც მაყურებელს, ისე კრიტიკოსებს.

რაც არ უნდა საოცარი იყოს, თეატრის საუკეთესო მსახიობებს შორის გამოჰყოფენ ჰიუ ჯეკმანსაც – ჰოლივუდური ბლოკბასტერების "ხმალთევზასა" და "იქსმენის" ავსტრალიელ ვარსკვლავს. ჯეკმენი თამაშობს მიუზიკლში "ბიჭუნა ოზიდან", რომელიც ბროდვეიზე დაიდგა.

და ბოლოს, თეატრის განხრით გამოჰყვეს მელანი გრიფიტიც. ის მიუზიკლში "ჩიკაგო" როქსი ჰარტის როლს ასრულებს. სხვათა შორის, ამ პერსონაჟს 2002 წლის ბლოკბასტერ ფილმში რენე ზელვეგერი ასახიერებს.

...ცხადია, ეს წლის მოვლენების მხოლოდ მოკლე ჩამონათვალია. ხოლო თუ გნებავთ, გასული წელი უფრო დეტალურად და სრულად გაიხსენოთ, მაშინ პირველწყაროს გაცნობა მოგიწევთ.


თომ იორკი წლის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა

# მონა ლიზა

ჯოზეფ ჰარისი
*Smithsonian*

გინდა თუ არა, ლუვრის შუშის პირამიდაში ხალხის ნაკადს ძალაუნებურად მეორე სართულზე აყავხარ, დარბაზში, სადაც თავისუფლად შეიძლება ჩოგბურთის თამაში. ყველა ცდილობს, რაც შეიძლება ახლოს მივიდეს ტყვიაგაუმტარ და კონდიციონერით აღჭურვილ საცავთან, რათა თვალი შეავლოს ლეონარდო და ვინჩის მიერ 500 წლის წინათ დახატული ფლორენციელი ქალბატონის პორტრეტს.

ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ დარბაზში გამოფენილი იტალიური კლასიკის სხვა შედევრებს, რომელთა შორის ტიციანი, ტინტორეტო და ვერონეზე არიან და თავიანთ კამერებს უმიზნებენ საცავს. ბევრი მათგანი მის გვერდზე ფოტოს იღებს და ისე იჯგიმება, თითქოს ეიფელის კოშკის წინ იდგეს. ყველაფერი ძალიან ჰგავს პოპულარული პიროვნების პრესკონფერენციას. განსხვავება ისაა, რომ აქ სუპერვარსკვლავი ხმას არ იღებს. ის მხოლოდ ცივი ღიმილით გიმზერთ.

მონა ლიზა სახვითი ხელოვნების 40 ათას წლიანი ისტორიის ყველაზე განთქმული ნამუშევარია. "ის იწვევს მყისიერ შოკს ყველა კონტინენტზე", - ამბობს ხელოვნების ავტორიტეტული ისტორიკოსი როი მაკმალენი, როლსაც საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ფენომენი, "მასთან შედარებით, ვენერა მილოსელი და სიქსტის კაპელა, უბრალოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ქმნილებებია; ის იმდენივე ღია ბარათს ყიდის, რამდენსაც ტროპიკული კურორტი და ისე უფორიაქებს გონებას მოყვარულ დეტექტივებს, როგორც გაუხსნელი საერთაშორისო მკვლელობა." როგორც ბევრი ცნობილი ადამიანი, მონა ლიზა სახელგანთქმულია იმიტომ, რომ ის სახელგანთქმულია. ლუვრის ხელმძღვანელების შეფასებით, მუზეუმს სტუმრები პირველად მხოლოდ იმიტომ სტუმრობენ, რომ ამ კულტურული არქიტეპის და კიჩის ნაჯვარი ნახონ. ეჭვს გარეშეა, რომ სურათი ჩვენი კოლექტიური ქვეცნობიერის ნაწილი გახდა. ხელოვნების არც ერთ ნიმუშს არ გამოუწვევია ისეთი გიჟური რეაქცია, უზომო აღტაცება, გაუთავებელი ანლიზი, მასობრივი იმიტაცია, სკანდალები და კომერციალიზაცია, როგორც მას.

სურათს რომ მსოფლიო კლასის სუპერვარსკვლავის სტატუსი ჰქონდა, კარგად გამოჩნდა 1963 და 1974 წლებში, როცა საფრანგეთის კულტურის მინისტრმა, ანდრე მალრომ ის აშშ-სა და იაპონიაში გააგზავნა, როგორც ფრანგული კულტურის ერთგვარი ელჩი. 1963 წელს მონა ლიზა ამერიკაში ისე მიიღეს, თითქოს სურათი კი არა, ხელისუფლების წარმომადგენელი ყოფილიყოს. პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ და მისმა მეუღლემ ჟაკლინმა, რომლებიც შესაბამისად ტაქსედოსა და საღამოს კაბაში იყვნენ გამოწყობილნი, მონა ლიზა ფორმალურად ვაშინგტონის ხელოვნების ეროვნულ გალერეაში მიიღეს. "ეს არის ხელოვნების ყველაზე ცნობილი ნიმუში, რომელსც კი ოდესმე გადაულახია ოკეანე", - განაცხადა გალერეის დირექტორმა ჯონ უოლკერმა. სურათს გამუდმებით იცავდა საზღვაო ქვეითი ჯარის სპეციალური ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმი თავისი არსებობის განმავლობაში პირველად გააღეს საღამოს საათებში, სახელგანთქმული სახისთვის თვალის შესავლებად, მსურველებს, სულ ცოტა, ორ საათს უწევდათ რიგში დგომა. ერთმა მნახველმა ჰკითხა მცველებს, თუ რისთვის იყენებდნენ ამ გრანდიოზულ შენობას ადრე, სანამ ამ ნახატს გამოჰფენდნენ. ანალოგიური სურათი იყო თებერვალში ნიუ იორკში, როცა ხალხი ცივ ზამთარში საათობით იდგა მეტროპოლიტენ მუზეუმის წინ. საბოლოოდ, მონა ლიზას ნახვა ორ მილიონზე მეტმა ამერიკელმა მოახერხა.

მაგრამ, ამერიკული "მონამანია", იაპონურთან შედარებით, გაფერმკრთალდა. მონა ლიზა ტოკიოს ეროვნულ გალერეაში 1974 წლის აპრილში გამოფინეს. მნახველთა რიცხვმა 1,5 მილიონს გადააჭარბა. თითოეულ მათგანს ათი წამი ეძლეოდა ნახატთან გასაჩერებლად. რიგს ფორმიანი დაცვა აწესრიგებდა. ქალაქში კი აჟიოტაჟი ისტერიას აღწევდა. უამრავმა ბარმა და ღამის კლუბმა შეიცვალა სახელი და მონა ლიზა დაირქვა; ერთმა შოუც კი დადგა - "მონა ლიზას ნუდისტური რევიუ". იაპონელმა გოგონებმა დეკოლტიანი მუქი კაბების ტარება და თმების შუაზე გაყოფა დაიწყეს. ზოგიერთმა, ლიზას რომ დამსგავსებოდა, პლასტიკური ოპერაციც კი გაიკეთა.

გამოხედვა, რომელიც ასეთი გიჟური ქცევის საფუძველია, მომაჯადოებელი, ტუჩმოკუმული ღიმილით არის გამოწვეული; ამ ღიმილმა უამრავ საფუძვლიან ინტერპრეტაციას, სერიოზულ ახსნას, უაზრო ანალიზს დაუდო დასაბამი.

მონა ლიზა საუკუნეების განმავლობაში რჩება მხატვრობის ევერესტად და უთვალავი მხატვრის უმაღლეს მიზნად. XIX საუკუნეში ფრანგმა მხატვარმა, ლუ მასპერომ სიცოცხლე პარიზის სასტუმროს მეოთხე სართულიდან გადახტომით დაასრულა. სიკვდილის წინ კი, ასეთი ბარათი დატოვა: "წლების განმავლობაში სასოწარკვეთილი ვებრძოდი მის ღიმილს. მე სიკვდილი ვამჯობინე."

ძალიან ბევრს დაუბნელა გონება ამ ღიმილმა. XVI საუკუნის იტალიელი მწერალის განცხადებით, ეს ღიმილი უფრო არაჩვეულებრივი იყო, ვიდრე თვით ადამიანი. რომანისტ ლოურენს დარელის სიტყვებით, "ეს იმ ქალის ღიმილია, რომელმაც სულ ახლახანს შეჭამა ქმარი". ფემინისტი კამილ პალია უფრო შორს წავიდა: "ერთადერთი, რასაც მონა ლიზა ამბობს, ის არის, რომ მამაკაცები არ არიან საჭირონი". როცა 1956 წელს ახალგაზრდა ბოლივიელმა სურათს ქვა ესროლა, სალვადორ დალიმ ასეთი კომენტარი გააკეთა: "ეს არის გაუცნობიერებელი სიყვარული დედის მიმართ, ოიდიპოსის კომპლექსი. ახალგაზრდა კაცი გაოგნდა, როცა მაქსიმალურად იდეალიზირებული საკუთარი დედის პორტრეტი დაინახა. [illegible] მისი ღიმილი."


მონა ლიზა - მუდმივი შთაგონების წყარო


მონა ლიზა, როგორც ის არის

ჩვენს ნახევრად პოპ-ფსიქოლოგიურ ეპოქაში, ამ ღიმილის არსის ფსიქოლოგიურ ახსნას აღარ ცდილობენ. იქნებ მონა ლიზას ასთმა სჭირდა? ან იქნებ სულაც ბედნიერი ორსული მეუღლეა? ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ის პორტრეტზე იმიტომ იღიმება, რომ, როგორც ეს მიღებული იყო XVI საუკუნეში, სიფილისის წინააღმდეგ ვერცხლისწყლით მკურნალობის კურსს იტარებდა. ვერცხლისწყალს კი მისი კბილები უნდა გაეშავებინა. ასე რომ, მას ჰქონდა მიზეზი პირი არ გაეღო. დანიელმა ექიმმა აღმოაჩინა, რომ მოდელს ჩვეულებრივი დამბლა ჰქონდა, რომელმაც ზემოქმედება მოახდინა სახის მარცხენა ნაწილზე. ის თავის თეორიას იმითაც ამაგრებდა, რომ მონა ლიზას ამ ავადმყოფობისათვის დამახასიათებელი დიდი ხელები ჰქონდა. მსგავს დასკვნას აკეთებენ ლიონელი ორთოპედები: მონა ლიზას ღიმილი მისი ნახევრად პარალიზების შედეგია; ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ მისი მარჯვენა ხელი მოდუნებულია, მარცხენა კი - არაბუნებრივად დაძაბული.

მაგრამ, უფრო დამაინტრიგებელი ის კი არ არის, თუ რატომ იღიმება, არამედ ის, თუ ვინ იღიმება. ქალს, რომლის სახელი ლიზაა, პირველად XVI საუკუნის ხელოვნების ისტორიკოსი, ჯორჯო ვაზარი მოიხსენიებს: "ლეონარდომ თითქოს ფრანჩესკო დელ ჯოკონდოსთვის დახატა მისი ცოლის, მონა ლიზას პორტრეტი". ისტორიკოსებისთვის ცნობილია, რომ 16 წლის ფლორენციელი ლიზა ჯერარდინი 1495 წელს ცოლად გაჰყვა 35 წლის, ასევე ფლორენციელ [illegible] პირს ფრანჩესკო დი ბარტოლომეო დი ზანობი დელ ჯოკონდოს, რომელიც უკვე ორგზის ქვრივი იყო. მაგრამ, არავითარი ნიშანი იმისა, რომ დელ ჯოკონდომ შეუკვეთა პორტრეტი ლეონარდოს, არ არსებობს. და, რაც უფრო მნიშვნელოვანია – არ მოიპოვება ცნობა, რომ მას პორტრეტი დელ ჯოკონდოსთვის მართლაც გადაეცა: ლეონარდო პორტრეტს სიკვდილამდე თავისთან ინახავდა, საფრანგეთში. ამ პროექტს არც ლეონარდო მოიხსენიებს თავის ჩანაწერებში.

ერთი სიტყვით, ხელოვნების ისტორიკოსებს საფუძველი მიეცათ, ამოეცნოთ, თუ ვისი პორტრეტი შექმნა მხატვარმა. ისინი მონა ლიზას მეორე პორტრეტის არსებობის აზრსაც უშვებენ. თითქოს, ვინმე ჯულიანო დე მედიჩის ისე მოსწონებია ორიგინალი, რომ თავისთვისაც შეუკვეთია ასლი. მოკლედ, ამ ვერსიის მომხრენი თვლიან, რომ არსებობს ორი პორტრეტი – ერთი ქმრისთვის და მეორე შესაძლო საყვარლისთვის.

მაგრამ, ეს არაფერია თანამედროვე ვერსიებთან შედარებით. კომპიუტერული გრაფიკის კონსულტანტმა ნიუ ჯერსის "ბელის" ლაბორატორიიდან, ლილიან შვარცმა [illegible] თავისი დეტალური გამოკვლევა. მან კომპიუტერის ეკრანზე მონა ლიზასა და ლეონარდოს პორტრეტების შედარება ერთმანეთს. დასკვნა ასეთი იყო: ლეონარდომ ქალის პორტრეტის ხატვა დაიწყო, მოდელად კი საკუთარი სახე აიღო [illegible]. ხოლო ღიმილი, რომელმაც ასე დატანჯა კაცობრიობა, სხვა არაფერია, თუ არა თვით ლეონარდოს ღიმილის სარკული ანარეკლი.

აგრეთვე, ორიგინალური მოსაზრება აქვს ლუვრის XVI საუკუნის ფრანგული და იტალიური ფერწერის განყოფილების კურატორს სესილ სკელიერს. მისი აზრით, საქმე უფრო იდეასთან გვაქვს, ვიდრე რეალურ პორტრეტთან: "ეს არის ნახატის ფორმით გამოხატული ღიმილის იდეა."

ზიგმუნდ ფროიდს საკმაოდ სქელტანიანი ნაშრომი აქვს მიძღვნილი მონა ლიზასადმი, რომელსაც "ლეონარდო და ვინჩი – ფსიქოსექსუალური გამოკვლევა" ჰქვია. ნაშრომის გაცნობის შემდეგ პირველი, რასაც გაიაზრებ ის არის, რომ აღარ გინდა ბავშვებთან ერთად ლუვრი მოინახულო.

XX საუკუნეში ხელოვნებისადმი დამოკიდებულება ძალიან მიწიერი გახდა, ანუ ყველაფერი დავიდა კითხვამდე – რა ღირს? მეფე ფრანცისკ I პირველმა მონა ლიზათი გაამდიდრა საფრანგეთის სამეფო კოლექცია, როცა მასში 4 ათასი ოქროს ეკიუ (105 ათასი დოლარი) გადაიხადა. დღეს, ლუვრის ოფიციალური განცხადებით, მონა ლიზას მონეტარული ღირებულება არ გააჩნია. ამ სიტუაციის გამო მის მოპარვასაც კი არ უნდა ჰქონდეს აზრი.

ხელოვნების ისტორიის ყველაზე დიდი ძარცვა ამ წელს მოხდა, როცა 23 აგვისტოს დილას პარიზელი გაზეთების ფურცლები აჭრელებული იყო მყვირალა სათაურებით: "ლუვრიდან ჯოკონდა გაიტაცეს: როდის? როგორ? ვინ?" ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ორი წელი ცდილობდა საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის საბერძნეთის და იტალიის დეტექტივების არმია. და მაშინ, როცა საზოგადოება შეეგუა მონა ლიზას დაკარგვას, იტალიელი მუშა, ვინჩენცო პერუჯა ფარულფსკერიან ზანდუკში ორიგინალის დამალვით დაიღალა.

პერუჯამ, რომელიც მუზეუმში მუშაობდა, თავისი გამოცდილება ნახატის მოსაპარად გამოიყენა. ამ საქმეზე მას არგენტინელმა ყალბისმქნელმა, ედუარდო დე ვალფიერნ-ომ უბიძგა, რომელმაც შედევრის ექვსი ასლი დაამზადა. ვალფიერნომ ეს ასლები ექვს კოლექციონერს მიჰყიდა. ხუთი ამერიკელი და ერთი ბრაზილიელი დარწმუნებული იყო, რომ მათ ორიგინალი პირდაპირ ლუვრიდან შეიძინეს. ამ ოპერაციამ მას 67 მილიონი დოლარი მოუტანა. ვალფიერნოს თავისი საქმიანობისათვის ორიგინალი არ სჭირდებოდა, მაგრამ პერუჯამ მესამეჯერ ის ერთი ფლორენციელისთვის მიეყიდა, რის გამოც დაიჭირეს. მონა ლიზა საფრანგეთს 1913 წლის 31 დეკემბერს, მილან-პარიზის ექსპრესის სპეციალური საცავით დაუბრუნდა. წარმოუდგენელია, მაგრამ ნახატი სულ ოდნავადაც არ იყო დაზიანებული.

დღეს მონა ლიზა პარადოქსულ მდგომარეობაშია: ის ერთდროულად უმაღლესი ხელოვნების სიმბოლოც არის და კიჩის შთაგონების წყაროც. სარეკლამო სტუდიები ცდილობენ, რაც შეიძლება მახვილგონივრულად გამოიყენონ მისი იმიჯი. მისი საშუალებით, აპერიტივების, თვითმფრინავებისა და გოლფის კლუბების ჩათვლით, ყველაფრის გაყიდვას ცდილობენ. სახელით "მონა ლიზა", 14 ქვეყანაში 61 დასახელების სხვადასხვა პროდუქტს აწარმოებენ.

გინდათ სალვადორ დალის კომერციულობაზე იხუმროთ? ჩაუდგით მონა ლიზას მისი თვალები, მიამაგრეთ აპრეხილი ულვაშები და დააჭერინეთ ხელში ფული. გინდათ შეამსუბუქოთ მძიმე პოლიტიკური ფიგურები, სტალინი იქნება ის, დე გოლი, თუ პრინცი ჩარლზი? მაშინ გააკეთეთ მათი კარიკატურა მონა ლიზას თემაზე. და ბოლოს, ეს პორტრეტი ხომ კომპიუტერული თაობის გრაფიკოსების ფავორიტიც არის.

ფეხბურთი

# ანრი მიშელი "ცალი ფეხით" საქართველოშია

## ფრანგი მწვრთნელი უკვე 90 პროცენტით საქართველოს ნაკრების თავკაცია

აკა ტონია

ზაფხულიდან მოყოლებული საქართველოს ნაკრების მომავალი მწვრთნელის ვინაობა არ სახელდებოდა. კანდიდატებს შორის უამრავი ცნობილი სპეციალისტის გვარმა გაიჟღერა – არიგო საკი, ვისენტე დელ ბოსკე... ბოლოს კი ანრი მიშელის სახელი "ამოტივტივდა". სავარაუდო მწვრთნელთა გვარების დასახელებისაგან ფედერაცია ყოველთვის თავს იკავებდა და, აქედან გამომდინარე, პრესის ინფორმაციებიც ხშირ შემთხვევაში გადაუმოწმებელი იყო.

15 დეკემბერს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრა შედგა. საქართველოს ნაკრების ქვეჯგუფში არც ერთი ისეთი ნაკრები არ მოხვდა, რომლის თამაშების ტრანსლაციებში ტელეკომპანიები მილიონებს გადაიხდიდნენ; შესაბამისად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რეალური შემოსავლის წყარო დაკარგა. პრესაში გაჩნდა ინფორმაციები, თითქოს, ჩვენი ფედერაცია სწორედ ასეთი ძლიერი მეტოქის "იმედზე" იყო. დაიწყო საუბარი იმის შესახებაც, რომ უცხოელი მწვრთნელის მოსაწვევად ფედერაციას საჭირო თანხები არ გააჩნდა. შემდეგ მერაბ ჟორდანია დააპატიმრეს. უცხოელი მწვრთნელის საკითხი კვლავ მომავლისათვის გადაიდო. "ანრი მიშელი დაგვემშვიდობა", - იწერებოდა ერთი გაზეთი, მეორე კი ამტკიცებდა, რომ ფედერაციამ უცხოელი მწვრთნელის საკითხზე ზრუნვას თავი მიანება და რომ ნაკრებში ისევ ქართველი სპეციალისტის დანიშვნას აპირებდნენ.

გასულ კვირას სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე მერაბ ჟორდანიას ციხეში შეხვდნენ და პრეზიდენტისაგან შესაბამისი დირექტივებიც მიიღეს. გულშემატკივართა სასიხარულოდ, ჟორდანიას დაპატიმრება მაღალი დონის სპეციალისტზე უარის თქმის მიზეზი არ აღმოჩნდა – სფფ კვლავინდებურად უცხოელ მწვრთნელს ეპატიჟება. 26 დეკემბერს სფფ-ს აღმასკომის სხდომა გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგ ფედერაციის ხელმძღვანელებმა პირველად გაუმხილეს ჟურნალისტებს, რომ ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ფედერაცია, მართლაც, ანრი მიშელს ეპატიჟება.

სხვადასხვა დროს საფრანგეთის ოლიმპიური ნაკრების (1982-1984), საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების (1989-1990), "პარი სენ ჟერმენის" (1990-1991), კამერუნის ნაკრების (1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე), მაროკოს ნაკრების (1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე), ტუნისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის კარიერაში ყველაზე აღსანიშნავი, ალბათ, ის არის, რომ 1984 წლიდან 1988 წლამდე ის საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მესაჭე გახლდათ. იმედია, თავის კარიერას ის საქართველოს ნაკრებში განაგრძობს.



ანრი მიშელი თბილისში წლის დასაწყისში ჩამოვა

ამის იმედი კი, მგონი, უნდა გვქონდეს. თურქი საფეხბურთო აგენტი ბაირამ თუთუმლუ სამი დღის წინ თბილისში იმყოფებოდა და ორი დღის განმავლობაში ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან, კერძოდ - ლერი სულაბერიძესთან და რეზო არველაძესთან. ჩვენთვის ისიც კი არის ცნობილი, რომ ამ მოლაპარაკებებში თარჯიმნის როლს არჩილ არველაძე ასრულებდა, რომელიც ბრწყინვალედ საუბრობს თურქულ ენაზე.

თუთუმლუსთან მოლაპარაკებებმა წარმატებით ჩაიარა. სფფ იუწყებოდა, რომ იანვრის პირველ რიცხვებში თბილისში თავად ანრი მიშელიც ჩამოვიდოდა და მასთან საბოლოო მოლაპარაკებებიც გაიმართებოდა. გეგმები ოდნავ შეიცვალა. მოლაპარაკებების მეორე რაუნდი პარიზში იმართება, სადაც ამჟამად საქართველოს პროფესიული ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი იმყოფება. უახლოეს დღეებში მას სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ლერი სულაბერიძეც შეუერთდება. ჩვენი ინფორმაციით, დიმიტრი რამიშვილსა და ანრი მიშელს შორის შეხვედრა უკვე შედგა და საკმაოდ კარგადაც ჩაიარა. შედარებით არასასიამოვნო ის ფაქტი გახლავთ, რომ ანრი მიშელი ძალიან დიდ ანაზღაურებას ითხოვს – დაახლოებით, 1,5 მილიონ დოლარს წელიწადში. ნაკრებში მომუშავე მწვრთნელისათვის ეს, მართლაც, არ არის პატარა თანხა. შედარებისათვის: საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელის, სახელგანთქმული ოტო რეჰაგელის ანაზღაურება წელიწადში 800 ათას ევროს შეადგენს. მიუხედავად ამისა, ქართული მხარე ანრი მიშელის პირობების დაკმაყოფილებას აპირებს. უფრო მეტიც: პარიზიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანრი მიშელი 90 პროცენტით უკვე საქართველოს ნაკრების მწვრთნელია. ასევე, ცნობილი გახდა, რომ დიმიტრი რამიშვილი და ლერი სულაბერიძე პარიზიდან მოსკოვის გავლით დაბრუნდებიან თბილისში. მოსკოვში მათი ვიზიტი, ასევე, მწვრთნელის საკითხს შეეხება; არ იფიქროთ, რომ სფფ, პარალელურად, რუს მწვრთნელსაც ეპატიჟება. მოსკოვში ვიზიტი ანრი მიშელის საქართველოს ნაკრებში მუშაობის ანაზღაურებისათვის საჭირო თანხების მოზიდვას ეხება. ყველასათვის ცნობილია, რომ უცხოელი მწვრთნელის მოწვევას სფფ ბიზნესმენების დახმარებით აპირებდა. მერაბ ჟორდანიამ ერთხელ აღნიშნა, რომ ამ საქმეში სფფ-ს რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი, ანზორ კიკალიშვილიც დაეხმარებოდა...

და ბოლოს, სავარაუდოდ, 2 იანვარს ანრი მიშელი ჩამოფრინდება თბილისში, სადაც უკანასკნელი მოლაპარაკებები გაიმართება. შესაძლოა, მიშელი ოჯახის წევრების თანხლებით ეწვიოს საქართველოს და თბილისში საცხოვრებელი ბინაც შეარჩიოს.

# ლუჩანო მოჯი:
# "ტრაპატონი, ჯობს, გაჩუმდეს!"

ნინო პირველი

ამბობენ, - საშობაოდ ყველანი უფრო გულკეთილები და შემწყნარებლები ხდებიანო. ტურინის "იუვენტუსის" მენეჯერს, ლუჩანო მოჯის, რაღაც, არ ეტყობა შობის კეთილისმყოფელი გავლენა. ტურინელი მაგნატი შობის დღეებშიც ისეთივე უკმეხი და პირქუშია, როგორიც ყოველთვის ახსოვს საზოგადოებას. ლუჩანო მოჯისთვის არ არსებობს სიკეთის და სიყვარულის დღესასწაული. მასზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს შობის წმინდა ღამის მადლი. ქრისტიანული შემწყნარებლობა მოჯისთვის საოცრად უცხო ხდება, როცა საქმე ბიზნესს ეხება. მოჯისთვის მხოლოდ ერთი სიწმინდე არსებობს: "იუვენტუსი"; სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია. სწორედ ამას უმტკიცებდა "იუვეს" მენეჯერი იტალიელ ტელემაყურებლებს პაოლო ბონოლისის საკვირაო პროგრამაში "დომენიკა". ბევრს, ალბათ, გაუკვირდა კიდეც მოჯის გამოჩენა ამ გასართობ გადაცემაში, "იუვეს" მენეჯერი ხომ საერთოდ არ არის ის კაცი, ვისაც ტელეეკრანის წინ შეკრებილი აუდიტორიის გართობა შეუძლია. თუმცა, გადაცემის მსვლელობისას ნათელი გახდა, რომ პაოლო ბონოლისმა არც თუ ისე ცუდი არჩევანი გააკეთა. ბოლოს და ბოლოს კრიტიკაც ხომ ძალიან საინტერესო და დამაინტრიგებელია ხოლმე ხანდახან - მით უმტეს, თუ შენიშვნების და საყვედურების ობიექტი ის კაცია, რომელიც ფეხბურთის მოყვარულების დიდი სიყვარულით და პატივისცემით ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს.

"სკუადრა აძურას" უცნაური ხელმძღვანელი ჯოვანი ტრაპატონი რაღაცით იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის წააგავს. არა, გარეგნობა აქ არაფერ შუაშია. ამ მხრივ, ტრაპატონის შეუძლია მშვიდად იყოს - ის და ბერლუსკონი ფიზიკურად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ, ბერლუსკონის მსგავსად, არც "ტრაპი" უყვართ იტალიელებს, მაგრამ ტიფოზების ნება-სურვილს არავინ აქცევს ყურადღებას. ბერლუსკონისა არ იყოს, ტრაპატონისაც ბევრს ლანძღავენ და აკრიტიკებენ, მაგრამ ამით მას ბევრს ვერაფერს აკლებენ. როგორც ბერლუსკონი ზის დღემდე შესაშური სიმტკიცით თავის სავარძელში, ასეთივე სიმყარით გამოირჩევა ტრაპატონის ხის სკამიც. აი, უკვე რა ხანია, რაც "ტრაპი" "სკუადრა აძურას" თავკაცია და, იმის მიუხედავად, რომ მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა ერთხელაც ვერ შეძლო რაიმე ხელშესახები წარმატების მოპოვება, ის მაინც ხელშეუხებელია. მერე რაა, რომ იტალიელ ტიფოზებს სასტიკად აღიზიანებთ მისი უცნაური ექსპერიმენტები და ეს ახირებული კაცი ფეხბურთელთა უმრავლესობასაც გულზე სულ არ ეხატება? ტრაპატონი მაინც თავის ადგილზეა და პორტუგალიაშიც, ევროპის ჩემპიონატზე სწორედ ის ჩაიყვანს იტალიის ნაკრებს. შეძლებს კი "ტრაპი" დინო ძოფის წარმატების გამეორებას და "სკუადრა აძურას" ფინალში გაყვანას? ლუჩანო მოჯის ამაში, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვი ეპარება: "როგორ უნდა ვცე პატივი იმ კაცს, ვინც მხოლოდ ყბედობს და არაფერს აკეთებს? იმის ნაცვალად, რომ ჩუმად იყოს და ევრო-2004-ზე იფიქროს, ლაპარაკით ცდილობს ტიფოზების გაბრუებას. ჩემი რჩევა იქნებოდა, ცოტა უფრო ნაკლები ილაპარაკოს და მეტი საქმე აკეთოს," - ტრაპატონის ენაწყლიანობა აღიზიანებს მოჯის. მრავალთა მსგავსად, არც მას მოსწონს "სკუადრა აძურას" ახლანდელი ხელმძღვანელი; ეს ყველასთვის ცხადია... არ გაინტერესებთ, ვინ იქნებოდა, მოჯის აზრით, იტალიის ნაკრების ღირსეული თავკაცი? - ვინ და, რა თქმა უნდა მარჩელო ლიპი - "იუვენტუსის" გურუ: "მარჩელო ლიპი ნაკრებში? შესანიშნავი იქნებოდა. ჩემი აზრით, ეს ყველას ოცნებაა, თუმცა მას ჯერაც არ უწერია ახდენა, რადგან ლიპი "იუვენტუსში" თავს გადასარევად გრძნობს. როცა "იუვესთან" ერთად ყველა მიზანს მიაღწევს და ყველა იმ ტიტულს მოიგებს, რაც გეგმაში აქვს, მაშინ ვნახოთ," - ამბობს მოჯი.

ტრაპატონის გარდა, "იუვეს" ბოსმა სხვა საკითხების ირგვლივაც იმსჯელა. მაგალითად, უყურადღებოდ არ დატოვა ტრანსფერების საკითხი და უარყო ჭორები დეიან სტანკოვიჩის "ლაციოდან" "იუვეში" გადასვლის შესახებ: " მე არ ვისურვებდი, რომ მას "იუვეში" ეთამაშა. სტანკოვიჩი ის ფეხბურთელია, რომელიც ჯერ ერთ კლუბს აძლევს თანხმობას კონტარქტის გაფორმებაზე, მერე კი უცებ სხვა გუნდში გადადის. სტანკოვიჩის მსგავსი სპორსტმენები თავის ადგილს ვერსად ვერ პოულობენ და სხვებსაც პრობლემებს უქმნიან. რაც შეეხება ედგარ დავიდსს, რომელსაც "იუვეში" ყოფნის ვადა მომავალი წლის ივნისში უთავდება, სანამ ჩემპიონატი არ დამთავრდება, ვერსადაც ვერ წავა, მერე კი ვნახოთ", - აცხადებს მოჯი. "სკუდეტო" - რა თქმა უნდა, "იუვეს" მენეჯერს არც ეს საკითხი დარჩენია ყურადღების მიღმა: " ჯერ კიდევ სეზონის დაწყების წინ ვამბობდი, რომ "რომა" ყველაზე სახიფათო გუნდი იყო. სწორედ ის მოხდა, რისაც მეშინოდა. ახლა "რომა" ექვსი ქულით გვისწრებს, მაგრამ ეს ვერ დაგვაბრკოლებს. მიჩვეული ვართ სიძნელეების გადალახვას,"- მოჯი "იუვეს" შესაძლებლობებში ბოლომდე დარწმუნებულია.



ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ბრაზილიელი ვეტერანი რომარიო, შესაძლოა, ევროპაში დაბრუნდეს. რიო დეჟანეიროს "ფლუმინენსეს" თავდამსხმელის გადაბირებით დაინტერესებულია ესპანეთის პრიმერა-დივიზიონის კლუბის ბარსელონას "ესპანიოლის" პრეზიდენტი სანჩეს ლიბრეა. შეგახსენებთ, რომ 29 იანვარს რომარიოს 38 წელი შეუსრულდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იმ ხმების საპასუხოდ, რომლის მიხედვითაც, ლონდონის "ჩელსიმ," უეინ რუნის სანაცვლოდ, "ევერტონს" 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა, ლივერპულური კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ რუნის გაყიდვაზე თეორიული მსჯელობაც კი შეუძლებელია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის სერ ალექს ფერგიუსონის აზრით, მატჩის არბიტრის იმ გადაწყვეტილებაზე, რომ ახალგაზრდა მცველი ფლეტჩერისთვის მეორე გაფრთხილება მიეცა, ტრიბუნების მკვეთრმა უკმაყოფილებამ იმოქმედა; კლუბი ამის თაობაზე აპელაციის შეტანას აპირებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფაბიენ ბარტეზი ბოლოს და ბოლოს მარსელის "ოლიმპიკის" ღირსებას დაიცავს. ფრანგულმა კლუბმა ვერ მიაღწია ფიფა-სგან იმას, რომ ფეხბურთელისთვის ჯერ კიდევ ნოემბრის შუა რიცხვებში მიეცათ გუნდში თამაშის საშუალება. ახლა კი "ოლიმპიკი" იანვრის სატრანსფერო დერეფნის გახსნის შემდეგ ფეხბურთელს მშვიდად მიიღებს. მარსელური გუნდის პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ თუ ტრანსფერი პირველ იანვარს არ განხორციელდა, ის ორ იანვარს განხორციელდება. საინტერესოა, რომ დეკემბრის ხელფასი ფაბიენმა უკვე მარსელში მიიღო. შეგახსენებთ, რომ "მანჩესტერ იუნაიტედმა" გამოხატა მზადყოფნა, მეკარეს გამოეთხოვოს მას შემდეგ, რაც გუნდში ამერიკელი ტიმ ჰოვარდი მივიდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონას" ფორვარდი პატრიკ კლუივერტი, როგორც ჩანს, ლონდონის "არსენალში" გადავა. ამის ირიბ დასტურად ის ფაქტი გამოდგება, რომ ჰოლანდიელმა ბრიტანეთის დედაქალაქში საცხოვრებლის ძებნა დაიწყო. ზოგმა გამოცემამ უკვე დაადასტურა ინფორმაცია, რომ ფორვარდმა სახლი უკვე მოძებნა. ამასთან კატალონიურ კლუბთან დაახლოებული წყარო იუწყება, რომ ბარსელონაში ეჭვი არავის ეპარება, რომ კლუივერტი სხვა გუნდში გადავა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ხორვატი ფორვარდი დადო პრშო "მონაკოში" დარჩება. ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხორვატი გოლეადორი "მილანთან" კონტრაქტს გააფორმებს. თუმცა, შეთანხმება არ გამოვიდა. პრშომ ამის თაობაზე განაცხადა: "მე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი მინდა ვიყო. ყველაფერი ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე, რომ ჯობს, "მონაკოში" პირველი ვარსკვლავი ვიყო, ვიდრე "მილანში" მეოთხე ფორვარდი".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რობერტო ბაჯომ განაცხადა, რომ მომავალი წელი მის სპორტულ კარიერაში ბოლო იქნება. სახელოვანმა ფეხბურთელმა თქვა, რომ უკვე ფიქრობს იმაზე, თუ რას გააკეთებს საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ. "დასაწყისისთვის მჭირდება, მოედანზე ყოველდღიურ სირბილს შევეშვა," - აღიარა რობერტო ბაჯომ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" ფორვარდმა რაულმა "ბარსელონაში" არსებულ კრიზისზე ისაუბრა. რაულის აზრით, კრიზისის მიზეზი ის არის, რომ კლუბმა ვერაფრით მოძებნა თავისი სტილი. "მათ არ აქვთ ის პეწი, რაც კრუიფის დროს ჰქონდათ, - ამბობს ფორვარდი, - მას შემდეგ "ბარსელონა" მრავალმა ფეხბურთელმა გამოიცვალა. თუმცა, ყველა მათგანი კლუბის დონეს აკმაყოფილებდა. ჩვენი გუნდი მთელი ამ ხნის განმავლობაში სტაბილური იყო. თუ ახალ ფეხბურთელებს ვიმატებდით, ისინი, მართლაც, უდიდესები იყვნენ".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი შეიძლება გაიმართოს ბერლინში - მოედანზე, რომელიც ბრანდენბურგის კარიბჭესთან მდებარეობს. ჩემპიონატის სასტარტო მატჩის გამართვა კი მიუნხენში იგეგმება. თუმცა, გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა განაცხადა, რომ საინტერესო იქნება, თუ ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი, ბავარიის დედაქალაქში კი არა, ტურისტებისთვის უფრო საინტერესო ბერლინის ცენტრში გაიმართება



### ინფოთეკა

**კალათბურთი.** Eurobasket.com-ის რეიტინგის მიხედვით, მოსკოვის ცსკა-სა და თურქეთის ნაკრების ფორვარდი მირსად თურქანი ევროპის წლის საუკეთესო ფორვარდად აღიარეს და ევროპის სიმბოლური ნაკრების პირველ ხუთეულში გაანაწილეს. მეორე ხუთეულში ცსკა-ს კიდევ ერთი კალათბურთელი, შემტევი მცველი მარკუს ბრაუნი შევიდა. რაც შეეხება მწვრთნელთა დავას, აქ პირველობა "ბარსელონას" მწვრთნელმა სვეტისლავ პეშიჩმა მოიპოვა, მეორე ცსკა-ს დამრიგებელი დუშან ივკოვიჩია, მესამე კი - იტალიის "ბენეტონის" მწვრთნელი ეტორე მესინა.

■ ■ ■

**კრივი.** ერაყელი მოკრივეები მონაწილეობას მიიღებენ ათენის 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე. მათთვის ეს უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში პირველი ოლიმპიადა იქნება, რადგან სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში ერაყელი მოკრივეები მხოლოდ რეგიონულ შეჯიბრებებში ასპარეზობდნენ. არაბი სპორტსმენების ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას ამერიკელი მწვრთნელი მორის უოტკინსი კისრულობს.

■ ■ ■

**ხელბურთი.** 75 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთში ხელბურთის თამაში დაიწყეს. ამ თარიღის აღსანიშნავად ერთმანეთს რუსეთისა და მსოფლიოს ნაკრები გუნდები შეხვდნენ. მატჩი ფრედ - 30:30, დამთავრდა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "კოლორადოს" ლიდერი პეტერ ფორსბერგი შემადგენლობაში დაბრუნდა. საზარდულის ტრავმის გამო, ამ სეზონში ჰოკეისტმა ზედიზედ 19 მატჩი გამოტოვა. ფორსბერგმა "ფილადელფიას" წინააღმდეგ მატჩში ითამაშა. ამ შეხვედრაში მას ქულები არ დაუგროვებია.

■ ■ ■

**ჰოკეი.** ფინეთში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. მეორე მატჩი მოიგო აშშ-ის ნაკრებმა. ამერიკელებმა ამჯერად სლოვაკები - 5:0 გაანადგურეს. კანადამ კი - 7:2 დაჯაბნა შვეიცარია. რუსეთის ნაკრებმა მეორე შეხვედრაში - 5:3 მოუგო შვედეთის გუნდს. დღის უკანასკნელ მატჩში კი ტურნირის მასპინძელმა ფინეთმა დაძაბულ შეხვედრაში - 3:2 დაამარცხა ჩეხეთის გუნდი. გამარჯვების მომტანი შაიბა ფინელებმა თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე გაიტანეს.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** კვირას, ძლიერი თოვლიანობის გამო, გადაიდო მსოფლიო თასის ეტაპი ბორმიოში. თუ ამინდი გამოსწორდა, ვარაუდობენ, რომ შეჯიბრება დღეს ჩატარდება.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** ავსტრიის ლიენცში მიმდინარე მსოფლიო თასის ეტაპზე სლალომში წარმატებით იასპარეზა შვედმა მოთხილამურე ანია პერსონმა. მან საუკეთესო შედეგი - 1:48,97 აჩვენა და პირველობაც დაისაკუთრა. მეორე ადგილზე ავსტრიელი ნიკოლ ჰოსპი გავიდა - 1:49,31. მესამე კი გერმანელი მონიკა ბერგმან-შმუდერერი იყო.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** ესპანეთის საინფორმაციო სააგენტო "ეფემ" ლათინურ ამერიკაში 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენებად მძლეოსნები: მექსიკელი ანა გევარა და დომინიკელთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ფელიქს სანჩესი აღიარა. ანა გევარა - მსოფლიო ჩემპიონი და პანამერიკული თამაშების გამარჯვებულია. მან წელს 400 მეტრზე გარბენში პარიზის მსოფლიო პირველობა მოიგო. ამასთან, ბოლო ორი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ედმონტონში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიგო, მეტოქეთათვის პირველობა აღარ დაუთმია და ფინიშთან პირველი ზედიზედ 28-ჯერ მივიდა. რაც შეეხება ფელიქს სანჩესს, ასევე, მსოფლიო ჩემპიონსა და პანამერიკული თამაშების გამარჯვებულს (ოღონდ 400 მეტრზე წინაღობებით სირბილში), მისი გამარჯვებათა სერია 2001 წლის ივლისიდან იღებს სათავეს. ამ პერიოდში მან 33 გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის - უკანასკნელი 23 სექტემბერს იოკოჰამაში.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** სახელგანთქმული მძლეოსანი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი 1500 მეტრ დისტანციაზე სირბილში, ჰიშამ ელ-გერუში მერვედ დაასახელეს მაროკოს წლის საუკეთესო სპორტსმენად. ელ-გერუში ადგილობრივი მასმედიის წარმომადგენელთა გამოკითხვის მიხედვით, საუკეთესო 1997 წლიდან ხდებოდა. მეორე ადგილი წლის შედეგების მიხედვით, მარათონულ სირბილში მსოფლიო ჩემპიონ ჟაუად ჰარიბს ერგო, მესამე კი - ცნობილ ჩოგბურთელ იუნეს ელ-აინაუის, რომელიც წელს პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში მე-13 ადგილზე მოექცა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** იტალიურმა გუნდმა "ფერარიმ" 2004 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო მორიგი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა. ბი-ბი-სი-სთვის მიცემულ ინტერვიუში "სკუდერიის" ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა განაცხადა, რომ 2005 წელს "მაკლარენში" კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოიას გადასვლის პერსპექტივა სერიოზულად იმოქმედებს "უილიამსში" მრბოლელის განწყობილებაზე, სადაც მან მომავალი სეზონი უნდა გაატაროს. ამიტომ, ბრაუნის ვარაუდით, კოლუმბიელი მომავალ სეზონში "ფერარის" პილოტებს ღირსეულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. "ეს მონტოიასთვის რთული წელი იქნება. ყველამ იცის, რომ ის გუნდიდან მიდის, ამიტომ რალფ შუმახერს დაეყრდნობიან და მათ შორის პაექრობა "უილიამსს" საშუალებას არ მისცემს, სხვა გუნდებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს," - ამბობს ბრაუნი.

### კალათბურთი

# ჯეფ ბზდელიკი: ცქიტიშვილი პროფესიონალი კალათბურთელია...

სანდრო ნავერიანი



ცქიტიშვილს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ

იმ დროს, როდესაც რუსთავი2-ის ოფისს "მუხას" ესროდნენ, ოკეანის გადაღმა, აშშ-ში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი სათამაშო დღე მიმდინარეობდა და რამოდენიმე საინტერესო მატჩიც ჩატარდა. როგორც ყოველთვის, ჩვენებურებით დავიწყოთ.

ნიკოლოზ ცქიტიშვილის "დენვერ ნაგეთსმა" საკუთარ "პეფსი ცენტრში" "გოლდენ სთეით უორიორზი" მიიღო. მატჩი ნაკლებად დაძაბული იყო, რადგანაც დენვერელმა კალათბურთელებმა ყველა ასპექტში დაჯაბნეს მეტოქე. ჩვენებურმა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა ცხრა წუთი დაჰყო მოედანზე და შვიდი ქულით შეეწია საკუთარ გუნდს; ასევე, ორი ბლოქშოტი, სამი მოხსნა, ერთი შედეგიანი გადაცემა და ერთიც ჩაჭრა გააკეთა. ყველაზე შედეგიანი დენვერელთა შემადგენლობაში მარკუს კემბი იყო, რომელმაც გუნდს 17 ქულა მოუტანა. ათ-ათი ქულა გააკეთეს ვოშონ ლენარდმა, კარმელო ენტონიმ და ანდრე მილერმა. პატარა ერლ ბოიკინსმა 13 შედეგიანი გადაცემა და 13 ქულა გააკეთა. როდნი უაიტმა და ნენე ჰილარიომ, შესაბამისად, 12 და 11 ქულა შესძინეს საკუთარ გუნდს. დაცვაში კი ყველაზე კარგად კრის ანდერსენი გამოიყურებოდა - 11 მოხსნა და სამი ბლოქშოტი გააკეთა. ოქროს შტატელმა მებრძოლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მატჩი სასურველი შედეგით დაესრულებინათ, მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელ "უორიორზის" ერთადერთი სიკეთე სპორტული ეკიპირებაა, რომელიც, ალბათ, ყველაზე ლამაზია მთელს ლიგაში. მებრძოლებმა იბრძოლეს, მაგრამ წააგეს. მათ შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი ჯეისონ როჩარდსონი იყო, რომელმაც 14 ქულის მეტი ვერ მოაგროვა. ნიკ ვან ექსელმა, ტროი მერფიმ და კლიფორდ რობინსონმა, შესაბამისად, 12, 11 და 10 ქულა მოუტანეს გუნდს. ვერაფრით გამოიჩინეს თავი ერკ დამპიემ და მაიკ დანლივიმ - მათ 9 და 6 ქულის გაკეთება შეძლეს. მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე კალათბურთელებმა და მწვრთნელებმა მოკლე კომენტარები გააკეთეს:

**ერლ ბოიკინსი:** "პირველი მეოთხედის შემდეგ ჩვენ შევძელით და, როგორი თამაშიც გვაწყობდა, ზუსტად ისეთი შევთავაზეთ მეტოქეს. ბიჭები ბევრს დარბოდნენ და ამას არ შეიძლებოდა შედეგი არ გამოეღო".

**ჯეფ ბზდელიკი:** "სათადარიგოთა სკამზე ისეთი კალათბურთელები მყავს, რომ ზოგჯერ უხერხულად ვგრძნობ თავს, როდესაც სასტარტო ხუთეულს ვაცხადებ. როდნი უაიტი, კრის ანდერსენი, ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ფრანსისკო ელსონი ის კალათბურთელები არიან, რომელთაც მხოლოდ სათამაშო პრაქტიკა სჭირდებათ, თორემ დანარჩენ საკითხებში უკვე პროფესიონალები არიან. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ერლ ბოიკინსს, რომელმაც ძალიან ბევრი სამუშაო გაწია დღევანდელ მატჩში".

**ჯეისონ რიჩარდსონი:** "ჩვენ დღეს არ გაგვაჩნდა იმის ენერგია, რომ დენვერთან შეხვედრაში გამარჯვება მოგვეპოვებინა. ისინი ჩვენზე უკეთ გამოიყურებოდნენ და დამსახურებულადაც მოიგეს. ამ წუთისათვის ამის მეტს ვერაფერს გეტყვით".

"განდ არენა" "კლივლენდ კავალიერსის" კალათბურთის სასახლეა, რომელშიც გუშინ გამთენიისას ადგილობრივმა კავალერებმა და "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა" ითამაშა. სტეფანიას გუნდმა სეზონი კარგი სტარტით დაიწყო, მაგრამ ზამთრის თამაშებში თავი ვერაფრით გამოიჩინა. კონკრეტულ მატჩშიც ვერაფერი ხეირიანის გაკეთება ვერ შეძლეს პორტლენდელმა კალათბურთელებმა. მათ შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი ზაკ რენდოლფი და რაშიდ უოლასი იყვნენ, მათ, შესაბამისად, 20 და 17 ქულა გააკეთეს. მასპინძლები - კლივლენდელი კავალერები მთელი მატჩის განმავლობაში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც თევზი - წყალში. ლებრონ ჯეიმსი ნელ-ნელა ამართლებს კლივლენდური გუნდის ხელმძღვანელობის იმედებს და თამაშიდან თამაშამდე სულ უკეთ თამაშობს - მოცემულ შეხვედრაში მან 32 ქულა, ათი მოხსნა და ცხრა შედეგიანი გადაცემა გააკეთა. კარლოს ბუზერმა და დარიუს მაილსმა კი ათ-ათი ქულა მოუტანეს საკუთარ გუნდს.

კალათბურთის სამყაროსათვის დღევანდელი "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" უდავოდ უძლიერესი გუნდია და ამიტომაც ყოველთვის ყველაზე მეტი ყურადღება სწორედ ამ გუნდს ეთმობა. გუშინ "სტეპლეს ცენტრში" ადგილობრივმა "ლეიკერსმა" უდიდესი ტრადიციების და ისტორიის მქონე "ბოსტონ სელტიქსი" მიიღო. ტრადიციები ტრადიციებად რჩება, ისტორიას არავინ ივიწყებს, ეს ყოველთვის იქნება, მაგრამ თუ არაფერი შექმენი, ისტორიაში ჩასაწერიც აღარ იქნები - ბოსტონური კლუბი კი ადრინდელი "სელტიქსის" მხოლოდ აჩრდილიღაა. "ლეიკერსი" მოედანზე იმას აკეთებდა, რაც უნდოდა. კალიფორნიელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი შაკილ ო`ნილი იყო, რომელმა 22 ქულა, 16 მოხსნა და ორი ბლოქშოტი გააკეთა. დივეინ ჯორჯმა, გერი პეიტონმა, კობი ბრაიანტმა და სტანისლავ მედვედენკომ, შესაბამისად, 14, 13, 11 და 10 ქულა გააკეთეს. ბოსტონელთა რიგებში კი ყველაზე შედეგიანი იყო პოლ პირსი - 24 ქულით. ვინ ბეიკერმა და რიკი დევისმა 13 და 10 ქულა გააკეთეს, ხოლო მარკუს ბენქსმა კრის მიიმ ათ-ათი ქულა მოუტანეს საკუთარ გუნდს. მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა სადაც კალათბურთელებმა და მწვრთნელებმა თავიანთი აზრები გამოთქვეს:

**ფილ ჯექსონი:** "შაკი დღეს ნამდვილი ფოკუსი იყო - ასეთი სწრაფი და მოხერხებული ის არასოდეს მინახავს. ჩვენ ასეთი ბალანსი, კარგა ხანია, არ გვქონია. ამ თამაშის მოგებით ბევრი რამ დავინახე ისეთი, რაც აუცილებლად გასაკეთებელია და რის შედეგადაც ზოგჯერ ვმარცხდებოდით. სიტყვას გაძლევთ, რომ იმ სისუსტეებს, რომელიც "ლეიკერსს" აქვს აუცილებლად დავძლევთ".

**შაკილ ო`ნილი:** "ჩვენ ცოტათი სწრაფები ვიყავით, ვიდრე ჩვენი მეტოქე. დაცვის ხაზის აქტიურმა თამაშმა დიდად განაპირობა ჩვენი გამარჯვება. ჩვენ არ ვაპირებთ, ვიყოთ მეორეები, ჩვენ პირველები და ბრწყინვალეები უნდა ვიყოთ. ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა მხოლოდ ჩვენ გვაქვს".

**ჯიმ ო`ბრაინი:** "რამოდენიმე დღის წინ NBA-ს ტელეარხზე საუბარი იყო იმაზე, თუ რატომ დაეწყო "ლოს-ანჯელეს ლეიკერსს" სათამაშო კრიზისი. დღევანდელი მატჩის შემდეგ მე გამახსენეს ეს სიტყვები და, ეს რომ მოვისმინე, სიცილით მოვკვდი. კალიფორნიელებს თუ ჩავარდნა აქვთ, მაშინ დანარჩენ გუნდებს საერთოდ არ ცოდნიათ კალათბურთის თამაში და მოედანზე მხოლოდ პარკეტის გასაპრიალებლად გამოდიან! "ლეიკერსი" დღევანდელ დღეს მსოფლიოს საუკეთესო საკალათბურთო კლუბია, და არა მარტო კლუბი - ის მსოფლიოს ნაკრებია".

ვინ იქნება 2003 წლის ბოლოს საუკეთესო გუნდი, ამას, სულ რაღაც, ორ დღეში ვნახავთ.

### მოკლედ

# ბექჰემმა საჩუქრებს 3 მილიონი შეალია



დევიდ ბექჰემი გულუხვი ადამიანია

მადრიდის "რეალისა" და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა თავისი მეუღლის ვიქტორიას საშობაო საჩუქრებს სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი შეალია. ბექჰემის საჩუქრების სიაში აღმოჩნდა - მილიონ გირვანქად შეფასებული 15-მეტრიანი იახტა, 140 ათას გირვანქად ღირებული მანქანა - ბენტლი (როგორც საჩუქარი შვილების - ბრუკლინისა და რომეოსგან). საჩუქრების გვირგვინი კი გახდა ბრილიანტის ბეჭედი, რომლის ფასი 1,5 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

სარწმუნო წყაროები იუწყებიან, რომ ბექჰემის გულუხვი საჩუქარი ვიქტორიასთან ურთიერთობის გამყარებას ემსახურება; ბოლო დროს ხომ მათი დაშლის საფრთხე გაჩნდა.

რაც შეეხება ვიქტორიას, ის საახალწლოდ მეუღლისთვის ეროტიკული საჩუქრის გაკეთებას აპირებს. მისი თქმით, ის საჩუქრების ყუთში თავად ჩაჯდება და დევიდს 12 საათზე აბსოლუტურად შიშველი გამოეცხადება. ვიქტორიას ფანტაზიით, მხოლოდ ეს მიანიჭებს საჩუქარს ნამდვილი სიურპრიზის იერს. "დევიდს ყველაფერი აქვს, ამიტომ მისთვის საჩუქრის შერჩევა უზარმაზარი პრობლემაა, - ამბობს ვიქტორია ადამსი, - ალბათ, საჩუქრის ყუთში შეძრომა და იქიდან შიშველი გამოსვლა მომიწევს". ბექჰემის ცოლმა ისიც აღიარა, რომ მეუღლესთან ერთად შობა-ახალწლის დღესასწაულს პირველად შეხვდება.

# რუსებმა მანჩესტერიც მოინდომეს

ინგლისში მეხივით გავარდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ნავთობკომპანია "ლუკოილის" დამფუძნებელი რალიფ საფინი ინგლისის ჩემპიონი გუნდის "მანჩესტერ იუნაიტედის" შეძენას აპირებს.

ბრიტანული გამოცემა "სეილი ტელეგრაფის" ინფორმაციით, რამდენიმე თვის წინათ საფინმა უკვე გამართა მოლაპარაკებები ლონდონელ ბანკირებთან, ვინც "მანჩესტერ იუნაიტედის" აქციების ერთ ნაწილს ფლობს. თუმცა, როგორც ითქვა, მოლაპარაკებების გაგრძელება რუსეთში საპარლამენტო არჩევნებზე იყო დამოკიდებული.

ახლა კი, როცა საპარლამენტო არჩევნებში ხმების უმრავლესობით "ერთიანმა რუსეთმა" გაიმარჯვა და ამით რუსეთში პრეზიდენტ პუტინის ხელი უფრო გააძლიერა, ადვილი შესაძლებელია, რომ რუსი ბიზნესმენის მიერ ინგლისის ჩემპიონის შესყიდვის საკითხი დღის წესრიგიდან თავისთავად მოიხსნას. ინკოგნიტო წყარომ "დეილი ტელეგრაფთან" საუბარში აღნიშნა, რომ რუსი ბიზნესმენის ინტერესი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საგრძნობლად განელდა, რადგან "ამ სიტუაციაში რუსეთში სიმდიდრის ჩვენება მართალი არ იქნება".

"საფინი უაღრესად დაინტერესებული იყო "მანჩესტერ იუნაიტედის" შეძენით, მაგრამ ამჟამად რუსეთში ძალიან არაპოპულარულია და გაღიზიანებას იწვევს სიმდიდრის წარმოჩენა. როგორც ჩანს, საფინმა შეთანხმება რაღაც დროით გადადო," - განაცხადა ამ საკითხის მცოდნე ერთ-ერთმა ბანკირმა.

ჟურნალ "ობსერვერის" მიერ ადრე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ინგლისის პრემიერლიგის ფლაგმანის შესაძენი სავარაუდო თანხა 600-დან 700 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე მერყეობს. აღსანიშნავია, რომ, როცა რომან აბრამოვიჩმა ლონდონის "ჩელსი" შეიძინა, ინგლისელებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ინგლისურ ფეხბურთს რუსები შემოესივნენ, მაგრამ თემა შემოდგომაზე მიწყნარდა, რადგან აბრამოვიჩის მაგალითს რუსეთიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია.

ამდენად, ამ ეტაპზე ინგლისელებს, საფინი კი არა, უფრო ამერიკელი მალკოლმ გლეიზერი აღელვებთ, რომელიც ამჟამად "მანჩესტერ იუნაიტედის" აქციათა სულ უფრო მეტ რაოდენობას იძენს.

შეგახსენებთ, რომ რალიფ საფინი, რომელიც ცნობილი მომღერლის ალსუს მამაა, დეკემბრის დასაწყისში ცდილობდა, ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტი გამხდარიყო, მაგრამ ის ბრძოლას პირველი ტურის შემდეგ გამოეთიშა.

### ველოსპორტი

# საინფორმაციო გიგანტები ირჩევენ...

გიგა გურასაშვილი

ნებისმიერი საინფორმაციო სააგენტო, გნებავთ, გაზეთი თუ ჟურნალი საკუთარ რჩეულს გამოკითხვების მეშვეობით ავლენს. რამდენიმე საათში 2004 წელი შემოაბიჯებს. როგორი იყო 2003 წელი; ვინ რა შეძლო, რას მიაღწია - პასუხს ამ კითხვებზე საინფორმაციო გიგანტი "ასოშეიტედ პრესი" გვთავაზობს. პასუხები ყოველკვირეულ ფრანგულ ჟურნალ L'Equipe-საც აქვს. მთავარი კითხვა კი მაინც ისაა, თუ ვინაა ღირსეულთა შორის პირველი. ერთი სიტყვით, მივყვეთ თანმიმდევრობით. ცოტა ხნის წინათ "ასოშეიტედ პრესმა" საკუთარ თანამშრომლებს - სპორტულ ჟურნალისტებს, საუკეთესოთა გამოვლენა დაავალა, - შედეგები კვირისთვის საყოველთაო უნდა გახდესო. მათაც სამეულის სია ჩამოწერეს. ბუნებრივია, საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ქულების მაქსიმუმი იყო დასაგროვებელი. ქულები შემდეგნაირად დაითვალეს: პირველ ადგილზე დასახელებული სპორტსმენი 3 ქულას იღებდა, მეორე და მესამე ადგილებზე მოხვედრილნი კი, შესაბამისად, 2-1 ქულას; სია შედგა, ჯამი კალკულატორით გამოიყვანეს და პირველიც გამოვლინდა - "ასოშეიტედ პრესის" ვერსიით, 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენის წოდება ამერიკელ ველომრბოლ ლენს არმსტრონგს ერგო! კანონზომიერი იყო თუ არა არმსტრონგის პირველობა? – ალბათ, მცირედი ექსკურსი შეგვეშველება. ამერიკელმა ველომრბოლმა წელს ზედიზედ მეხუთედ დაიპყრო ყველაზე მომქანცველი, ყველაზე მარათონული რბოლა "ტურ დე ფრანსი". მაგრამ, საქმე მარტო ეს არაა. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ამერიკელი ველომრბოლი უკურნებელი სენით – კიბოთია დაავადებული. მიუხედავად ამისა, 31 წლის არმსტრონგმა ყველას დაანახა, რომ ცხოვრება გრძელდება და რომ საჭიროა ბრძოლა. ამერიკელ ველომრბოლს არაერთხელ განუცხადებია, რომ მისთვის მთავარი არაა ისტორიაში შესვლა, მაგრამ ველოსპორტის ისტორიაში მან უკვე ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაიკავა.



უპრესტიჟულეს ასპარეზობაში ზედიზედ მეხუთე გამარჯვებით არმსტრონგი "ტურ დე ფრანსის" ისტორიაში შევიდა, როგორც მეორე მრბოლელი, რომელიც ზედიზედ ხუთჯერ დაუეფლა უმთავრეს ჯილდოს; ამასთან, ის მეხუთე მრბოლელია, რომელსაც ამდენივეჯერ ერგო ტრიუმფატორის დაფნის გვირგვინი. აღსანიშნავია ისიც, რომ 2003 წელს "ტურ დე ფრანსის" ასწლოვანი იუბილე აღინიშნებოდა. ასე რომ, ამერიკელი ველომრბოლი ერთგვარად იუბილარიცაა, რომელსაც პირველობა 26-მა გამოკითხულმა მიაკუთვნა და, შესაბამისად, 174 ქულა დააგროვა. დაწინაურებულ არმსტრონგს 115 ქულით ჩამორჩება მეორე ადგილზე გასული ბეისბოლისტი, სან ფრანცისკო "ჯაიანტის" მოთამაშე ბერი ბონდი. ბონდს პირველობა ათმა ჟურნალისტმა არგუნა.

"რთული, დაძაბული წელი მქონდა. ასეთივე ძნელი იყო ტურიც, - აცხადებს არმსტრონგი, – პროფესიული თვალსაზრისით, მიმდინარე წელი ისეთივე წარმატებული იყო, როგორიც წინამორბედები".

სხვათა შორის, ფრანგული ყოველკვირეული L'Equipe-ის ანალოგიურ გამოკითხვაში ლენს არმსტრონგი მეორე პოზიციაზე მოხვდა....

რაც შეეხება მესამე პოზიციას, ეს ადგილი დაიკავა კალათბურთელმა - "სან ანტონიო სფურსის" მოთამაშე ტიმ დანკანმა, რომელსაც უპირატესობა ხუთმა გამოკითხულმა მიანიჭა - მთლიანობაში 47 ქულა მოაგროვა.

იმავე გამოკითხვაში გამოვლინდა 2003 წლის საუკეთესო ქალი სპორტსმენიც. ქალთა შორის პირველობა გოლფის დიდოსტატს შვედ ანიკა სორენსტამს ერგო. შვედი ყვანჯნოსანის მიღწევებზე რომ არაფერი ვთქვათ, სკანდინაველი ქალბატონის აღნიშვნა იმადაც ღირს, რომ მან პირველმა გაბედა ვაჟებთან გაჯიბრება - კონსერვატიული ტრადიციებით განთქმულ საგოლფო სამყაროს 58-წლიან ისტორიაში სორენსტამი გახდა პირველი ქალი, რომელმაც საკუთარი ძალები ვაჟთა საგოლფო ტურნირ Colonial-ში მოსინჯა. მართალია, შვედის დებიუტი წარუმატებელი გამოდგა, მაგრამ აღნიშვნად ღირს.

ახლა კი ყოველკვირეულ L'Equipe-ს დავუბრუნდეთ. ფრანგული გამოცემის ვერსიით, წლის სპორტსმენად აღიარებულია ფორმულა 1-ის "ფერარის" გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი, რომელმაც წელს მეექვსედ იზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა. გამოკითხვის შედეგად გერმანელმა მრბოლმა 496 ქულა მიიღო. მეორე პოზიციაზე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 267 ქულით ამერიკელი ველომრბოლია. "ცარად" წოდებულმა რუსმა მოცურავემ, ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ალექსანდრ პოპოვმა სამეულის ნუსხა დაასრულა. რუსი მოცურავის სამეულში მოხვედრის უმთავრესი მიზეზი ბარსელონას მსოფლიო ჩემპიონატზე სხვადასხვა მანძილზე დაუფლებული სამი ოქროს მედალია, რომელმაც მას L'Equipe-ის გამოკითხვაში 261 ქულა მოუტანა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ფრანგულმა გამოცემამ მეოთხე ადგილი მიაკუთვნა ინგლისელ მორაგბეს, მსოფლიო თასის მფლობელს, ჯონი უილკინსონს (236 ქულა). ბოლო მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა "არსენალის" ფრანგი ლეგიონერი ტიერი ანრი (99 ქულა).

ერთადერთი ქალი, რომელიც L'Equipe-ის საუკეთესო ათეულში მოხვდა, ბელგიელი ჩოგბურთელი ჟუსტინ ენენ-არდენია (91 ქულა). ბელგიელმა ჩოგბურთელმა ფრანგული გამოცემის რეიტინგში მეექვსე ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციის ვერსიით, ენენ-არდენი 2003 წლის საუკეთესო ჩოგბურთელადაც აღიარეს.

### TV-სპორტი

**სამშაბათი. 30 დეკემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
07:30 NBA TV – NBA შიგნიდან
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები" წელი 2002. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. LOS ANGELES LAKERS - SACRAMENTO KINGS. მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩვენები ჩემპიონთა ლიგაში. 1998-1999 წლების სეზონი. "სპარტაკი" – "რეალი"
15:00 ყველა დროის მატჩები. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ინგლისი – გერმანია
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:10 "დარტყმა გოლისთვის"
18:25 ჩვენები ჩემპიონთა ლიგაში. 1998-1999 წლების სეზონი. "სპარტაკი" – "ინტერი"
20:10 "ევროფანკლუბი". ლივერპული
20:40 "ცხრიანი"
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 თავისუფალი დარტყმა
21:15 ყველა დროის მატჩები. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ბრაზილია – იტალია
23:00 ჩემპიონთა ლიგის ფინალები. ფინალი-98. "რეალი" – "იუვენტუსი"
01:00 "ევროფანკლუბი". ლივერპული
01:30 01:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. CLEVELAND CAVALIERS - INDIANA PACERS.პირდაპირი ტრანსლაცია
06:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა

**НТВ+СПОРТ**
11:00, 13:45, 17:10, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. COLORADO AVALANCHE - VANCOUVER CANUCKS
14:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. ტრამპლინი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 "ორშაბათამდე მივატანთ"
16:30 "რკინის ფაქტორი". მის ოლიმპია 2003
17:25 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. რბოლა 15 კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი ფინეთში. ნაწილი მეორე
19:00 საბილიარდო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი პულში. ინგლისი. დღე მე-7. შესვენებისას (20:00) პრესცენტრი
21:00 დედოფალი მთელი ბრწყინვალებით. წელი 2003
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 "ბილიარდის მეუფენი"
23:30 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. COLORADO AVALANCHE - VANCOUVER CANUCKS
01:30 ახალი ამბები
01:45 "ყინული და ქვა". გადაცემა კერლინგზე

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი
12:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
13:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი გერმანიაში
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
17:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი გერმანიაში
18:15 ფეხბურთი. უეფა-ს ჩემპიონთა ლიგა
19:15 ფეხბურთი. უეფა-ს ჩემპიონთა ლიგა
20:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი გერმანიაში
21:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი გერმანიაში
22:00 მულტისპორტი
23:00 ფიგურული სრიალი. შეჯიბრება გერმანიაში
01:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
03:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები 2003
04:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი

# ლოქო მაინც სულ სხვაა

როლანდ მალანია

ივნისი იყო. ჩავალაგე ჩემი სათევზაო მოწყობილობა და სენაკისაკენ გავწიე. ზესტაფონთან გულმა რეჩხი მიყო. თეატრის წინ მდგარი "დაჭრილი არწივი" ირინეს ბაღში ჩაეტანათ, კინოთეატრი გაეპარტახებინათ და ფეროს გამონაბოლქვის ნასახიც კი არ ჩანდა ცაზე. გალეულ და გასაცოდავებულ ჩოლაბაურს კვლავაც ამაყად ადგა "ყირამალა", აზრაგივით ჩასაფრებული "ჭიშურა" ფართო თვალებით ზვერავდა საკბილოს გამვლელთა შორის, კვლავაც გაუდიოდა რუზრუზი გოგისვანიძეების დუქანს და მამუნათებდა - არც ისე ცუდადაა საქმე ქვეყანაშიო.

აბაშის კამკამა წყალმა მეორედ უყო რეჩხი გულს, ოღონდ ნაზად, თბილი ხელის შევლებას ჰგავდა უფრო. წარსულში გადამისროლა და ბიჭობისას ნათქვამი გამახსენა:

იმერეთო და ეგრისო,
ნამყოვ ჩემო და მერმისო,
გული დარდით არ ამივსოთ,
უთქვენობა არ მაღირსოთ.

ცოტაც და ჰორიზონტზე ტეხურის ხიდის კამარა გამოჩნდა, მდინარისათვის კოლხეთს ლაგამი ამოედო, დაეწყნარებინა და ისიც დანებებოდა, უშფოთველი გამხდარიყო. ხიდის ბურჯებთან თუ შეახსენდებოდა ოდნავ ნოქალაქევის ვიწროების შემდეგ წართმეული მშფოთვარე ბუნება თითქოს ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა, რა გველეშაპი ელოდა ჩასაყლაპად "ევქისონის პონტოს" სახით.

როგორც იქნა, ჭიშკარს მივადექი. ბიძაჩემი ივლიანე გამომეგება. ჩავეხუტე და მამაჩემის სურნელი შევიგრძენი, ყველა ნერვი მითრთოდა და მშობლიურობის ეს განუზომელი სითბო ჩემში ზღვასავით გადმოედინებოდა. წამში ნათესავების ალყაში მოვექეცი - ბიცოლა, ბიძაშვილი, რძალი, ბიძაშვილის ახტაჯანა გოგონები და სულ მალე ისეთი გნიასი ატყდა, სიტყვას არ ვაცდიდით ერთმანეთს. ბიძაჩემმა თვალის კუთხიდან კურცხალი მოიშორა, "შეგირცხვა ნამუსი, ასე დაკარგვა შეიძლება ბიჭოო" მითხრა და სამზადისკენ გაემართა მოზღვავებული გრძნობების გასაფანტად.

ეზო დავიარე. მანდარინებს ტანი აეყარათ, დასრულებულიყვნენ. ტალავერზე ალადასტური გადარეულიყო. დალოცვილი ისე იყო დაძანძული, ადგილ-ადგილ ლერწიც ჩამოზნექოდა. ეზოს გარშემო თეთრი ნარგიზები ყელყელაობდნენ. ჭიშკრის კუთხეში მოზრდილ პალმას რაღაც ეგზოტიკური მცენარე უსურვაზივით დახვეოდა და სისხლისფერი გრამაფონის მსგავსი ყვავილებით დაეფარა.

ერთი ორი დღე სალამ-ქალამსა და ნაცნობ-მეგობრების მოსვლა-გასტუმრებას მოვუნდით. მესამე დღეს სრული სიჩუმე შემომეგება გაღვიძებულს. სახლში არავინ ჩანდა. მოვწესრიგდი, ვისაუზმე და აივანზე გავედი. ცოტა ხანში ორი ლაფში ამოგანგლული ახალგაზრდა მოადგა ჭიშკარს. ძლივს ვიცანი ჩემი ბიძაშვილი მამუკა და მისი მეგობარი დათო ცხაკაია. ცხენის წურბელა



მოეთხარათ. ცხადი იყო - ლოქო ჰყავდათ მიზანში ამოღებული.

მთელი დღე ლოქოს ბაგირებისა და ჩანგლების ლესვა-ფხეკას მოვუნდით. ვისადილეთ, ჩავბარგდით და საღამოსათვის ჭალადიდისაკენ გავუტიეთ.

ბებიაჩემი, ეკატერინე გუჯუს ასული დადიანი, წარმოშობით ხაბუმედან ბრძანდებოდა. მისი დედა ოლღა ქოჩაკიძე (გიორგი ჭალადიდელის და) ჭალადიდიდან იყო გამოთხოვილი და სხვა სიკეთესთან ერთად, მზითვში დიდი ტყის მასივიც მოჰყოლია თან. მამაჩემის თქმით, გუჯუ ბატონს ერთხელ წუხილით წამოსცდენია: რა ვიცოდი, ბოლშევიკები ჭალადიდს წამართმევდნენ, მანთაშოვისთვის მიმეყიდა, ათჯერ მაინც გამომიგზავნა "პრიკაზჩიკიო".

მანქანა ნათესავის ეზოში დავტოვეთ. დამბის სიმაღლიდან ულამაზესი სურათი გადაიშალა - ნელა მოტორტმანებდა საქართველოს დედა-მდინარე რიონი, ბადიების უწყვეტ რიგს ხალხი და საქონელი გადაჰყავ-გადმოჰყავდა.

ბექობზე ბიჭებს ლამაზი კარავი აღემართათ და ბაგირებს ეჩალიჩებოდნენ. - წურბელა ჩანგალზე თავ-ბოლო დაზიანებული უნდა წამოაგო, თორემ შლამში ჩაძვრება და თევზი ვერ მიაგნებს, - მაკვალიანებს მამუკა.

ორი სპინინგი გავაწყვე - ყრუ ტვირთით, ორ-ორი №8 ნემსკავით, 0,35-0,35 მმ მთავარი და ჩასაბმელი ძუით, ნემსკავის წვერით წურბელებს თავბოლოები დავუჩილითე, წამოვაგე და ჯებირის ბოლოდან მორევში გადავუძახე. ხუთი წუთი არ გასულიყო, რაღაცამ დაარტყა და ძუა გაიტაცა. სპინინგს ხელი წამოვავლე და თევზის შეჩერებას დაველოდე. როგორც იქნა, დადგა. არ ვაცალე და დამბისკენ წამოვიყვანე. სასტიკად მიძალიანდებოდა. ერთი სული მქონდა, დამენახა, რასთან მქონდა საქმე. დათომ ჩოგანბადით მოირბინა და ჯებირის პირას გაემზადა თევზის ამოსაყვანად. ვცდილობდი, ძუა ჯებირზე გადაწნული მავთულის ბადეს არ გამოდებოდა. თევზი დროდადრო მძლავრი დარტყმებით სიღრმისკენ ჩასვლას ცდილობდა. სპინინგი საშველად მქონდა დაყენებული და ყოველ დარტყმაზე ორი-სამი მეტრი ძუა მიჰქონდა თევზს. როგორც იქნა, ახლოს მოვიყვანე, ჩოგანბადემდე სამი მეტრი თუ იქნებოდა დარჩენილი, როდესაც უშველებელმა ლოქომ ამოყო წყლიდან თავი. კუდი საშინელი ძალით დაახეთქა ზედაპირს და კვლავ სიღრმეში გაეშურა. დათო ჯებირის ქიმთან იდგა და წყლის ხმაურში მამუკას თავგანწირული ღრიალი არ გაუგია - არ ამოუსვა, არ ამოუსვაო, მაგრამ გვიან იყო, ლობო ბადეში ვერ ჩაეტია, თავისუფალი ნემსკავი დათოს ჩოგანბადეს გამოედო და რაკი სიმაგრე იგრძნო, თევზმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, ძუა გაწყვიტა, მუცელზე ამოტრიალდა და მორევში გაუჩინარდა. ამ დროს მამუკაც მოქაქანდა ბარჯით შეიარაღებული, მაგრამ... ვიდექით ნირწამხდრები, ჭარბი ადრენალინისაგან ფერდაკარგულები და ერთმანეთს შევცქეროდით.

ცოტა ხანში ნათესავებმა პურ-მარილი გადმოიტანეს და, ადვილი წარმოსადგენია, რა ტაშფანდურა და დაშტიბუზუ ატყებოდა. ერთი ეს მოვახერხეთ, ლოქოს ბაგირები ჩაგვეყარა. წყლისკენ აღარ გაგვახედეს.

დილით ხვრინვამ გამაღვიძა, ვიღაცას "სახერხი მანქანა" ჩაერთო. კარვიდან გამოვედი. რიონი მოდიდებულიყო. ბაგირებს ძლივს მივაგენით. თოთხმეტივე პირუხლებელი დამხვდა. სახლში ხელცარიელი მისვლა ვერაფერი შვილი იყო. მამუკამ და დათომ უცებ მოიფიქრეს სამოქმედო გეგმა. სწრაფად ავიბარგეთ, დამბა გადმოვიარეთ, ნათესავებს დავემშვიდობეთ და ნოქალაქევისაკენ გავეშურეთ. ჩავუარეთ გვერდი გოჯის ციტადელის გოროზ ქონგურებს, გადავჭერით ტეხური და გეჯეთის ტბორებისკენ ავიღეთ გეზი.

ჩვენი მასპინძელი პატიკო ლატარია აღმოჩნდა. სპორტის დიდი ქომაგი, უბადლო მონადირე და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იხტიოლოგი. ორი უზარმაზარი ტბა მის გამგებლობაში შედიოდა.

მთელი სივრცე ტბებით იყო დაფარული. ერთმანეთს ზიარი ჭურჭლის პრინციპით ავსებდნენ და საბოლოოდ, ჭარბი წყალი კვლავ ტეხურს უერთდებოდა. ბრწყინვალე ჰიდროტექნიკური ნაგებობა გარშემო ქარსაცავი ზოლებით იყო დაცული და საკმაოდ ლამაზ ლანდშაფტს ქმნიდა.

დათო და მამუკა ტივტივით, წითელ ჭიაზე თევზაობდნენ. მე სრიალა ტვირთით, კოპტონის კამათლებით, №4 ნემსკავებით, 0,03 მმ კაპრონის ჩასაბმელით, ორი სპინინგით, ბებრული მეთოდი ვარჩიე. ანკესი არ გადამეგდო, "ჩოგანბადეო", იყვირა დათომ. გვარიანად აწვალა თევზმა. როგორც იქნა, თავისკენ მოაბრუნა. მეც წამოვეხმარე, ჩოგანბადე ამოვუსვი და ბურთივით მრგვალი კობრი წნულში ჩავაბრძანეთ. გავხსენით ანგარიში და გავტეხეთ ნავსი. ჩემს სპინინგებს ბზუილ-ბზუილი გაჰქონდათ. აღარ ვიცოდი, რომლისთვის მიმეხედა. მამუკა მოშორებით იდგა და ისიც რაღაცას ეჯაჯგურებოდა. ცოტა ხანში მოგვიახლოვდა და საკმაოდ მოზრდილი თეთრი ამური მოიტანა. ანკესით სწრაფი და ძლიერი ამურის დაჭერა იშვიათობაა, საინტერესო ფაქტია და უფრო თევზთა ჯიშთაშორისი მკაცრი კონკურენციის მანიშნებლად მივიჩნიეთ.

კარგად ვისიამოვნეთ, ჟინი მოვიკალით, თეთრი ამური და რამდენიმე მოზრდილი კობრი საბარგულში მოვათავსეთ, დანარჩენი ტბას დავუბრუნეთ, ბატონ პატიკოს დავემშვიდობეთ და სახლისკენ გამოვწიეთ. გზად დათო სახლთან ჩამოვსვით. დამშვიდობებისას საჩვენებელი თითი მაღლა აწია და "ლოქო მაინც სულ სხვააო", შემოგვძახა მანქანაში.

სათანადო მომზადების გარეშე მართლაც რთულია ამ სერიოზულ მეტოქესთან შებრძოლება. ახლა უკვე აბსოლუტურ მზადყოფნაში ვარ და თუ ღმერთმაც ინება, შემდგომი ზაფხულის პერიპეტიებს მოუთმენლად ველი. ამ ზამთარს ერთხელ კვლავ ვესტუმრები ჭალადიდს იხვზე სანადიროდ. ახლობლები გრანდიოზულ სანახაობას მპირდებიან.

# გერმანული დრათჰაარი - ორნაირი სტანდარტი?

ალეკო ნუკრაძე

გერმანული დრათჰაარი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მრავალრიცხოვანი ძაღლის ჯიშია საქართველოში. მუშაობის პრაქტიკული სტილი, მრავალმხრივი სანადირო თვისებები, მყარი, გაწონასწორებული ფსიქიკა, ძლიერი აღნაგობა, ამტანობა, მოხერხებული ბალნის საფარველი განაპირობებს დრათჰაარის წარმატებით მუშაობას მრავალფეროვანი ლანდშაფტის მქონე საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, ხოლო რთულ გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში ნადირობისას მისი უპირატესობა სხვა ჯიშის მეძებრებთან უდავოა. სწორედ ამ თვისებების გამო შეიყვარეს დრათჰაარი ქართველმა მონადირეებმაც, რასაც მოწმობს დიდი მოთხოვნილება ამ ჯიშის ლეკვებზე.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში მეძაღლეობა მკაცრად იყო იზოლირებული დასავლეთის კინოლოგიური სამყაროსგან და საკუთარი გზით ვითარდებოდა. მრავალ ევროპულ ჯიშზე შეიქმნა სტანდარტის საკუთარი, ე.წ. საბჭოური, ანუ რუსული ვარიანტი. გამონაკლისი არც დრათჰაარი ყოფილა, რომლის სტანდარტი მიიღეს და დაამტკიცეს 1956 წელს. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მოქმედებს რუსეთსა და საქართველოში. რაც შეეხება დღევანდელ დღეს, ვითარება რადიკალურადაა შეცვლილი, აღარ არსებობს ე.წ. საერთო საბჭოური კინოლოგიური სივრცე. რამდენიმე წლის წინათ დაარსდა საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია (სკფ), რომელიც ახლახან გახდა საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის (FCI) ასოცირებული წევრი და ხელმძღვანელობს ამ ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული საერთაშორისო სტანდარტებით. დიდ ინტერესს წარმოადგენს დრათჰაარის მშობლიური, გერმანული სტანდარტი, რომლის პირველი ვარიანტი შეიქმნა 1902 წელს, ამავე წელს დაარსებული გერმანული დრათჰაარის საზოგადოების მიერ, რომელშიც დროდადრო შეაქვთ ხოლმე მცირე ცვლილებები და დამატებები. დღესდღეობით FCI-ს საერთაშორისო სტანდარტის საფუძვლად აღებულია დრათჰაარის გერმანული სტანდარტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც დამტკიცებულია ზემოთ ნახსენები საზოგადოების საერთო კრების მიერ ქ. ზაქსენჰაუზენში (გერმანია) 1992 წელს. წინამდებარე პუბლიკაციის მიზანს წარმოადგენს ამ უკანასკნელის ფრაგმენტული ანალიზი რუსული სტანდარტის ფონზე, რომლითაც ჯერ კიდევ ხელმძღვანელობს "სანადირო მეძაღლეობისა და ძაღლით ნადირობის მოყვარულთა საზოგადოება" - სანადირო მეძაღლეობის უმსხვილესი კლუბი საქართველოში.

ნებისმიერი სტანდარტი იწყება ჯიშის მოკლე ისტორიული მიმოხილვით. ოფიციალური (გერმანული) ვერსიის თანახმად, დრათჰაარი გამოყვანილია ძველგერმანული უხეშბალნიანი მეძებრისგან, კურცჰარის სისხლის დამატებით. წინა საუკუნის ცნობილი ავტორიტეტები - ესტერი (1793 წ.), ხოლო ასი წლის შემდეგ საბანეევის თანამედროვე ჰეგევალდი დაბეჯითებით მიუთითებდნენ ევროპაში არსებული ყველა უხეშბალნიანი მეძებრის ერთი საერთო წინაპრიდან - პოლონური წყლის ძაღლიდან წარმოშობას (მათ შორის, რა თქმა უნდა, არაა პუდელპოინტერი, რომელიც გენელოგიურად განცალკევებით დგას. ეს ჯიში ჰეგევალდმა გამოიყვანა პოინტერისა და პუდელის შეჯვარების შედეგად). ესტერის აღწერით, პოლონური წყლის მეძებარი იყო საშუალო ტანის, ძლიერი აღნაგობის, ტლანქი ძვლოვანი სისტემით, უხეში ბეწვით მთელ კორპუსზე, დამახასიათებელი წარბებითა და წვერულვაშით და, რაც საინტერესოა, თათებშუა აპკით. პოლონურ წყლის ძაღლს ჰქონდა მყარი, გაწონასწორებული ფსიქიკა, ნელი ძებნა, სიავე ნადირის მიმართ, დაუღალელად მუშაობდა წყალში. ყველა ეს სასარგებლო თვისება მემკვიდრეობით მიიღო მისმა ერთ-ერთმა შთამომავალმა - ძველგერმანულმა უხეშბალნიანმა მეძებარმა, რომელიც, ოფიციალური ვერსიის თანახმად, პოლონეთის მეზობელ გერმანულ ტერიტორიებზე XVI საუკუნეში გამოჩნდა. საინტერესოა ის, რომ საერთაშორისო სტანდარტი არაფერს ამბობს ამ ვერსიის შესახებ, მხოლოდ ზოგადად მოიხსენიებს უხეშბალნიან ჯიშებს, რომელთა კურცჰაართან შეჯვარებით მიღებულია გერმანული დრათჰაარი. განსხვავებული აზრი გააჩნია ლ.პ. საბანეევს. მისი ვერსიის თანახმად, უხეშბალნიანი მეძებრები ევროპაში გავრცელდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან, სადაც, თავის მხრივ, მოხვდნენ ცენტრალური აზიის მთიანეთიდან, ირანისა და მცირე აზიის გადავლით. რაც შეეხება პოლონურ წყლის ძაღლს, იგი ეკუთვნოდა ზემოაღნიშნული ნახევარკუნძულიდან აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე განშტოებას. აგრეთვე არსებობდა მისგან დამოუკიდებელი იტალიური და დასავლეთევროპული, ანუ ფრანგული განშტოებები. საბანეევის მიხედვით, უხეშბალნიანი მეძებრები გერმანიაში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, გვიან, დაახლოებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გახდნენ ცნობილი, წარმოდგებოდნენ ძირითადად ფრანგული უხეშბალნიანი გრაფონებიდან და გავრცელდნენ საფრანგეთთან მოსაზღვრე ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილიდან. მიუხედავად იმისა, რომ ძველგერმანული უხეშბალნიანი მეძებრის წარმოშობის შესახებ უკვე წინა საუკუნეში არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები, თანამედროვე დრათჰაარის შექმნაში კურცჰაარის მონაწილეობა ყველასთვის უდავოა. რამეთუ, თავის დროზე, ეს უკანასკნელი გაუმჯობესებული იყო პოინტერით, კურცჰაარის სისხლის დამატებამ დრათჰაარს შესძინა ტანადობა და კეთილშობილური იერი, გაუუმჯობესა ფუნქციური ექსტერიერი, მოუმატა ყნოსვა და ძებნის სისწრაფე.

გერმანულ სტანდარტში ხაზი აქვს გასმული დრათჰაარის გაწონასწორებულ ხასიათსა და ძლიერ ფსიქიკას, რაც, თავის მხრივ, ასახვას პოულობს ამ ჯიშისთვის დამახასიათებელი მუშაობის სტილში, გააზრებულ მოქმედებებში და შეადგენს გაწვრთნილობაში მიღწეული მაღალი შედეგებისა და მრავალმხრივობის საფუძველს. მიზანდასახულმა და პრაქტიკულმა გერმანელებმა სათანადოდ შეაფასეს ძველი უხეშბალნიანი მეძებრების დადებითი მხარეები, რომლებიც შეინარჩუნეს და განავითარეს თანამედროვე დრათჰაარში. ეს ჯიში კარგად უხამებს მაღალი ყნოსვით ძებნასა და კვალზე მუშაობას, გააჩნია აპორტირებისადმი თანდაყოლილი მიდრეკილება, წყლის სიყვარულისა და თბილი ჩაცმულობის გამო შეუცვლელია წყალმცურავ ფრინველებზე სანადიროდ, ახასიათებს სიავე ნადირის მიმართ, კარგად მუშაობს სისხლიან კვალზე, რაც ფრიად აუცილებელია დაჭრილი ნადირის მისაგნებად, წვრილ მტაცებლებს თვითონ უღებს ბოლოს და მოაქვს პატრონთან, მოკლული ჩლიქოსნის ადგილსამყოფელს მონადირეს აცნობებს ყეფით და ანონსით. დრათჰაარებში არაა იშვიათი კვალზე ყეფით დევნის თვისებაც. თუ რა შედეგის მიღწევა შეიძლება ამ გაწონასწორებული ფსიქიკის მქონე ძაღლებით, მაგალითად გამოდგება ყოფილი გდრ-ის ნაკრების შემადგენლობაში მყოფი დრათჰაარების 1989 წელს ბულგარეთში, ქ. ვარნასთან ჩატარებული სოცქვეყნების კონტინენტურ მეძებრების ყოველწლიურ კონკურსში გამოსვლა. სტაჟირებაზე მყოფი რუსი ექსპერტები მოწმეები გახდნენ იმისა, რომ შუაგულ ტყეში ბრძანებით დაწვენილი ძაღლები პატრონის იქ არყოფნაში და მისი ბრძანების გარეშე ყურადღებას არ აქცევდნენ თოფის სროლას ტყის სიღრმეში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ახლო ჩარბენილ ნადირსაც კი.

რუსეთსა და საქართველოში დრათჰაარს ტრადიციულად იყენებდნენ მხოლოდ ფრინველზე სანადიროდ და ასევე მხოლოდ ფრინველზე ცდიდნენ, რის შედეგადაც ე.წ. საბჭოთა პოპულაციამ ნაწილობრივ დაკარგა სიავე ნადირის მიმართ და სანადირო თვისებების მრავალმხრივობა. უფრო მეტიც, ჭაობისა და მინდვრის ფრინველებზე გამოცდის წესებმა, რომელიც შედგენილი იყო უფრო ბრიტანული ჯიშის მეძებრებისთვის და პრინციპში მორგებული გახლდათ მათი მუშაობის თავისებურებებსა და მანერას, დრათჰაარების სელექცია წლების განმავლობაში წარმართა სწრაფი სვლის, მხოლოდ ზეითად ძებნისა და შორი ყნოსვისკენ. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია კონსტიტუციური ცვლილებები სიმსუბუქისკენ, არცთუ იშვიათად ფიცხი, გაუწონასწორებელი ტემპერამენტი, რასაც სავსებით ლოგიკურად მოჰყვა კომპლექსური სანადირო თვისებებისა და მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობის ნაწილობრივ დაკარგვა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ 80-იანი წლებიდან რუსეთში შეიმჩნევა დრათჰაარის კომპლექსური გამოცდებისკენ დაბრუნების ტენდენცია, რამაც ბოლო წლებში საკმაო მასშტაბებს მიაღწია. შეიძლება, ქართული ნადირობის სპეციფიკა არ მოითხოვს გარეულ ღორზე და ჩლიქოსნის სისხლიან კვალზე დრათჰაარის გამოცდის აუცილებლობას, მაგრამ ჯიშისთვის დამახასიათებელიმ ძირეულ თვისებებს, რომლებიც განაპირობებენ დრათჰაათრის მუშაობის თავისებურებებს და რითაც იგი ასე განსხვავდება ბრიტანული მეძებრებისგან, ჩვენშიც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სელექციური მუშაობისას.

საერთაშორისო და რუსულ სტანდარტებში ხვადისა და ძუს სიმაღლის ზედა საზღვრები ტოლია, შესაბამისად 68 და 64 სმ. რაც შეეხება ქვედა ზღვარს, იგი დასავლურ დრათჰაარს 1 სმ-ით მაღალი აქვს (61 და 75 სმ ნაცვლად 60 და 56 სმ-ისა).

რაც შეეხება პროპორციებს, FCI-ს სტანდარტში ვკითხულობთ: "ფორმატი უახლოვდება კვადრატულს. ტანის სიგრძემ შეიძლება გადააჭარბოს მინდაოში სიმაღლეს 3 სმ-ით". ამრიგად, უპირატესობა ენიჭება კვადრატულ ფორმატს და მითითებულია სტანდარტით დაშვებული მაქსიმალური გადახრა, რაც გამოხატულია 106 სიგრძის ინდექსით. ე.ი. დრათჰაარის ფორმატის სტანდარტული ინდექსია 100-105. რუსული სტანდარტის მიხედვით, ხვადის ფორმატი ოდნავ წაგრძელებულია საერთაშორისოსთან შედარებით (102-106), ხოლო ძუს შემთხვევაში ძლიერ განსხვავდება (106-110). ასეთი ფორმატის დრათჰაარს ძლიერ წაგრძელებული ტანი აქვს და სულ სხვაგვარად გამოიყურება.

FCI-ს სტანდარტის მიხედვით, ყავისფერის გარდა, დაშვებულია შავი ფერიც. ადვილი შესაძლებელია, რომ დრათჰაარმა იგი მიიღო კურცჰაარისგან. შავი ფერი ამ ჯიშისთვისაც სტანდარტულია და ამ უკანასკნელმა იგი შეიძინა პოინტერისგან. თუმცა. ყოფილ საბჭოთა კავშირში და, აქედან გამომდინარე, საქართველოში, ეს შეფერილობა თითქმის ან სულ არ გვხვდებოდა და რუსული სტანდარტის მიხედვით რატომღაც გადიოდა ხინჯის კატეგორიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო სტანდარტში უპირატესობა ენიჭება შეფერილობის მუქ ტონებს: შავი ან ყავისფერი ჭაღარაგარეული ან მთლიანად ყავისფერი, დაიშვება მცირე ზომის ღია ფერის ლაქები. შემდეგ იქვე ნათქვამია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი შეფერილობის გარდა სხვა არ ითვლება სტანდარტულად. თუმცა, რუსულ სტანდარტში აგრეთვე სრულფასოვნადაა მიჩნეული მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი ფონი, რაზეც საერთაშორისო სტანდარტი დუმს. საფიქრებელია, რომ რუსული დრათჰაარების პოპულაციაში ნათელი ტონების საკმაო სიჭარბე გამოწვეულია საწყის ეტაპზე სხვადასხვა უხეშბალნიანი მეძებრის ჯიშების შერევით. შესაძლოა, ამან აიძულა რუსი კინოლოგები, სტანდარტის შედგენისას უფრო ლიბერალურად მიდგომოდნენ ამ საკითხს.

ბალნის საფარველი გერმანული დრათჰაარის ექსტერიერის უმნიშვნელოვანეს ელემენტს შეადგენს. მისი ხარისხი განაპირობებს ამ ჯიშის მრავალნაირ ბუნებრივ და კლიმატურ პირობებში გამოყენების პრაქტიკულობას და, აქედან გამომდინარე, მის ექსტერიერულ დონეს. ამასთან დაკავშირებით, ფრიად საყურადღებო ფაქტია ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირში თავდაპირველად მიმდინარეობდა ევროპიდან ნადავლის სახით ჩამოყვანილი უხეშბალნიანი მეძებრების სხვადასხვა ჯიშის ერთმანეთში სტიქიური ჰიბრიდიზაცია. დრათჰაარების გარდა იყვნენ შტიხელჰაარები, პუდელპოინტერები, ჩეხური ფოუსეკები, გრიფონები. არ არის გამორიცხული, საწყის ეტაპზე კურცჰაარის სისხლის შერევის ფაქტებიც. იმდროინდელი სანადირო კინოლოგიის ხელმძღვანელების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ჯიშთაშორისი შერევის შედეგად ჩამოყალიბებული უხეშბალნიანი მეძებრების პოპულაცია გამრავლებულიყო დრათჰაარის იმ სტანდარტის მიხედვით, რომლის საბჭოური ვარიანტიც მიიღეს ორმოცდაათიან წლებში. ასეთი მეტიზაციის შემდეგ გასაკვირი არაა ბალნის სიგრძისა და ფაქტურის ფართო დიაპაზონი, რასაც ადგილი ჰქონდა დრათჰაარების საბჭოთა პოპულაციაში. საკმაოდ ხშირად იბადებოდნენ ლეკვები გრძელი, რბილი გრიფონისებური ან ძალიან მოკლე კურცჰაარისეული ბეწვით. მსგავსი მაგალითები არცთუ იშვიათია ახლაც. ნაცვლად იმისა, რომ რუს კინოლოგებს ეწარმოებინათ მკაცრი გადარჩევა დრათჰაარის ტიპის შესანარჩუნებლად და მინიმუმამდე დაეყვანათ მკვეთრი გადახრები ბალანთან დაკავშირებით, ისინი უფრო ლიბერალურად მიუდგნენ ამ საკითხს, რაც მათ მიერ მიღებულ სტანდარტშიც აისახა. რუსულ ვარიანტში ბალნის დასაშვებ სიგრძედ მიღებულია 3-6 სმ, ნაცვლად გერმანელების 2-4 სმ-ისა. რუსული სტანდარტის მიხედვით ყელზე, მკერდის წინა ნაწილზე, ზურგზე, ბეჭებსა და ბარძაყებზე დრათჰაარის ბალანი უფრო გრძელია, ვიდრე კორპუსის გვერდებზე. ყურის კიდეებზე მას გააჩნია უფრო გრძელი ბეწვი, ე.წ. ფოჩი, ხოლო უკანა კიდურებზე ანაჩეჩი ჯიშისათვის არაა დამახასიათებელი. საერთაშორისო სტანდარტი ყველაფერ ამაზე დუმს, სამაგიეროდ, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მკერდის ქვედა მხარე და მუცელი დაფარული უნდა იყოს შედარებით მოკლე და უხეში ბალნით. რაც შეეხება თივთიკს, უხეშბალნიანი ჯიშებისთვის დამახასიათებელ აუცილებელ კომპონენტს, მისი არქონა გერმანიაში ხინჯად ითვლება, ხოლო რუსულ სტანდარტში მიღებულია, როგორც ნაკლი, რაც გაკვირვებას იწვევს. საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად ბალნის საფარველს უზრუნველყოფს, პირველ რიგში, ბეწვის სიმსხო, სიხეშე, სიხშირე, ტანზე მჭიდროდ მიკრულობა, კარგად განვითარებული თივთიკის არსებობა და არა მხოლოდ ბეწვის სიგრძე.





FCI-ს სტანდარტში ცალკე პუნქტადაა გამოყოფილი მოძრაობა. ხაზი აქვს გასმული გრძელ ნაბიჯს და უკანა კიდურების მიერ შესრულებულ ძლიერ ბიძგს, რასაც განაპირობებს კარგი ფუნქციური ექსტერიერი და განსაკუთრებით, კარგად გამოხატული კიდურების შესახსრების კუთხეები.

ძაღლის თავი ორივე სტანდარტის მიერ, პრინციპში, ერთნაირად არის აღწერილი. აღსანიშნავია ის, რომ რუსული ვარიანტის მიხედვით ახალგაზრდა ძაღლებს ეპატიებათ ყვითელი ფერის თვალი, რომელიც შემდგომში, შესაძლოა, გამუქდეს. ევროპული სტანდარტის გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ მხრივ აქ მოთხოვნები გამკაცრებულია. ამას მოწმობს სტანდარტულად აღიარებული შავი ფერი და აქცენტი ბალნის საფარველის მთლიანობაში მუქ შეფერილობაზე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს თვალების, ქუთუთოებისა და ცხვირის მუქ პიგმენტაციას. ისეთი კონსტიტუციური დეფექტი, როგორიცაა მოშვებული და ჩაბრუნებული ქუთუთოები, რუსულ სტანდარტში მხოლოდ ნაკლად აღიქმება. არადა, FCI-ს ვარიანტით,პირველი განიხილება როგორც ხინჯი, ხოლო ჩაბრუნებული და გადმოტრიალებული ქუთუთოები მიჩნეულია მადისკვალიფიცირებულ ხინჯებად.

ტრადიციულად, საბჭოთა სანადირო კინოლოგიაში თანკბილვის მაკრატლისებური ფორმისგან ნებისმიერი გადახრა დისკვალიფიკაციას ნიშნავდა. თუმცა, გერმანული დრათჰაარის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით თანაბარი კბილთაყრა მხოლოდ და მხოლოდ ხინჯად ითვლება და ძაღლს ასეთი თანკბილვით ძალუძს მიიღოს მინიმალური დადებითი ექსტერიერული შეფასება - "კარგი". გარდა ამისა, დრათჰაარის საერთო სტანდარტი მოითხოვს კბილების მთლიან ფორმულას და პირველი პრემოლიარების (P-1) გარდა, სხვა ერთი კბილის ნაკლებობაც კი დისკვალიფიკაციად ითვლება. რუსულ კინოლოგიაში მეძებარი ძაღლის ჯიშებს ამ ასპექტში უფრო რბილი მოთხოვნები აქვთ წაყენებული, პრემოლიარების ნაკლებობა ფიქსირდება ექსპერტიზის დროს, რათა პარტნიორზე დართვისას გაითვალისწინონ და თავიდან აიცილონ ამ რეცესიული ნიშნის დაგროვება და გაძლიერება.

საერთაშორისო სტანდარტის კიდევ ერთ თავისებურებას შეადგენს ის, რომ ნაკლები და ხინჯები ერთადაა ჩამოთვლილი და მოცემულია სტანდარტის დასკვნით ნაწილში. საფიქრებელია, რომ ფუნქციურ ექსტერიერს დასავლეთში უფრო დიდი ყურადღება ექცევა და მკაცრადაც ფასდება, რადგან ამ ნაწილში ნორმიდან ყველა გადახრა ხინჯად არის მიჩნეული. საინტერესოა ისიც, რომ მადისკვალიფიცირებულ ხინჯებში ვხვდებით ისეთ დეფექტებს, როგორიცაა - თანდაყოლილი გატეხილი კუდი, სხვადასხვა ფერის თვალები, ჩაბრუნებული და გადმოტრიალებული ქუთუთოები.

დღესდღეობით, "სანადირო მეძაღლეობისა და ძაღლით ნადრობის საზოგადოება გამოფენებსა და საჯიშე მუშაობაში ხელმძღვანელობს დრათჰაარის რუსული სტანდარტით, მაშინ, როდესაც საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია, რომლის წევრიცაა ზემოთ აღნიშნული კლუბი, ბუნებრივია, აღიარებს მხოლოდ FCI-ს საერთაშორისო სტანდარტს. იქმნება გაუგებარი სიტუაცია. ორი აზრი არ არსებობს, რომ გერმანული დრათჰაარის სტანდარტი ერთია - მშობლიური, რომელსაც FCI-ს მიერ მინიჭებული აქვს საერთაშორისო სტატუსი. თუ გვინდა ჩვენი დრათჰაარების გაუმჯობესება და გერმანული სტანდარტის საწყის ტიპთან მიახლოება, მაშინ ჯიშის მოშენება უნდა განვაგრძოთ საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. ამ მიზნის მისაღწევად, ადგილობრივ პოპულაციასთან ჩატარებული სელექციური მუშაობის გარდა, საჭიროა იმპორტირებული ჯიშიანი მწარმოებლების გამოყენება. იმედია, რომ ამის შესაძლებლობაც გაჩნდება, დრათჰაარის ექსტერიერული და საველე თვისებები ჩვენთანაც გაუმჯობესდება და ეს ჯიში კიდევ უფრო პოპულარული გახდება ქართველ მონადირეებში.



# სად ეს მასხარა და სად ჩვენი ჰაიდი!

*გერმანულმა გაზეთმა "ბილდმა" ფლავიო ბრიატოლეს "პაპაგალო" უწოდა. პაპაგალო ახალგაზრდა სამხრეთელია (ძირითადად, იტალიელი), რომელიც დასასვენებლად ჩამოსულ ქალებთან სასიყვარულო თავგადასავლებს ელტვის. ბევრი ვერაფერი წოდებაა "ფორმულა-1"-ის მენეჯერისთვის...*

ბრიატოლეს დროსტარება უყვარს – სულ ერთია, ნაომი კემბელთან თუ სხვა ლამაზმანებთან ერთად. მან თქვა: "მინდა, რომ ღამის კლუბში მოვკვდე". ბრიატოლეს ცხოვრება ქალები არიან – წარსულშიც და აწმყოშიც.

არადა, წარმოიდგინეთ: ქალიშვილმა თავის საქმრო გაგაცნოთ, მასზე ოციოდე წლით უფროსი, ოქროს ჯაჭვებით მორთული, გარუჯული, ცოტა უხამსი ღიმილით. გაგიხარდებოდათ? არც გერმანელებს გაუხარდათ, მით უმეტეს, რომ ეს სუპერ-მაჩო მათ უმშვენიერეს ასულს უდიერად მოექცა. სწორედ ასეთ ტიპთან და თავის ოჯახთან ერთად გეგმავდა გერმანელი სუპერმოდელი, ჰაიდი კლუმი, შობის აღნიშვნას. ეს კაცი მისი მომავალი შვილის მამაა. ნუთუ ჰაიდი სწორედ ასეთ კაცს ელოდა?

გერმანელებმა სასწრაფოდ გაიხსენეს, რომ ამჟამინდელი მილიონერი ფლავიო ბრიატორე ტურინის სიახლოვეს მდებარე სოფელში დაიბადა, სკოლის მასწავლებლის ვაჟი იყო, თხილამურებზე სრიალის სწავლებით და შემდეგ საბირჟო სპეკულაციებით შოულობდა პურის ფულს, სანამ ლუჩანო ბენეტონი არ გაიცნო. ამ უკანასკნელმა ფლავიო ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნა, სადაც მან "ბენეტონი" მსოფლიო მნიშვნელობის ფირმად აქცია და 650 მაღაზიის გახსნა შეძლო. "არავინ იცის, რამდენს ვმუშაობ," – ბრიატოლე ყოველ ინტერვიუში ჩივის, როგორც ჩანს, საკუთარი თავი ძალიან ებრალება. საერთოდ, ის მოკრძალებით არ გამოირჩევა - დღესაც იპრანჭება, რომ ის პირველი მიხვდა, რა კაცი იყო ნიკი ლაუდა.

ისე, გერმანელები ცოტა უმადური ხალხი გამოდგნენ – შუმი-მანიას ხომ სწორედ ბრიატოლეს უმადლიან!

ფლავიოს ლონდონში, ოქსფორდში და კენიაში აქვს სახლები.

# სუსტი სიმღერები, ძლიერი სქესი




ეპოქაში, როცა დიდი შემსრულებლები იშვიათ მოვლენად იქცნენ და ჟულიეტ გრეკო შანსონის გმირული ხანის ერთადერთ გადმონაშთადაა დარჩენილი, პატრიცია კაასისთანა მომღერალი ძალიან დროული მოვლენაა. ქალური და უხეში, ეროტიკული და აგრესიული – ის ტექნოსა და ჰიპ-ჰოპის ხანას არ ესადაგება და ამავე დროს ჩინებულად ავსებს.

და უცებ - Sexe Fort. პატრიციას ყველაზე თავდადებულ თაყვანისმცემლებსაც კი იმედის გაცრუება ელით: "გრილი ქერა ქალის" სიმღერები არასოდეს ყოფილა ასეთი უსახური და საზოგადოებისა და მედიების მდარე გემოვნების შესაბამისი. სახელწოდებაც კი 80-იანი წლების "სქესობრივი კლიშეების" გახსენებით უსიამოვნოდ ჭრის ყურს. ის, რომ სინამდვილეში ქალები ძლიერი სქესი არიან და მამაკაცებს სუსტი მხარეები აქვთ, ფსევდო-ემანსიპირებული საზოგადოების სტანდარტული არგუმენტი იყო. ამ ქალებს თავადაც ვერ გაეკეთებინათ არჩევანი დიასახლისის მშვიდ ყოფასა და ქალთა მოძრაობის აქტივისტობას შორის; ისინი ამბობდნენ: "მე ყველაფერი მინდა", ქალს დამოუკიდებლობას უქებდნენ და ძალიან კარგ ტონად ითვლებოდა, თუ ქალი მამაკაცს არ ედგა მხარში...

პატრიცია კაასის ახალი ალბომის მსმენელს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იმდროინდელი ემანსიპაციის თეორიაში არაფერი შეცვლილა. პირველივე ნაწარმოები O sont les hommes? მამაკაცთა სამყაროს მოუწოდებს, ისეთი მგრძნობიარენი და ძლიერები, ისეთი გონიერები და მოსიყვარულენი გახდნენ, როგორებადაც ქალებთან მოჰქონდათ თავი. C'est les femmes qui m♡nent la danse ქალის სიძლიერის საგალობელია, J'en tremblerai encore - მათი სინაზისა... საერთოდ, პატრიცია კაასი, რომელსაც ფრანგული შანსონის დიდი ტრადიციის ღირსეულ წარმომადგენლად მოაქვს თავი, ცალკეულ პიროვნებებზე კი არა, "მამაკაცებზე" და "ქალებზე" საუბრობს, მისი ბოლო სიმღერები იმპერსონალურია და – რა დასამალია? უსულო და არაფრისმომცემი.

## TV პროგრამა

*30 დეკემბერი*

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **09.30** მულტფილმი "დინოზავრი" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** კურიერი **11.10** მხ. ფილმი "ჰუსარული ბალადა" **13.10** მხ. ფილმი "როგორ მოიპარა გრინჩმა შობა" **15.20** ა. ვივალდი "წელიწადის დროები" (ზაფხული) **15.30** მხ. ფილმი "ძვირფასო ბავშვები გავადიდე" **16.40** მხ. ფილმი "წითელქუდა" **17.00, 18.00, 21.00** კურიერი **18.20** მხ. ფილმი "მხიარული რომანი" **19.30** მხ. ფილმი "აგენტი ჯონი ინგლიში" **22.00** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა **23.00** მხ. ფილმი "ხელოვნური ინტელექტი"

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **10.05** მხ. ფილმი "არხების გადართვისას" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** არჩევნები **17.15** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.30** ჩვენი ფეხბურთი **22.30** დოკ. ფილმი **00.00** კრიმინალური ქრონიკა **00.10** მხ. ფილმი "დოყლაპია"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "სანამ შენ გეძინა" მთ.რ-ში სანდრა ბალოკი, ბილ პულმანი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ფრანგული ამბორი" მთ.რ-ში მეგ რაიანი, კევინ კლაინი. **01.40** "ღამურა" "სასტიკი თამაშები" მთ.რ-ში რაინ ფილიპე, რიზ უიზერსპუნი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მზის საახალწლო სერენადები **09.30** მულტფილმი "წაღებულნი" 1-ლი ნ. **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "მაგარი ბიჭები" (ბარი პეპერი, უინ დიზელი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ერინ ბროკოვიჩი" (ჯულია რობერტსი)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პოკაჰონტასი" **19.35** კინოსეანსი "გალია ბოცვრებისთვის" **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "გატეხილი ნალი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "მარტის კატები" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **14.00** მხ. ფილმი "მეხუთე ელემენტი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "პინოქიო" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მულენ რუ:ი" **23.10** მუსიკა

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** მულტფილმი **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** ტელე-სინე ვიდეო **14.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "ქარწაღებულნი" 1ს. **17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **18.00** დოკ. ფილმი **20.00, 21.00** დოკ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ქარწაღებულნი" 2ს. **00.55** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 13.35, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "მებრძოლთა კლუბი" **14.00** დოკ. ფილმი "ცირკის ხელოვნება" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-7ნ. **15.10** მხ. ფილმი "ნამცეცა და ანტონი" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "კასპერი საშობაო მოჩვენება" **18.30** მუს. ფილმი "ეს სანახაობაა" მე-2 ნ. **19.00** სერიალი "ზამთრის ალუბალი" მე-2 ს. **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმი "ჰენრის მეფე" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "მედოლეეთა მწკრივი"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 16.40, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა"" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "წვიმიანი კაცი ფეხსაცმელებში" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. ფილმები "ჯერ შეიცადეთ", "რეისებს შორის" **21.30** ლარის მახე **22.50** მხ. ფილმი "მთამსვლელი"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** მულტსერიალი "აბა, დამაცადე!" **10.00, 11.35, 13.45, 15.50** მუსიკა **10.10** სათავგადასავლო ფილმი "მაიმუნთა მეფე" 2 ს. **12.20** კომედია "დიდი არდადეგები" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხატვრული ფილმი "სახელოვან ჯენტლმენთა ლიგა" **16.20** მულტფილმი "პიტერ პენი 2" **17.30** მხატვრული ფილმი "კურიერი" **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00, 01.00** მუსიკა **20.20** კომედია " თავდავიწყებული სიყვარული" **21.50** "გალერეა" **23.00** "Пресс-папье" **23.05** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** Праздничный декор **23.50** "რა არ ხდება" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.20** კომედია "ფანფან ტულპანი" **03.35** მელოდრამა "მოსკოვს ცრემლების არ სჯერა"

### OPT

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Детектив "Участок" 11.30, 20.000 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Комедия "На кого Бог пошлет" 14.40** Шоу "Город женщин" **15.40** "Ералаш" **16.20** "Угадай мелодию" **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** "Большая стирка" **19.30** "Смехопанорама" **20.50** "Поле чудес". Празд. выпуск **22.00** "Время" **22.30 Детектив "Участок" 23.40 Худ.фильм "Участок" и соучастники" 00.10 Комедия "Пока ты спал" 02.00** "Кинодвижение" **02.30 Боевик "Американский ниндзя" 04.10 Худ.фильм "Русалки"**

### PTP

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Мелодрама "Четвертое желание", 1 с. 11.25** Маленькие комедии "Ха" **11.40** Мультфильмы "Пластилиновая ворона", "Зимняя сказка" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.50** "Сам себе режиссер" **14.45** "Вести. Дежурная часть" **15.30** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.30 Комедия "Леди на день", 2 с. 18.10** "В поисках приключений" **19.05 Мелодрама "Ундина" 20.00 Сериал "Русские амазонки" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Мелодрама "Четвертое желание", 2 с. 23.40 Худ.фильм "Неспящий в сиэтле" 01.45 Боевик "Бессмертные" 03.35** "Дорожный патруль" **03.50** "Горячая десятка" **04.45 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **10.05** Мультфильм "Тайна третьей планеты" **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Квартирный вопрос": хамелеон вместо бабочек" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.50** "Сегодня" **13.35 Худ.фильм "Анна Каренина" 16.35** Ток-шоу "Принцип "Домино". "Сейчас спою!" **18.25 Сериал "Она написала убийство" 19.30** "Профессия - репортер". "На краю земли" **20.35 Комедия "Ищу невесту без приданого" 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.50** "Фактор страха". "Секретные материалы" **00.45** "Playboy. История свободы" **02.10 Комедия "Девочки сверху"**

## სკანვორდი





# დავნაძლევდეთ!

ბრიტანული ონლაინ-სამსახური "ანანოვა" იუწყება, რომ კენტის საგრაფოში ერთმა ბრიტანელმა ბუკმეკერმა 21 წლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთან ნაძლევი დადო. ეს სტუდენტი, ბრეტ ალენი ამბობს, რომ ერთი წლის განმავლობაში კაილი მინოუგს პაემანს დაუნიშნავს და შეხვდება კიდეც. ბუკმეკერი 100:1-ზე ჩამოდის. მისი აზრით, სტუდენტს არანაირი შანსი არ გააჩნია, ისევე, როგორც ბრიტანულ ლატარეაში მონაწილეთა უმრავლესობას.

ჯერჯერობით, ალენს არანაირი გეგმა არა აქვს შემუშავებული. მას არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, როგორ აპირებს ავსტრალიელი ვარსკვლავის გულის მოგებას. "გიჟი ხომ არა ვარ, რომ ვსდიო და გასაქანი არ მივცე," თქვა მან. "უბრალოდ, თუ შანსი მომეცა, აუცილებლად შევხვდები".

უნდა ითქვას, რომ ალენი კარგი ცხენოსანი და რაგბისტია, და თავის უნივერსიტეტში გოგოებს ძალიან მოსწონთ. ამბობენ, სწორედ ქალებთან წარმატებამ დაახვია თავბრუ და ამიტომაც მოუვიდა თავში ასეთი ბრიყვული აზრიო. მაგრამ, სინამდვილეში, მისი მხრიდან საუბარი სულ 25 გირვანქა სტერლინგზეა, ხოლო თუ კაილიმ მასთან ერთად ორი საათი მაინც გაატარა, ასჯერ დიდ თანხას მიიღებს. ასე რომ, რისკი არცთუ დიდია, შესაძლებელი მოგება და სიამოვნება – უზარმაზარი.

# ანჯელინა ჟოლის უნებლიე ცოდვა



"ოსკარის" მფლობელ ანჯელინა ჟოლის საკმაოდ უსიამოვნო წელი ელის. მას დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს იმისთვის, რომ პატარა მედოქსის დედად დარჩეს.

2002 წელს ანჯელინამ შვილი აიყვანა. სულ რამდენიმე დღის წინათ 28 წლის კინოვარსკვლავმა შეიტყო, რომ მისი ორწლინახევრის ვაჟი ობოლი არ ყოფილა. სინამდვილეში, სააგენტო, რომელსაც ანჯელინამ მიმართა, კამბოჯაში ხელმოკლე ოჯახებისგან ბავშვების შესყიდვით ყოფილა დაკავებული.

ეს სააგენტო, რომელიც ვაშინგტონის შტატში, სიეტლში საქმიანობდა, დაიხურა, ხოლო მისი მფლობელი, ლინ დევინი, პასუხისგებაშია მიცემული.

## ჯექსონი:
# მე პედოფილი არ ვარ



პოპ-ვარსკვლავი მაიკლ ჯექსონი მისი მისამართით წაყენებულ ყველა ბრალდებას უარყოფს და პოლიციას მისდამი სასტიკ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს.

მაიკლ ჯექსონმა შობაზე ამერიკული არხის სიბი-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი ვერ ხედავს საშინელებას იმის გამო, რომ სარეცელს არასრულწლოვან ყმაწვილთან იყოფდა, სწორედ იმიტომ, რომ იგი პედოფილი არ არის.

"თუ თქვენ პედოფილი, მფატრავი ჯეკი, ან მკვლელი ხართ - ეს საუკეთესო იდეა არ არის. მაგრამ, მე არც პედოფილი და არც მკვლელი არ ვარ", - ამბობს ჯექსონი.

"მე უფრო ვენებს გადავიჭრი, ვიდრე ბავშვს ვაწყენინებ", - განაცხადა მომღერალმა.

პოპ-ვარსკვლავი ყვება იმის შასახებ, რომ რანჩო "ნევერლენდი" სპეციალურად იმისათვის ააშენა, რომ აესრულებინა ყველაფერი ის, რასაც იგი ბავშვობაში, იყო მოკლებული და ეს სიხარული და კეთილდღეობა შეძლებისდაგვარად ყველა ბავშვისთვის გაეყო. თუმცა ყოველი მორიგი ბრალდებების დროს მომღერალი აღიარებს, რომ მას "ნევერლენდში" ცხოვრების სურვილი აღარ აქვს.

ჯექსონის აზრით, სასამართლო სარჩელში დამნაშავეები არიან ბიჭის მშობლები, თავად კი არაფერ შუაშია.

"ის ძალიან კარგი, არაჩვეულებრივი ბავშვია", - ასე შეაფასა ჯექსონმა კიბოთი დაავადებული ბიჭი, რომელიც მომღერალს მუდმივად სტუმრობდა რანჩოზე.

"მშობლებს დიდი გავლენა აქვთ ბავშვებზე. მათ ეჩვენებათ, რომ ისინი ვალდებულნი არიან უფროსებივით მოიქცნენ", - განაცხადა ჯექსონმა და ამით იმაზე მიანიშნა, რომ სარჩელი მხოლოდ მისგან ფულების გამოძალვის მიზნით დაიწერა.

ამავე ინტერვიუში მომღერალი ადანაშაულებს სანტა-ბარბარას პოლიციას, მასთან უხეში ურთიერთობის გამო. ჯექსონმა განაცხადა, რომ დაკავებისას მას შეგნებულად მხარი ამოუგდეს.

"მხარი დღემდე მტკივა. მე მუდმივად ვგრძნობ ამ ტკივილს", - დაიჩივლა ჯექსონმა.

უფრო მეტიც, პოპ-ვარსკვლავის თქმით, იგი პოლიციის განყოფილებაში, ბინძურ საზოგადოებრივ ტუალეტში 45 წუთის განმავლობაში ჰყავდათ ჩაკეტილი.

სანტა-ბარბარას პოლიციის შერიფის ოფისის წარმომადგენლები, თავის მხრივ აცხადებენ, რომ ჯექსონს პატივისცემით ეპყრობოდნენ.

იანვარში, 45 წლის მაიკლ ჯექსონი სასამართლოს წინაშე არასრულწლოვანთა გარყვნის ბრალდებით წარსდგება.













## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.